

# —FB.COM/GROUPS/ELLIB

## კეინი ჯეიმს ორმაგი დაზღვევა

თარგმანი რუსულიდან – ქეთევან შარვაშიძე.

თავი 1

გლენდეილში ლუდის სახარში კომპანიის სამი ახალი მძღოლისთვის სესხის გასაფორმებლად გავემგზავრე და გზად გამახსენდა ერთი ჰოლივუდელი კლიენტი, რომელსაც დაზღვევის ვადა გასდიოდა. გადავწყვიტე ბარემ მასთანაც შემევილო. აი, ასე შემთხვევით მოვხვდი ამ «სიკვდილის სახლში», რომელზეც გაზეთებში წაიკითხავდით. თუმცა, როცა იგი პირველად ვნახე, სულაც არ ჰგავდა «სიკვდილის სახლს». ჩვეულებრივი ესპანური სტილის სახლი იყო, ზუსტად ისეთი, როგორც ყველას ჰქონდა კალიფორნიაში – თეთრად შებათქაშებული კედლებით, წითელი კრამიტის სახურავითა და გვერდით მიშენებული პატიოთი. ისე, რაღაც ბრიყვულად კი იდგა. სახლის ქვემოთ გარაჟი იყო, მის ზემოთ – პირველი სართული, დანარჩენები თითქოს ბორცვის ფერდობს მიუყვებოდა და როგორ უნდა მოხვედრილიყავი იქ, ეტყობა, კაციშვილს არ უფიქრია. შესასვლელ კართან ქვის ციცაბო კიბეს მიჰყავდი. სხვა გზა არ იყო – ავტომანქანა გავაჩერე და ავედი. მოსამსახურემ გამომხედა.

– მისტერ ნედლინგერი შინ არის?

– არ ვიცი, სერ. ვინ კითხულობს?

– მისტერ ჰაფი.

– რა საქმეზე?

– პირადზე.

ჩვენს საქმეში მთავარი დეტალია – სიტყვაც, რაიმე მინიმუმბაც არ უნდა დაგცდეს ვიზიტის ნამდვილ მიზეზზე მანამ, სანამ სახლში არ შეგიშვებენ.

– მაპატიეთ, სერ, მაგრამ არავის შეშვების უფლება არ მაქვს, სანამ არ მეტყვიან, რა საქმეზე არიან მოსული.

მეორე დეტალი – იმის ახსნა-განმარტება რომ დამეწყო, სახელდობრ, რა «პირად» საქმეზე ვიყავი მისული, უფრო წავახდენდი საქმეს, ეს კი ცუდია. გულახდილად რომ მეთქვა, რა მინდოდა, მეც ის მელოდა, რაც ხშირად ემართებათ და რასაც ჭირივით უფრთხიან სადაზღვევო აგენტები: მოსამსახურე წავიდოდა, მერე მობრუნდებოდა და მეტყოდა, შინ არ არისო. რომ მეთქვა, დავუცდი-მეთქი, თავს დამამცირებელ მდგომარეობაში ჩავიგდებდი, რადგან ამ ხერხით ჯერ არასოდეს არავის დაუდვია გარიგება. ჰოდა, ყველაფერი ეს რომ თავიდან ამეცილებინა, სახლში უნდა შემეღწია. ერთხელ თუ შედგი ფეხი, მოგისმენენ, აბა, სხვა რა გზა ექნებათ?! სადაზღვევო აგენტის შეფასება სწორედ იმით შეიძლება, რა სისწრაფით ამოყოფს თავს სასტუმრო ოთახში, ფართო დივანზე, ერთ მხარეს შლაპით, მეორეზე კი თავისი კლიენტის გამოსალენჩებელი ქაღალდებით.

– გასაგებია. მისტერ ნედლინგერს ვუთხარი, შეიძლება მოვიდე-მეთქი... არა უშავს. მერე შემოვივლით.

სხვათა შორის, ეს წმინდა წყლის სიმართლეა – როცა საქმე ავტომობილის დაზღვევას ეხება, კლიენტს წინასწარ ვატყობინებთ, რომ ვადა იწურება, მაგრამ ეს წელიწადი იქნებოდა, რაც არ მენახა. მოკლედ, მოსამსახურეს პატრონის იმ ძველი მეგობრის ტონით ველაპარაკებოდი, რომელიც არც ისე კმაყოფილი დარჩა მიღებით... და გაჭრა. ქალს სახეზე შემოფოთება დაეტყო.

– არა, რას ამბობთ... შემობრძანდით, გეთაყვა.

ყველა ღონე და ხერხი რომ მეხმარა და ამ სახლიდან რაც შეიძლება შორს აღმოვჩენილიყავი, ალბათ, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა.

\*\*\*

შლაპა დივანზე მივაგდე. საკმაოდ გადაპრანჭული სასტუმრო ოთახი ჰქონდათ, განსაკუთრებით – მეწამული ფარდები მომხვდა თვალში. თუმცა, ცოტათი თუ განსხვავდებოდა კალიფორნიული სხვა სასტუმრო ოთახებისგან, ავეჯი თუ იქნებოდა ოდნავ ძვირად ღირებული. ისე, არც ავეჯი იყო რაიმეთი გამორჩეული. ყოველ შემთხვევაში, აქ არაფერი იდგა ისეთი, დილით ნებისმიერი უნივერსალიდან მოტანა რომ არ შეგეძლოს, დღისით კი ყველა ამ ხარახურაზე კრედიტის გაფორმება. ესპანური ავეჯი იმ ჯურისაა, ლამაზი რომ ჩანს, დასაჯდომად კი მაგარია. ხალიჩა, ზომით, ასე, თორმეტი თხუთმეტზე, შეიძლება მექსიკურიც გგონებოდა, კალიფორნიის შტატში, ოკლენდში რომ არ მოექსოვათ. თანაც, აქ მეწამული ფარდებიც ეკიდა... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას. ყველა «ესპანურ» სახლში არის მეწამული ხავერდის ფარდები, რკინის ძელებზე რომ არის ჩამოკიდებული, ზოგჯერ წითელი ხავერდის გობელენისებრი ჭინჭებითაც. მოკლედ, ყველაფერი ერთი სანაგვიდანაა – ეს გერბიც ბუხრის თავზე და დივანის ქვემოთ დაფენილი ციხესიმაგრისანი გობელენებიც. დანარჩენ ორ მხარეს – ფანჯრებია და ჰოლში გასასვლელი.

– გისმენთ...

იქ ქალი იდგა. მანამდე არასოდეს მინახავს. ოცდათორმეტი წლისა იქნებოდა, ნაზი სახით, მუქი ლურჯი თვალებითა და ღია ფერფლისფერი თმით. პატარა ტანის იყო, ლურჯ საშინაო პიჯამაში. დაღლილი იერი ჰქონდა.

– მისტერ ნედლინგერის ნახვა მინდოდა.

– მისტერ ნედლინგერი ახლა შინ არ არის. მე მისის ნედლინგერი გახლავართ. იქნებ მე შემიძლია, დაგეხმაროთ?

სხვა გზა არ იყო, უნდა გამოვტყდომოდი.

– ვერა, ვფიქრობ, ვერა, მისის ნედლინგერ. მე ჰაფი ვარ, უოლტერ ჰაფი, გენერალური სადაზღვევო კომპანიიდან. მისტერ ნედლინგერს ავტომობილის დაზღვევის ვადა ერთი ან ორი კვირის შემდეგ გაუდის. შევპირდი, რომ შევახსენებდი. ამიტომაც ვიფიქრე, მოდი, შევივლი-მეთქი. რა თქმა უნდა, თქვენი შეწუხება არ მინდოდა და...

– დაზღვევა?

– დიახ. რა თქმა უნდა, დღისით მოსვლა სიბრიყვეა, უბრალოდ, აქვე, ახლომახლო აღმოვჩნდი და ვიფიქრე – ეშმაკს არ სძინავს, იქნებ შინ დამხვდეს-მეთქი. როგორ ფიქრობთ, მისტერ ნედლინგერს რა დროს უფრო ვნახავ? იქნებ დღეს, ნასადილევს? თუ რამდენიმე წუთს დამითმობს, საღამოს შემოვივლიდი.

– რა დაზღვევაა ასეთი? როგორღაც გამომრჩა, თუმცა უნდა მცოდნოდა...

– როგორც წესი, უგულისყურონი ვართ ხოლმე მანამ, სანამ რამე არ მოხდება – რაღაც განსაკუთრებული – მაგალითად, შეჯახება, გატაცება, დაზიანება, ხანძარი...

– ო, დიახ, დიახ, გასაგებია...

– სავსებით რუტინული საქმეა, უბრალოდ, დაზღვევა დროულად უნდა გაგრძელდეს და თქვენი ქმრის ინტერესების დაცვა გარანტირებულია.

– ეს, რა თქმა უნდა, ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ვიცი, რომ ავტომობილისტების კლუბზე ფიქრობს. იქ თავიანთი დაზღვევა აქვთ, აი, რაშია საქმე.

– უკვე კლუბის წევრია?

– ჯერ არა. დიდი ხანია, უნდოდა შესვლა, მაგრამ როგორღაც ვერ ახერხებდა. კლუბის წარმომადგენელიც იყო ჩვენთან და რაღაც დაზღვევაზეც ილაპარაკა.

– ამ მხრივ კლუბზე უკეთესი არაფერია. იქ ზედმიწევნით დაუზარელი, პუნქტუალური და უსაზღვროდ თავაზიანი ხალხი მუშაობს. მათზე ერთი ავი სიტყვის თქმაც არ შემიძლია...

ამასაც ცოდნა უნდა – არასოდეს არ უნდა ესროლო ლაფი სხვას, თუნდაც კონკურენტ კომპანიას.

– მერე იაფიცაა.

– დიახ, კლუბის წევრებისთვის.

– მგონი, მხოლოდ წევრებს აქვთ დაზღვევის უფლება.

– იცით, რას გეტყვით, თუ კაცი ავტომობილისტების კლუბში შესვლას აპირებს, ვთქვათ, იმისთვის, რომ დროულად მოემსახურონ, რთულ მომენტში დაეხმარონ, ბილეთების საქმე მოუგვარონ და ასე შემდეგ, თუ კიდეც სადაზღვევო პოლისსაც ყიდულობს, რა თქმა უნდა, იაფი გამოდის. აქ სადავო არაფერია. მაგრამ თუ კლუბში შესვლას მხოლოდ დაზღვევისთვის აპირებს... ყველა საწევრო შენატანი რომ დავიანგარიშოთ, რომლის გადახდაც მოუწევს სადაზღვევო პრემიის მისაღებად, მაშინ გაცილებით ძვირი დაუჯდება. აწონ-დაწონეთ ყველაფერი და თავადაც კარგად მიხვდებით – მე შემოძლია მისტერ ნედლინგერს ფული დავაზოგვინო...

ქალიც ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, და სხვა არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ საუბარში ავყოლოდი. ისე, როცა სადაზღვევო აგენტად მუშაობ, იმდენად ხშირად გიწევს ადამიანებთან ლაპარაკი, რომ აღარც უსმენ, რას ამბობენ, მხოლოდ გრძნობ, წამოეგო თუ არა ანკესზე. მალე მივხვდი: ამ ქალისთვის სულერთია ავტომობილისტების კლუბი. ქმრისთვის შეიძლება არა, მაგრამ მას კი ნამდვილად ფეხებზე ჰკიდია. ამის უკან რაღაც იმალებოდა, სხვა დანარჩენი ისე, ფუჭი ლაყბობა იყო. შეიძლება, ქმრისგან მალულად გარიგების იმგვარად მოჭახრაკება სურდა, რომ თვითონ გამორჩენოდა რაიმეს, ასე, რამდენიმე ათეულ დოლარს. ასეთი რამ ახლა ხშირად ხდება. მე იმაზე ვფიქრობდი, რა მეთქვა ასეთ შემთხვევაში. კარგი რეპუტაციის მქონე აგენტი ამისთანა უსიამოვნო რამეებში არ გაერევა, მაგრამ ქალი ისევ ლაპარაკობდა და ოთახში აქეთ-იქით დადიოდა. აი, მაშინ შევნიშნე ის, რაც მანამდე არ შემიინიშნავს. ლურჯი პიჟამის მიღმა ისეთი ნაკვთები იმალებოდა, ნებისმიერ მამაკაცს რომ ჭკუიდან გადაიყვანდა. ამიტომაც არ ვარ დარწმუნებული, რომ სადაზღვევო აგენტის მაღალ ეთიკაზე მოკლე და ცეცხლოვანი სიტყვა საკმარისად დამაჯერებლად წარმოვთქვი.

უცებ შემომხედა და ვიგრძენი, როგორ დამიარა ზურგიდან თმის თითოეულ ძირამდე ჭიანჭველებმა.

– უბედური შემთხვევების დაზღვევაზე თუ მუშაობთ?

ჩემგან განსხვავებით, შესაძლოა, თქვენ ამ კითხვაში განსაკუთრებული ვერაფერი შეგენიშნათ. მაგალითად, ის, რომ უბედური შემთხვევების დაზღვევა იყიდება, მაგრამ ვერ იყიდი. შეგიძლიათ სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევისთვის იყიდოთ ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი – ხანძრისთვის, ძარცვისთვის, თვით სიკვდილისთვისაც კი, მაგრამ არასოდეს – უბედური შემთხვევისთვის, რომელიც შეიძლება ადამიანს დაემართოს. უბედურია თუ არა შემთხვევა, თავად სადაზღვევო კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, პოლიცია გამოძიებას არ აწარმოებს. ამიტომაც ასეთი კითხვა ცოტა უცნაურად ჟღერს, მე ვიტყვოდი – სასაცილოდაც. მეორე – როცა რაღაც ბინძურ, ბნელ საქმეს ჰკიდებენ ხელს, პირველად იმას ფიქრობენ, ყველაფერი უბედურ შემთხვევას დააბრალონ. ამ საქმეში მაგარი ფული ტრიალებს – უბედური შემთხვევისთვის ბლომად ფულს იხდიან. და კიდეც, ეს არის დაზღვევის ერთადერთი სახე, რომლის გაფორმებაც დასაზღვევი პირის ინფორმირების გარეშე შეიძლება. ახლა ყველას ერთი რამ უნდა – ფული. რომ იცოდეთ, რამდენს გაცილებით მეტად უყვარს და ეძვირფასება თავისი ახლობლები, ასე ვთქვათ, მკვდარი და არა ცოცხალი სახით, რაზეც იმ საბრალოებს წარმოდგენაც არ აქვთ.

– ჩვენ დაზღვევის სხვადასხვა სახეს ვთავაზობთ კლიენტებს.

ქალი ისევ ავტომობილისტების კლუბზე გადაერთო, მე კი კვლავ ვცდილობდი თვალი ამერიდებინა მისთვის, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. როგორც იქნა, დაჯდა.

– ესე იგი გინდათ, რომ ამაზე ველაპარაკო, მისტერ ჰაფ?..

კი მაგრამ, მას რატომ უნდა ელაპარაკა ქმართან დაზღვევაზე, ნაცვლად იმისა, რომ ეს საქმე ჩემთვის მოენდო?!

– ო, ეს შესანიშნავი იქნებოდა, მისის ნედლინგერ.

– უბრალოდ, დროის დასაზოგად...

– დიახ, დრო ძალზე მნიშვნელოვანია. გადაუდებლად უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი...

აქ ქალმა კიდევ ერთ მანევრს მიმართა:

– მე მოველაპარაკები ქმარს, მერე კი შეგიძლიათ თვითონაც ნახოთ. დავუშვათ, ხვალ, ვთქვათ, რვის ნახევარზე. საიმდროოდ უკვე ნასადილეები ვიქნებით.

– ხვალ საღამოს ნამდვილად ხელს მამლევს.

– გელოდებით.

მანქანაში ჩავჯექი, თან თავბედს ვიწყევლიდი. გავბრიყვდი და პირი დავაღე მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც დედაკაცმა რაღაც განსაკუთრებულად შემომხედა!..

...კანტორაში რომ დავბრუნდი, მითხრეს, ქეიესი გეძებსო. ქეიესი სარჩელების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ყველაზე ძნელად ასატანი და მოსაწყენი კაცი იყო მათ შორის, ვისთანაც ოდესმე საქმე მქონია. მაგალითად, უბრალოდ ვერ იტყვი, დღეს ხუთშაბათიაო, მაშინვე კალენდარს დახედავს, მერე შეამოწმებს, რომელი წლისაა, შარშანდელი ხომ არ არის, მერე წაიკითხავს, რომელ სტამბაშია დაბეჭდილი, მერე კი იმასაც ნახავს, ემთხვევა თუ არა მსოფლიო კალენდარს. ამდენი მუშაობისგან ჭოკივით გამხმარი უნდა იყოს, მაგრამ პირიქით – ყოველწლიურად უფრო სქელი და ბუზღუნა ხდებოდა, კომპანიის სხვა განყოფილებებთან გაუთავებელი მტრობა ჰქონდა. იჯდა გადაღედილი საყელოთი და ოფლად იღვრებოდა, ჩხუბობდა და კამათობდა მანამ, სანამ მასთან ოთახში ერთად ყოფნითაც კი თავბრუ არ დაგეხვეოდა. მაგრამ ერთი კი იყო – ყალბი ქვითრებით ვერ გააცურებდი.

რომ შევედი, წამოხტა და დასჭექა, მაგრამ რა დასჭექა. ლაპარაკი იყო პოლისზე, რომელიც ექვსი თვის წინ გამოვუწერე ერთ სატვირთოს მძღოლს, ახლა კი იმ ჯეელს მანქანა დაუწვავს და ფულის აღებას ცდილობდა. მაგრამ ქეიესს სწრაფადვე ჩავაკმენდინე ხმა:

– ახლა რაღა დროს წუწუნია? მშვენივრად მახსოვს ყველაფერი. ზუსტად მახსოვს, როგორ მივაკერე თხოვნას სამახსოვრო ფურცელი, სადაც მივუთითე, რომ ამ ტიპის საქმე ზედმიწევნით გამოსაძიებელია, სანამ ჩვენ რისკზე წავიდოდეთ. მაშინვე არ მომეწონა მისი სიფათი და მე არ...

– უოლტერ, სულაც არ ვწუწუნებ. მახსოვს, რომ თქვი, საქმე გამოსამიებელიაო. აი, შენი ბარათიც, მაგიდაზე მიდევს. უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენს სხვა განყოფილებებს შენგვარი გონიერების თუნდაც ნახევარი რომ გამოეჩინათ... ო-ო...

ასე იცის ქეისმა. მაშინაც კი, როცა რაიმე სასიამოვნოს თქმას აპირებს, ჯერ გუნება უნდა წაგიხდინოს.

– და კიდევ, უოლტერ. მათ მსვლელობა მისცეს იმ ბიჭის პოლისს, ისე, რომ არაფრად ჩააგდეს შენი გაფრთხილება. შეიძლება ახლაც ცხვირწინ უდევთ. სატვირთო გუშინწინ დაიწვა და იმ სარჩელს გაანადღებდნენ კიდევ, მე რომ არ გამეგზავნა ამ დილით იქ ამწე, რომელმაც სატვირთო ამოათრია. და რა გგონია, რა აღმოაჩინეს ძრავის ქვეშ? ბურბუშელის მთელი კონა. იმ ტიპმა თვითონ მოაწყო ხანძარი.

– მერე, გამოიჭირეთ?

– აბა, რა, გამოტყდა. ხვალ დილით სასამართლოს წინაშე წარდგება და საქმეც გათავდება, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე ის მიკვირს, შენ რომ იმ ბიჭის დანახვისთანავე გულმა ცუდი გიგრძნო, ესენი კი... კარგი, ლაპარაკს რაღა აზრი აქვს. მინდოდა, გამეფრთხილებინე, რომ ნორტონს მოხსენებითი ბარათი გავუგზავნე. ვფიქრობ, ამ საქმეს კომპანიის პრეზიდენტმა უნდა მოჰკიდოს ხელი. თუმცა, სიმართლე გითხრა, მეექვსეა, ჩვენი კომპანიის პრეზიდენტს შენზე თუნდაც მეტი...

ქეისი დადუმდა და აღარც ჩავძიებია. იგი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძველი თანამშრომელი იყო. აქ კომპანიის დამაარსებლის, მოხუცი ნორტონის დროიდან მუშაობდა და არც ისე დიდი წარმოდგენისა იყო ახალგაზრდა ნორტონზე, რომელსაც მამის საქმე მემკვიდრეობით ერგო. მისთვის რომ მოგესმინა, ნორტონი ყველაფერს უკუღმა აკეთებდა. ყველა თანამშრომელს ეშინოდა, ქეისს ისინი შეფთან არ წაეკიდებინა, მაგრამ რა უნდა გვექნა – რაკი ახალგაზრდა ნორტონთან მოგვიწია საქმის დაჭერა, უნდა გვექონოდა კიდევ მასთან საქმე, და ქეისისთვის მასთან კინკლაობაში ჩათრევის უფლება არ უნდა მიგვეცა. მეც მისი გამომხდომა არად ჩამიგდია. თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერ ვხვდებოდი, რაზე იყო ლაპარაკი...

...როცა, როგორც იქნა, ოფისში მივედი, ჩემი მდივანი ნეტი წასასვლელად ემზადებოდა.

– ღამე მშვიდობისა, მისტერ ჰაფ.

– ღამე მშვიდობისა, ნეტი.

– ჰო, კინალამ დამავიწყდა. მაგიდაზე ბარათი დაგიტოვეთ. ვიღაც მისის ნედლინგერმა ათიოდ წუთის წინ დარეკა და მთხოვა, გადმომეცა, რომ კარგი იქნებოდა, ხვალ მისუღიყავით მასთან. ასე თქვა, დავრეკავ და ვეტყვი, როდის მოვიდესო.

– გასაგებია. გმადლობ.

ნეტი წავიდა, მე კი ვიდექი და ბარათს დავყურებდი. საინტერესოა, – ვფიქრობდი გულში, – რა სახის გაფრთხილება უნდა მივამაგრო ამ თხოვნას... ან საერთოდ უნდა მივამაგრო კი?..

## თავი 2

სამი დღის შემდეგ დარეკა და დაიბარა, ოთხის ნახევარზე მოვიდესო.

კარი თვითონ გამიღო. სადღა იყო ლურჯი პიჟამა. ამჯერად თეთრი მატროსულას მსგავსი რამ ეცვა – გრძელი კოფთა, თეძოებზე რომ შემოტმასნოდა, თეთრი ფეხსაცმელი და თეთრი წინდები. ჩანს, მხოლოდ მე არ შემინიშნავს მისი ნაკვთების მშვენიერება. თავადაც იცოდა, თანაც ძალიან კარგად. სასტუმრო ოთახში შევედით, მაგიდაზე ლანგარი იდგა.

– ბელის დღეს უქმე აქვს. მე თვითონ მოვამზადე ჩაი. დალევთ?

– არა, დიდი მადლობა, მისის ნედლინგერ. წუთით შემოვირბინე. ალბათ მისტერ ნედლინგერმა დაზღვევის გაგრძელება გადაწყვიტა. ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა-მეთქი, რაკი მომიწვიეთ...

უცებ მივხვდი, რომ ბელის არყოფნით სულაც არ ვარ გაოცებული, არც იმით, თვითონ რომ მოამზადა ჩაი. მტკიცედ გადავწყვიტე, დაუყოვნებლივ წავსულიყავი აქედან და მნიშვნელობა არ ჰქონდა – გაგრძელებული პოლისითა თუ უიმისოდ.

– ერთი ფინჯანი მაინც დალიეთ! მე მიყვარს ჩაი. სასიამოვნო რამეა ჩაის სმა, მოდუნების საშუალებას გაძლევს შუადღისას.

– ალბათ, ინგლისელი ხართ?

– არა, კალიფორნიელი. აქ დავიბადე.

– აქ არც ისე ბევრი კალიფორნიელია.

– კალიფორნიელების უმეტესობა აიოვიდანაა.

– მეც იქაური ვარ.

– რას ამბობთ!..

ჰო, ჩემმა თეთრმა კოსტიუმმა შთაბეჭდილება მოახდინა. დავჯექი.

– ლიმონით?

– არა, გმადლობთ.

– ორი?

– არა, უშაქროდ.

– ესე იგი, ტკბილეული არ გიყვართ?

ქალმა გაიღიმა და მისი კბილები დავინახე – მსხვილი, თეთრი, ოდნავ წინ წამოწეული.

- მე ხშირად მაქვს საქმე ჩინელებთან. მათ გადამაჩვიეს ამერიკულად ჩაის სმას.
  - მე მომწონს ჩინელები. ჩოუ მიანისთვის პროდუქტებს ყოველთვის პარკის ახლო პატარა საბაყლოში ვყიდულობ, მისტერ ლინგთან. იცნობთ?
  - ვიცნობ. კარგა ხანია.
  - აჰ, აი, თურმე რა.
- ქალმა წარბები აწკიპა და შევნიშნე, რომ არც ისე გადაღლილი და შემჭკნარი იყო, როგორც პირველად ნახვისას. შუბლზე წითური ჭორფლი ეყარა. ჩემი მზერა დაიჭირა.
- ვატყობ, ჩემს ჭორფლს ათვალაიერებთ.
  - არა, რას ამბობთ...
  - არა, ათვალაიერებთ! ამის გამო ყოველთვის დოლბანდს ვატარებდი მზეზე გასვლისას, მაგრამ ხშირად ქუჩაში თავს მახეზრებდნენ, მკითხაობას მთხოვდნენ და იძულებული გავხდი, აღარ დამეხურა.
  - ნუთუ ბედის წინასწარმეტყველება შეგიძლიათ?
  - არა. იცით, ვერაფრით მოვახერხე ამ ტრადიციული კალიფორნიული ხელობის შესწავლა.
  - სულერთია, მე მაინც მომწონს ჭორფლი...
- გვერდიგვერდ ვისხედით და მისტერ ლინგზე ვლაპარაკობდით. ერთი ჩვეულებრივი ბაყალი იყო და მალე მაგარ საქმოსნად იქცა. უკვე, ყოველწლიურად, მის უძრავ ქონებას ოცდახუთი ათასი დოლარით ვბეგრავდით. ვერ წარმოიდგენთ, ახლა რა ჩაქცეული ვინმე იყო... ცოტა ხანში მე მაინც დავუბრუნდი დაზღვევის საკითხს.
- მართლა, რა გადაწყვიტეთ პოლისზე?
  - ისევ ავტომობილისტების კლუბზე ფიქრობს, მაგრამ ალბათ ხელშეკრულებას თქვენ გაგიგრძელებთ.
  - მოხარული ვარ.
- წუთით მდუმარედ იჯდა, კოფტის კიდეებს ხელით წვრილად ანაოჭებდა და მერე ისევ ასწორებდა.
- იმ დაზღვევაზე... აი, უბედურ შემთხვევაზე რომ არის... მისთვის სიტყვა არ მითქვამს.
  - არა?
  - მეუხერხულა ამაზე ლაპარაკი.
  - გასაგებია.



– ენა ვერ გიბრუნდება, ადამიანს რომ უბედური შემთხვევისგან დაზღვევა შესთავაზო. და მაინც... იცით, ჩემი ქმარი ფირმა «ვესტერნ ფაიფ ენდ სეფლაი კომპანის» ლოს-ანჯელესის განყოფილების წარმომადგენელია.

– როგორც ვიცი, ეს მილსადენების ჩაწყობასთან არის დაკავშირებული?

– დიახ. ლოს-ანჯელესში ოფისი აქვს, მაგრამ დროის დიდ ნაწილს მშენებლობაზე ატარებს.

– მაგრამ ეს ხომ სახიფათოა! რაღაც ორმოებში და მილებზე ცოცვა...

– ცუდად ვხდები, ამას რომ წარმოვიდგენ!

– მერე კომპანია არ აზღვევს?

– არა. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი.

– ასეთი სახიფათო საქმით დაკავებულმა კაცმა უნდა...

და აქ გადავწყვიტე, მიუხედავად მისი მიმზიდველი ჭორფლისა, მაინც გამერკვია, რა თამაში წამოიწყეს ჩემთან.

– მისმინეთ, რა იქნება, თავად რომ მოველაპარაკო მისტერ ნედლინგერს? ისე, რბილად და ძალდაუტანებლად. არც კი ვახსენებ, საიდან ვისესხე იდეა.

– უბრალოდ, მე არ შემიძლია მასთან ამ თემაზე ლაპარაკი.

– ხომ გითხარით, თვითონ დაველაპარაკები.

– მაგრამ ხომ მკითხავს, რას ვფიქრობ ამაზე. და მე... პირდაპირ არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა. საშინლად ვღელავ...

ნაკეცების კიდევ ერთი რიგი ჩააწყო და საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, ამოთქვა:

– მისტერ ჰაფ, არ შეიძლება, თავად გავაფორმო მისთვის დაზღვევა ისე, რომ მან არაფერი იცოდეს? მართალია მცირეოდენი, მაგრამ ჩემი ფული მაქვს. მე გადაგიხდით, მას არაფერი ეცოდინება, სამაგიეროდ, ყველანი გაცილებით მშვიდად ვიქნებით...

მშენივრად მივხვდი, საითაც უკაკუნებდა. ტყუილად ხომ არ ვიმუშავე სადაზღვევო აგენტად თხუთმეტი წელიწადი. სიგარეტი საფერფლეში ჩავჭყლიტე, მაშინვე რომ ავმდგარიყავი და წავსულიყავი. აქედან დაუყოვნებლივ წასვლას ვაპირებდი, ჯანდაბას გაუგრძელებელი პოლისიც და ამის თავიც! ყველაფერი ახლავე უნდა მივაგდო, როგორც გავარვარებული ცეცხლის საჩხრეკი... მაგრამ ეს არ გავაკეთე. ოდნავ გაოცებული მიმზერდა, მისი სახე სულ ახლოს იყო ჩემთან. და ნაცვლად იმისა, წავსულიყავი, მოვეხვიე, მივიზიდე და ვაკოცე. მაგრად, ტკივილამდე. ერთიანად ვკანკალებდი, როგორც ფოთოლი ქარში. ცივად შემომხედა, მერე თვალები დახუჭა და კოცნაზე მიპასუხა...

\*\*\*

– მაშინვე მომეწონე.

– რაღაც არ მჯერა. ტყუი.

– ჩაიზე ხომ მოგიპატიჟე? განა მაშინ არ დაგიბარე, როცა ბელი არ იქნებოდა? მაშინვე მომეწონე, პირველი დანახვისთანავე. მომეწონა, მედიდური იერით რომ მსჯელობდი შენს კომპანიასა და ყველაფერზე. ამიტომაც შემოგიჩნდი იმ ავტომობილისტების კლუბით.

– მართლაც რომ შემომიჩნდი.

– ახლა ხომ იცი, რატომაც.

თმა ავუწეწე და ერთად დავიწყეთ კოფთაზე ნაკეცების გაკეთება.

– მისტერ ჰაფ, უსწორმასწორო ნაოჭები გამოგდით.

– სად არის უსწორმასწორო?

– ქვემოთ ფართოა, ვიდრე ზემოთ. ქსოვილი თანაბრად უნდა დაანაოჭო – აი, ასე, მერე გადაკეცო, გაასწორო და ძალიან საყვარელი ნაკეცები გამოდის. ხედავ?

– ვეცდები.

– მაგრამ ახლა არა... შენი წასვლის დროა.

– მალე გნახავ?

– შესაძლოა.

– მომისმინე, დიდხანს ლოდინი არ მსურს.

– მაგრამ ბელი ყოველდღე ხომ არ ისვენებს. შეგატყობინებ.

– როდის?

– მალე. ოღონდ დარეკვა არც იფიქრო, გაიგე? თვითონ დავრეკავ. გპირდები.

– კარგი, ასე იყოს. გამომშვიდობების წინ არ მაკოცებ?

– ნახვამდის.

\*\*\*

მე ლოს-ფელიზ-ჰილზში ვცხოვრობდი, პატარა ბუნგალოში. დღისით მოსამსახურე მოდიოდა, ფილიპინელი ბიჭი, მაგრამ ღამის გასათევად არ რჩებოდა. იმ ღამეს წვიმდა და შინიდან არ გავსულვარ. ბუხარში ცეცხლი გავაჩაღე, დავჯექი და ვცდილობდი, გამეაზრებინა, რისკენ მივდიოდი. უფსკრულის პირას ვიდექი და მის უძირო სიღრმეს ჩავყურებდი. ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა და გავრიდებოდი, გავრიდებოდი სწრაფად და აღარასოდეს მივახლოებოდი. მაგრამ ამას სიტყვით ვამბობდი, საქმით კი

კვლავ უფსკრულის პირას დგომას განვაგრძობდი და ყოველ ჯერზე, როცა ნებისყოფას მოვიკრებდი და საკუთარი თავის გამოთრევას მოვინდომებდი, რაღაც მაიძულებდა მასთან კიდევ უფრო ახლოს მისვლასა და უფრო ღრმად ჩახედვას, რათა გამერჩია, რა იყო იქ, უფსკრულის ფსკერზე.

ცხრა საათი იქნებოდა, კარზე ზარი რომ აწვრიალდა და მაშინვე მივხვდი, ვინ იყო. იქ ის იდგა, საწვიმარსა და პატარა რეზინის საცურაო ქუდში, ჭორფლზე წვიმის წვეთები უბრწყინავდა. გახდაში მივებმარე, სვიტერი და ჯინსი ეცვა – ყოველდღიური ჰოლივუდური სამოსი, მაგრამ ისიც კი მასზე რაღაც უჩვეულოდ ჩანდა. ბუხართან მივიყვანე და დაჯდა. გვერდით მივუჯექი.

– საიდან გაიგე ჩემი მისამართი?..

თვით ასეთ წუთშიაც კი გამიელვა ფიქრმა, რომ მართლაც არ იყო საჭირო ჩემს კანტორაში დაერევა და ნაირ-ნაირი კითხვა დაესვა.

– სატელეფონო წიგნიდან.

– ა-ა-ა...

– გაგიკვირდა?

– არა.

– ერთი უყურეთ! აი, ეს მომწონს. სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი თვითდაჯერებული ტიპი.

– რაო, ქმარი წასულია?

– ლონგ-ბიჩშია. იქ ახალ ჭაბურღილს თხრიან. და კიდევ სამ მაღაროს. წასვლა მოუხდა. ჰოდა, შევახტი ავტობუსს და... იქნებ ის მაინც გეთქვა, რომ ჩემი ნახვა გიხარია.

– კარგი ადგილია ლონგ-ბიჩი.

– ლოლას კი ვუთხარი, კინოში მივდივარ-მეთქი.

– ვინ არის ლოლა?

– ჩემი გერი.

– რამდენი წლისაა?

– ცხრამეტის. აბა, გიხარია ჩემი ნახვა თუ არა?

– დიახ, რა თქმა უნდა. მე ხომ... გელოდი...

ცოტა ხანს ვცბედობდით, რომ ქუჩაში სინესტეა, იმედი გამოვთქვით, წვიმა წარღვნად არ იქცევა-თქო, როგორც ეს 1934 წლის წინასაახალწლო ღამეს მოხდა. გადავწყვიტეთ, რომ შინ მანქანით წავიყვანდი. ის მდუმარედ უყურებდა ცეცხლს.

- სულ დავკარგე თავი...
  - ვითომ სულ?
  - ცოტათი მაინც.
  - ნანობ?
  - ცოტა. ადრე ასეთი რამის უფლება თავისთვის არასოდეს მიმიცია. მას შემდეგ, რაც გავთხოვდი. აი, რატომ ვარ აქ.
  - ისე იქცევი, თითქოს მართლა რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყოს.
  - მოხდა. სავსებით დავკარგე თავი. ეს ხუმრობა არ გეგონოს.
  - მერე?
  - უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ...
  - იგონებ რაღაცას!
  - არა, არ ვიგონებ. რომ ვიგონებდე, აქ არ მოვიდოდი. უბრალოდ, ამას აღარასოდეს გავაკეთებ, მორჩა და გათავდა.
  - დარწმუნებული ხარ?
  - რა თქმა უნდა.
  - ვნახოთ.
  - არა, არა... იცი, მე ქმარი მიყვარს, თანაც აქ, ახლა – ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე.
- ახლა მე ვუყურებდი ცეცხლს. უნდა გამოვმშვიდობებოდი და თანაც სასწრაფოდ, ეს დანამდვილებით ვიცოდი. მაგრამ რაღაც არ მაძლევდა ამის გაკეთების საშუალებას, პირიქით, უფრო და უფრო მიბიძგებდა უფსკრულისკენ. და კიდევ – ვგრძნობდი, იმას არ ამბობდა, რასაც ფიქრობდა. ზუსტად ისევე, როგორც პირველად ნახვისას. მაშინ მისი სიტყვების უკან სხვა რამ იმალებოდა. ვერაფრით ვიცილებდი თავიდან ამ შეგრძნებას და ისევ მივუბრუნდი:
- საინტერესოა, რატომ «აქ და ახლა»?
  - მე ხომ ვღელავ...
  - გგონია, ამ წვიმიან ღამეს მუშაობისას ამწე დაეცემა თავზე?
  - გთხოვ, ასე ნუ ლაპარაკობ!
  - მაგრამ ჩანს, ამას გულისხმობდი, არა?
  - ჰო.

– შენი მესმის. განსაკუთრებით – თუ მთელ ნაკრებს გაითვალისწინებ.

– ვერ გავიგე. რა ნაკრებს?

– აი... წვიმიან ღამეს, მაღაროს, ამწეს...

– მერე რა?

– დაეცემა თავზე.

– გთხოვთ, მისტერ ჰაფ, არ გინდათ! არ გინდათ ასეთ რამეებზე ლაპარაკი! სასაცილოდ სულაც არ არის საქმე. ძალიან მაშინებთ. რატომ ხართ ასე სასტიკი?

– იმიტომ, რომ სწორედ შენ აპირებ თავზე მისთვის იმ ამწის დაცემას!

– მე... რა?!

– არა, იქნებ ამწისა არა... სულ სხვა რამის. ვითომ რაღაც შემთხვევით დაეცემა თავზე და ის დაიღუპება...

დარტყმამ მიზანს უწია, თვალები აუელვარდა. მთელი წუთი გავიდა, სანამ ხმას ამოიღებდა. მას ამ წუთებში უნაკლოდ უნდა ეთამაშა, მაგრამ მოულოდნელად დავესხი თავს და ვერაფრით გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

– შენ... ხუმრობ?..

– სრულიადაც არა.

– ხუმრობ ან გარეკე. ღმერთო, მსგავსი არაფერი გამიგია სიცოცხლეში!

– არც გამირეკავს და არც ვხუმრობ. და შენც გსმენია ასეთი რამეები. სწორედ ამაზე ფიქრობ მას შემდეგ, რაც მე შემხვდი, და ამიტომაც მობრძანდი აქ.

– ერთი წამითაც არ დავრჩები აქ! ასეთი სისამაგლეების მოსასმენად!

– ძალიან კარგი.

– მივდივარ.

– კარგი.

– მივდივარ ამ წუთშივე...

\*\*\*

ერთი სიტყვით, უფსკრულის პირიდან უკან დავიხიე, მივახვედრე, რომ მისი განზრახვა ამოვიცანი. თანაც ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ ამ თემას აღარასოდეს დავბრუნებოდი. ვითომ აღარასოდეს? დიახ, აღარასოდეს!.. მაგრამ მე ეს მხოლოდ დავაპირე. ავდექი კიდეც, საწვიმარი რომ მიმეწოდებინა...

შინ არ წამიყვანია. ნაბიჭვარი კატასავით ვექცეოდი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მტკიცედ ვიცოდი, რომ ხვალ საღამოს სწორედ ასევე იწვიმებდა და ისინი იქ, ლონგ-ბიჩში, ჭაბურღილს გათხრიდნენ, მე კი ბუხარში ცეცხლს გავაჩაღებდი, დავჯდებოდი მის წინ და ცეცხლს მივაჩერებოდი... და ზუსტად 9 საათზე ისევ აწკრიალდებოდა ზარი.

...რომ შემოვიდა, არც დამლაპარაკებია. ხუთიოდ წუთს ბუხართან მდუმარედ ვისხედით. მერე თქვა:

– როგორ მოგიბრუნდა ენა ჩემთვის ასეთი რამეების სათქმელად?

– იმიტომ, რომ ეს სიმართლეა. სწორედ ამის გაკეთებას აპირებ.

– ახლა? მას შემდეგ, რაც მითხარი?!

– დიახ, მას შემდეგ, რაც გითხარი.

– მაგრამ, უოლტერ, დღეს სწორედ ამიტომ მოვედი შენთან. ყველაფერი მოვიფიქრე. ჩემი ორი თუ სამი ფრაზა დამახინჯებულად გაიგე. მიხარია კიდეც, რომ შენიშნე და გამაფრთხილე. ხომ შემეძლო, ასეთი რამ ვისთანაც და სადაც გინდა წამომეროშა. და კაცი, რომელმაც ჩემი მდგომარეობა არ იცის, ყველაფერს არასწორად გაიგებდა. მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ შენც მიხვდი, მსგავსი რამ თავში არ შეიძლებოდა მომსვლოდა...

ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელი დღე შიშისგან კანკალებდა, ვაითუ მისი ქმრის გაფრთხილება მომენდომებინა ან კიდეც რაღაც მეხიმანა... და მეც გადავწყვიტე, თამაში გამეგრძელებინა.

– შენ მე უოლტერი დამიძახე. შენ რა გქვია?

– ფილისი.

– ფილის, რადგან მიგიხვდი, ვითომ ჩანაფიქრზე უარს იტყვი? არა, საქმეს ბოლომდე მიიყვან და ამაში მე დაგეხმარები.

– შენ?!

– დიახ.

ისევ მოულოდნელად დავესხი თავს, ოღონდ ამჯერად არც უცდია შეურაცხყოფილი უმანკოების გათამაშება.

– ასეთ საქმეში თანამზრახველები არ შეიძლება. ეს შეუძლებელია.

– შეუძლებელია, არა? მაშ, მისმინე, რას გეტყვი. შენ თანამზრახველის პოვნა გინდა. რა თქმა უნდა, ასეთი საქმის გაკეთება მარტო ჯობს, რათა ამქვეყნად არც ერთმა სულიერმა არ იცოდეს. ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ძნელი ის არის, რომ მარტო ვერ გაქაჩავ. ვერ გაქაჩავ, რადგან სადაზღვევო კომპანიასთან საქმის დაჭერა მოგიწევს. შენ თანაშემწე გჭირდება და ვერავინ დაგეხმარება იმ კაცზე უფრო უკეთ, ვინც სადაზღვევო საქმის ყველა ხვრელი იცის.

– რისთვის გჭირდება ეს? რა გინდა?

– შენ მჭირდება. ეს პირველი.

– კიდევ?

– ფული.

– იმის თქმა გინდა, რომ... კომპანიას უღალატებ და ამას ჩემი და იმ ფულის გამო გააკეთებ, რომელსაც მიიღებ?

– დიახაც. სრული სიმართლეა. შენ კი გირჩევ, ამიერიდან არ იეშმაკო, ყველაფერი გულახდილად თქვა, რადგან მე თუ საქმე წამოვიწყე, ბოლომდეც მივიყვან. მაგრამ შეცდომა არ უნდა დავუშვათ... მე ინფორმაცია მჭირდება. ყველა წვრილმანი და დეტალი. ეს... სახუმარო სულაც არ არის. თვალები დახუჭა და უეცრად ატირდა. მოვეხვიე და მხარზე ხელი მოვუთათუნე. სასაცილოა – ყველაფრის მერე, რაზეც ვილაპარაკეთ, მე ვამშვიდებდი, თითქოს პატარა ბავშვი ყოფილიყოს, პენი რომ დაკარგა.

– გთხოვ, უოლტერ, თუ შეიძლება! ამის უფლება არ მომცე. ეს არ უნდა ვქნათ... რაღაც სიგიჟეა...

– ჰო, სიგიჟეა.

– და მაინც, ჩვენ ამას გავაკეთებთ, მე ვგრძნობ.

– მეც.

– იცი, საამისოდ არანაირი მიზეზი არ მაქვს. შესანიშნავად მეპყრობა, ისე, როგორც მოყვარულ ქმარს შეუძლია მოექცეს საყვარელ ცოლს. არ მიყვარს, მაგრამ ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია.

– და მაინც, შენ ამაზე მიდიხარ.

– ჰო და ღმერთი იყოს ჩემი მფარველი. მე მაინც გავაკეთებ ამას.

ტირილი შეწყვიტა და ერთხანს მდუმარედ იწვა ჩემს მკლავებში. შემდეგ ძალზე ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, მითხრა:

– ის უბედურია. მისთვის უკეთესი იქნება, თუ მოკვდება.

– მართლა?

– განა არა?

– არა მგონია. საქმე არც ისე ცუდად მიუდის.

– ვიცი, ვიცი. მართალი ხარ. მეც მაგას ვეუბნები ხოლმე, მაგრამ ჩემში რაღაც ისეთი ზის... არ ვიცი რა დავარქვა. იქნებ არანორმალური ვარ. ჩემში არის რაღაც, რასაც სიკვდილი უყვარს. ხანდახან მეჩვენება, რომ თავად სიკვდილი ვარ. სიკვდილი ალისფერ სავანაში, ღამის ზეცაში მფრინავი და ისეთი ლამაზი... მე სევდიანი ვარ და სამყაროს ბინადართა, ყველასი, ყველასი, გაბედნიერების მოსურნე. ყველას ჩემთან წავიყვანდი, ღამეში, მწუხარებისა და დარდისაგან, უბედურებებისგან შორს... საშინელებაა, უოლტერ. ვიცი,

რომ საშინელებაა. ვცდილობ, ეს თავს ჩავუნერგო. მაგრამ მე... რატომღაც ეს საშინელებად არ მეჩვენება. ასე მგონია, მართლაც მინდა მისთვის სიკეთის გაკეთება, ოღონდ მას ვერ გაუგია. შენ გესმის ჩემი, უოლტერ?

– არა.

– არავის ესმის.

– მაგრამ ჩვენ მაინც გავაკეთებთ ამას. აუცილებლად გავაკეთებთ.

– ჰო, აუცილებლად.

\*\*\*

ერთი-ორი დღის შემდეგ ისევ ვილაპარაკეთ, მაგრამ ისე მშვიდად, თითქოს მთაში გასეირნებაზე იყო ლაპარაკი. მინდოდა, გამეგო, რა გეგმა ჰქონდა და რაიმე გაუფრთხილებელი ნაბიჯი ხომ არ გადადგა.

– რამე უთხარი? დაზღვევაზე გეკითხები.

– არა.

– სულ არაფერი?

– ერთი სიტყვაც კი.

– კარგი. მაშ, რა გეგმა გაქვს?

– თავდაპირველად სადაზღვევო პოლისის აღება მინდა...

– ისე, რომ მან არაფერი იცოდეს?

– დიახ.

– ღმერთო, ხომ მაშინვე გაგაბეს! პირველად სწორედ ეს დააეჭვებთ. არა, ეს ამთავითვე უნდა გამოირიცხოს. შემდეგ?

– ის საცურაო აუზის აშენებას აპირებდა. გაზაფხულზე, პატიოში.

– მერე?..

– ვიფიქრე, იქნებ ისე მოგვეწყო, თითქოს თავი გაიხეთქა, რომ ჩაყვინთა და...

– გამორიცხულია. ეს უფრო უარესია...

– რატომ? ხომ ემართებათ ასეთი რამ ადამიანებს?

– არ გამოდგება. ჯერ ერთი, ვიღაც ბრიყვმა, ჩემნაირივე ბიზნესით რომ არის დაკავებული, ხუთი-ექვსი წლის წინ გაზეთში სტატია გამოაქვეყნა იმაზე, რომ უბედურ შემთხვევათა



უმრავლესობა ხალხს აბაზანაში ემართება. მას შემდეგ აბაზანები, აუზები და ტბორები უცილობლად იწვევს ეჭვს. კომპანია მაშინვე სადავოდ ხდის თავად უბედურ შემთხვევას. ახლა კალიფორნიაში სწორედ ასეთ ორ საქმეს განიხილავენ. მართალია არც ერთში არ ფიგურირებს რამდენამდე მნიშვნელოვანი თანხა, მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ თუ დაზღვევის საკითხი ამოტივტივდა, ნათესავები სახრჩობელის პირველი კანდიდატები იქნებიან. მერე, საქმე დღისით უნდა გაკეთდეს, ეგეც არ იყოს, დარწმუნებული იქნები, რომ იმ მომენტში ვინმე არ გითვალთვალებს მესრის ღიობიდან ან ბორცვიდან? აუზი ხომ ჩოგბურთის კორტივითაა, აუცილებლად გამოიძებნებიან ცნობისმოყვარენი. ყოველ წუთს შეიძლება ვინმე გითვალთვალებდეს. და ბოლოს, უნდა ელოდო მოვლენების იბლიანად განვითარებას, წინასწარ რაიმეს დაგეგმვა შეუძლებელია. წინასწარ ვერ გაიგებ, სახელდობრ როდის შეიძლება შეუდგე გადამწყვეტ ქმედებებს. დაიმახსოვრე, ფილის, შედეგიანი მკვლელობა სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება...

ეს სიტყვები უფრო ადრე წამომცდა, ვიდრე გონს მოვიდოდი. მზერა მისკენ ვტყორცნე. ველოდი, თუნდაც თვალს დაახამხამებდა ან ძირს დახრიდა. მსგავსი არაფერი! პირიქით, მთელი ტანით გადმოიხარა ჩემკენ. გუგების სიღრმეში კი მტაცებლური ნაპერწკალი უელავდა, ლეოპარდით.

– გააგრძელე. გისმენ.

– პირველი – თანამზრახველი. მარტო ამ საქმეში ვერაფერს გახდები. მეორე – დრო, ადგილი, ხერხი. ყველაფერი ეს წინასწარ უნდა მოიფიქრო. მესამე – თავხედობა. რატომღაც სწორედ ამას ივიწყებენ დამწყები მკვლელები. პირველ ორს კიდევ როგორღაც იცავენ, მაგრამ მესამე მხოლოდ პროფესიონალებმა იციან. მკვლელობისას აუცილებლად დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ თავხედობას შეუძლია გიხსნას. და საერთოდ, იცი კი, რას ნიშნავს იდეალური მკვლელობა? აგიჩემებია, აუზიო და გგონია, ყველაფერს ისე სუფთად გააჩალიჩებ, კაციშვილი ვერ გაიგებს. ორ წამში შეგატყობენ, სამში – დაგიმტკიცებენ, კიდევ ოთხი წამის შემდეგ თვითონ აღიარებ ყველაფერს. არა, ეს სხვა რამეა. იდეალურ მკვლელობაში ასპარეზზე განგსტერები გამოდიან. და იცი, როგორ მოქმედებენ? პირველად მიზანში მსხვერპლს ამოიღებენ. მაგალითად, დაამუშავებენ იმ გოგოს, რომელთანაც ცხოვრობს. დაახლოებით საღამოს ექვს საათზე გოგო დარეკავს. ვითომ მაღაზიაში პომადის საყიდლად მიდის და რეკავს. საღამოს კინოში წასვლას აპირებენ, ის და კაცი. ვთქვათ, ამა და ამ კინოთეატრში. იქ დაახლოებით ცხრაზე იქნებიან. ამრიგად, პირველი ორი წესი დაცულია. მათ ჰყავთ თანამზრახველი და დროც და ადგილიც წინასწარ აქვთ შერჩეული. ახლა ნახე, როგორ დაიცავენ მესამე წესს. სხდებიან მანქანაში. სადღაც ქუჩაში გამოურთავი მრავით აჩერებენ მანქანას. ერთი ხელის ბიჭი ჰყავთ. ის გადმოდის მანქანიდან, ქუჩაში დახეტიალობს და უცებ ცხვირსახოცი უვარდება, რომელსაც თავადვე აიღებს. ეს სიგნალია – მსხვერპლი ახლოვდებაო. ისინიც გადმოდის მანქანიდან და წყვილს კინოთეატრამდე მიჰყვებიან. და პირდაპირ იქ, გაჩირაღდნებული ლამპიონების შუქზე და რამდენიმე ასეული მოწმის თვალწინ, კაცს კლავენ. მას, პრაქტიკულად, არც ერთი შანსი არ აქვს – ოთხი თუ ხუთი ავტომატიდან ოცი ტყვია ხვდება. ეცემა, ისინი მანქანისკენ გარბიან და ქრებიან – და აბა, სცადე ერთი, ეს საქმე მიაკერო! თითოეულს წინასწარ აქვს მომზადებული ალიბი, თანაც ასპროცენტისანი. ისინი მხოლოდ რამდენიმე წამით ნახეს, ამასთან, ხალხი ისეა შეშინებული, ვერც გაუგია რა ხდება და შანსიც მათი სასამართლოს წინაშე წარდგომისა პრაქტიკულად ნულის ტოლია. რა თქმა უნდა, პოლიციამ იცის, ვისი ნახელავიცაა ყველაფერი. მათ აპატიმრებენ,

დაჰკითხავენ, მერე კი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ტიპები ციხის გარეთ აღმოჩნდებიან. მათი დადანაშაულება არ შეიძლება. ვერაფერს იტყვი, თავიანთი საქმე მაგრად იციან! თუმცა, შენც კარგად იცი და გესმის ყველაფერი ეს. და თუ მაინცდამაინც ასეთ რამეს წამოიწყებ, იმ განგსტერებივით უნდა მოიქცე, იმ სან-ფრანცისკოელი ტიპივით, ორი სასამართლო პროცესი რომ მოიტოვა უკვე უკან და ჯერაც არ იციან, როგორ წამოაგონ ანკესზე.

– მაშ, უფრო მეტი თავხედობა არა?

– დიახ, მეტი თავხედობა. ეს ერთადერთი ხერხია.

– მაგრამ თუ დავხვრეტო, უბედური შემთხვევა აღარ იქნება.

– ჰო, მართალია. ამიტომაც არ ვესვრით, მაგრამ მე მინდა, თავში ჩაგეჭედოს თვით პრინციპი – მეტი თავხედობა. ეს ერთადერთი შანსია წყლიდან მშრალად ამოსვლისა.

– მაშ, როგორღა?

– აი, სწორედ ამას მივადექი ახლა. შენი აუზის იდეის კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ფულის იმედი არ უნდა გქონდეს.

– მაგრამ მათ ხომ უნდა გადაიხადონ?!

– უნდა გადაიხადონ, მაგრამ საქმეც ის არის – რამდენი. ყველაზე დიდ ფულს რკინიგზაზე მომხდარი უბედური შემთხვევების პოლისში იხდიან. ის, რასაც ხალხი მაღალი საფრთხის ზონებად მიიჩნევს, სულ სხვა რამეა. იმ ტიპებმაც ხელად იყნოსეს ეს, როცა სადაზღვევო ბიზნესს მოჰკიდეს ხელი. იმის თქმა მინდა, რომ ადამიანებს მატარებლები და რკინიგზა ძალზე სახიფათო ჰგონიათ ან ეგონათ სულ ცოტა ხნის წინ, მაგრამ სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სარკინიგზო კატასტროფებში არც ისე ბევრი ადამიანი იღუპება და სადაზღვევო კომპანიებიც თავიანთ პოლიტიკას ამაზე აგებენ – კლიენტს პოლისს საკმაოდ ძვირად მიჰყიდებიან იმ ვარაუდით, რომ მატარებელში ჩაჯდომის წინ ყველა ადამიანი ოდნავ ღელავს. კომპანიას ეს ძვირი სულაც არ უჯდება, რადგან მგზავრი, როგორც წესი, მშვიდობიანად მიდის დანიშნულების ადგილამდე. რკინიგზაზე მომხდარ უბედურ შემთხვევებში ორმაგ სადაზღვევო თანხას იხდიან. აი, სად არის დიდი ფული! ამიტომ არ გინდა რაღაც-რაღაცების ჩმახვა და გამოგონება. აი, სად არის შანსი! თუ ეს საქმე გავაჩალიჩეთ, ორმოცდაათი ათასზე მეტს გამოვკრავთ ხელს... და თუ სუფთადაც გავაკეთეთ, ნაღდი ფულით გადაიხდიან, ვერსად წაგვივლენ, ამისა ნუ გეფიქრება.

– ორმოცდაათი ათასი დოლარი?

– რა, არა უშავს?

– აბა, რა!

– უმჯობესია, თქვა, მაგარია-თქო, სანამ მე ვიტყვოდე. რა, ამდენი წელია, ტყუილად ვიქეჩები ამ ნეხვში? მაშ, ასე: შენს ქმარს ყველაფერი ეცოდინება ამ პოლისზე და იმავდროულად ვერც ვერაფერს გაიგებს. ის მას წერილობითი სახით მოითხოვს და ვერც მოითხოვს.

საკუთარი ჩეკით გაანაღდებს და არც გაანაღდებს. მას უბედური შემთხვევა დაემართება და არც დაემართება. ჩაჯდება მატარებელში და თან არც ჩაჯდება...

– რას ბოდავ?

– თანდათან გაიგებ. თავდაპირველად, უნდა დაარწმუნო, რომ ხელი მოაწეროს პოლისს. მე თვითონ მივყიდი. ოღონდ, სინამდვილეში, არ მივყიდი. ყოველ შემთხვევაში, მთლიანად არა. მაგარ ჯანდრში გავატარებ, თავს მოვუქონავ, ისე, როგორც ამას ყველა პერსპექტიულ კლიენტთან ვაკეთებ. და კიდევ – მე მოწმე მჭირდება. ეს გაითვალისწინე. ვინმე, ვინც მომისმენს, როგორ დავითანხმებ. დავუმტკიცებ, რომ ყველაფრისგან იქნება დაზღვეული, რაც კი მის ავტომობილს შეიძლება დაემართოს, მაგრამ რომ არც ერთი პუნქტი არ ითვალისწინებს მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას. თავში ჩავუჭედავ... მაგალითად, ასეთ რამეს: «ადამიანის სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე ავტომანქანა».

– კარგი, დავუშვათ, წამოეგო.

– კი, როგორ არა, წამოეგება! არც იფიქრო, ასე იოლი ნუ გგონია... ჯერ ამ ყველაფრით თავი უნდა გამოვუჭედო, გავაოგნო, მერე კი ცოტა ხანს სულს მოვათქმევინებ. გგონია, ვერ შევძლებ? მე ხომ ვაჭარი ვარ, პირწავარდნილი ვაჭარი! თანაც მე მოწმე მჭირდება. აუცილებლად. თუნდაც ერთი.

– ვიპოვი.

– შენ კი შემეკამათები.

– კარგი.

– იტყვი, რომ მთელ ამ საავტომობილო აბდაუბდას სულითა და გულით ეთანხმები, მაგრამ უბედური შემთხვევის ხსენებაც კი არ გასურს, რომ ამის გაგონებაზე გაკანკალებს და ამისთანები...

– კარგი, დავიმახსოვრებ.

– ჩვენს შეხვედრაზეც მოელაპარაკე, დაუყოვნებლივ... და მაშინვე დამირეკე.

– ხვალ?

– ჰო. დამირეკე და გახსოვდეს – საჭიროა მოწმე.

– მოწმე იქნება.

– მაშინ ხვალ დილით ველოდები ზარს.

– უოლტერ... ყველაფერი ეს ისე აღმაგზნებს... პირდაპირ თავგზა მაქვს აბნეული და...

– მეც.

– მაკოცე...

\*\*\*

გგონიათ, შევიშალე? ვინ იცის, იქნებ შევიშალე კიდევ, მაგრამ სცადეთ, ამ ქვაბში თხუთმეტიოდე წელიწადი ითუხთუხოთ ჩემსავით და თქვენც გარეკავთ. ალბათ, გგონიათ, რომ ჩემი ბიზნესი სწორედ ისეთივეა, როგორც თქვენი, იქნებ ცოტა უკეთესიც. ვინ იცის, ფიქრობთ, სადაზღვევო აგენტი ხომ ქვრივებისა და ობლების მეგობარია, გაჭირვების ჟამს რომ ყოველთვის ეხმარება მათო. ბრანწი! ეს ყველაზე დიდი თაღლითობაა, ყველაზე აზარტული თამაში, რაც კი არსებობს მსოფლიოში, თუმცა ასეთი სულაც არ ჩანს. თქვენ ფსონს დებთ იმაზე, რომ სახლი დაგეწვებათ, ჩვენ – იმაზე, რომ არ დაიწვება, ეს არის და ეს. ტყუილი კი აი, სად იმალება – თქვენ არ გინდათ, სახლი დაგეწვათ, როცა ფსონს ჩადიხართ და გავიწყდებათ, რომ ეს თამაშია. მაგრამ ჩვენ ვერ გაგვაცურებთ. ჩვენთვის თამაში თამაშია, ფსონი კი ფსონი, ამასთან, ზოგჯერ ერთდროულად ორ ცხენზე. განსხვავება არ არის, მაინც ფსონია. აი, დავუშვათ, დგება მომენტი, როცა გინდათ, რომ სახლი დაგეწვათ, მომენტი, როცა ფული სახლზე მეტად გჭირდებათ. სწორედ აქ ტრიალდება, რაც ტრიალდება. ჩვენ ხომ ძირისძირობამდე გვაქვს შესწავლილი ამ მექანიზმის ყველა ბორბალი თუ ჭანჭიკი და თუ საჭიროა, გაქნილი ბიჭებიც ვართ. ყველგან გვყავს ჯამუშები და მოთვალთვალენი. ყველა ფოკუსი და ფანდი ვიცით. ჩვენი გაცურება რომ შეძლო, ჭკვიანი კაცი უნდა იყო. ძალიან ჭკვიანი... და სანამ სუფთად თამაშობთ, ჩვენ ღიმილით გიხდით, და როცა შინ მიდიხართ, ალბათ, ფიქრობთ – ეს რა კარგი, პატიოსანი, საყვარელი ხალხიაო... მაგრამ სცადეთ და ჩვენი მოტყუება გადაწყვიტეთ – მაშინვე გამოგიქეცავთ ყველაფერს.

დიახ, აგენტი ვარ. მე ამ თამაშში კრუპიე გახლავართ. ყველა ტრიუკი და ხრიკი ვიცი. ღამეებს უძილოდ ვათენებ ამ ხრიკების მოფიქრებაში და ამიტომაც მუდამ ფხიზლად ვარ. და აი, ერთ ღამესაც ერთი ასეთი ფოკუსი ჩავიფიქრე და წარმოვიდგინე, რომ ბედის ბორბლის საჩემოდ შემოტრიალება შემიძლია, ოღონდ კი საამისო ნიადაგი ვიპოვო და მასში თესლი ჩავაგდო. ფსონს ჩავიდე. აი, რაშია საქმე... სწორედ ამ დროს შევხვდი ფილისს და მივხვდი – სწორედ ეს იყო ის ნიადაგი. და თუ თქვენ სასაცილოდ გეჩვენებათ, რომ მზად ვარ კაცი მოვკლა რაღაც ერთი მუჭა ჟეტონისთვის, დაფიქრდით, ის თუ არის სასაცილო, მთელი სიცოცხლე ბედის ბორბალქვეშ იყო მოქცეული და უცებ შტურვალევით დაიწყო მისი ტრიალი. მე ძალზე ბევრი დამწვარი სახლი მინახავს, ძალზე ბევრი გვამი საფეთქელზე ლურჯი ნახვრეტით, ძალზე ბევრი საშინელი რამ, რასაც ადამიანები სჩადიან საიმისოდ, რომ ბედის ბორბალი თავიანთ მხარეს შეატრიალონ, ძალზე ბევრი რამ, რათა ყველა ეს სისამაგლე წარმოუდგენლად აღარ მეჩვენოს. და თუ ეს თქვენთვის გაუგებარია, გაემგზავრეთ მონტე-კარლოში ან კიდევ სადმე, სადაც დიდი კაზინოებია, მიუჯექით მაგიდას და დააკვირდით იმ ადამიანების სახეებს, რომლებიც სპილოს ძვლის ბურთულას წრეზე სატრიალოდ აგდებენ. შემდეგ კი დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: მაინც რამდენს ენაღვლება, თუ ახლა დარბაზიდან გახვალთ და შუბლში ტყვიას იკრავთ? იქნებ მაგიდასთან მსხდომთაგან მხოლოდ ერთი შეკრთეს სროლის გაგონებისას და თვალები დახაროს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ადარდებს, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, არამედ იმიტომ, რომ დაინახოს, ხომ არ დაგრჩა მაგიდაზე ჟეტონი, ნაღდ ფულზე რომ გადაცვალოს. არა, შენ მისთვის სულერთი ხარ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მისთვის კი სავსებით სულერთი.

– და კიდევ ერთი მომენტი, რომელზეც მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო, მისტერ ნედლინგერ. ეს არის სიახლე, გასულ წელს რომ შემოვიღეთ, ამასთან, კლიენტისათვის სრულიად უფასოდ. ჩვენ გირავნობის თავდებობის გარანტიას ვიძლევი. გამოგიწერთ ბარათს და თქვენი ბრალით რაიმე საგზაო ინციდენტის შემთხვევაში უბრალოდ აიღებთ და მას პოლიციას წარუდგენთ. თუ დარღვევის სახე არ ითვალისწინებს აუცილებელ დაკავებას, თქვენ დაუყოვნებლივ გაგათავისუფლებენ თავდებით. პოლიცია იტოვებს ბარათს და საქმეში მაშინვე ჩვენ ჩავერთვებით სადაზღვევო პოლისით და თქვენც თავისუფალი ხართ მანამ, სანამ სასამართლო განხილვის ვადა არ მოაწევს. რამდენადაც ამავე მომსახურებას ავტომობილისტთა კლუბიც ითვალისწინებს, თქვენ კი ამ კლუბში შესვლა გინდათ...

– უკვე გადავიფიქრე.

– თუ ასეა, რატომაც არ უნდა გავაფორმოთ ყველაფერი ახლავე? ვეცდები, რაც შეიძლება დაწვრილებით აგიხსნათ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ...

– ასე იყოს.

– მაშინ ხელი მოაწერეთ ამ ბლანკებს და თქვენ დაზღვეული იქნებით მაშინაც კი, როცა ძალაში ახალი პოლისები შევა, ეს კი დაახლოებით ერთ კვირაში მოხდება. აუცილებელი არ არის, ამ კვირისთვის დამატებით გადახდა. ვგულისხმობ ავარიისგან, ხანძრისგან ან ავტომანქანის გატაცებისგან დაზღვევის გადასახადს. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მაშინ ორივე ბლანკში, აი, აქ, თქვენი გვარი ჩაწერეთ. ჩვეულებრივ, ეს ასლები აგენტთან რჩება, საქმეში ეკერება და...

– სად ჩავწერო?

– აი, აქ, გეთაყვა, სადაც წერტილებია...

ეს იყო მასიური, თითქმის კვადრატული მამაკაცი რქის სათვალით, დაახლოებით ჩემი სიმაღლისა. საათივით ავაწყვე ყველაფერი. და მაშინვე, როგორც კი ბლანკებს ხელი მოაწერა, უბედური შემთხვევებისგან დაზღვევაზე გადავიტანე სიტყვა. არცთუ დიდი ენთუზიაზმით მისმენდა, მაგრამ მე ჩემსას ვუბერავდი. ფილისმაც ჩაურთო, რომ თავად აზრი უბედური შემთხვევისგან დაზღვევაზეც კი აკანკალებს და მეც ვაგრძელებდი. მანამ არ მოვისვენე, სანამ არ დავუსურათხატე არა მარტო ყველა ის მიზეზი, რომლების გულისთვისაც ღირდა ასეთი პოლისის ყიდვა და რისი თქმაც ნებისმიერ სადაზღვევო აგენტს შეეძლო, არამედ ერთი-ორი ისეთი მაგარ-მაგარი რამეც ჩავურთე, არც ერთ აგენტს რომ არასოდეს მოუვიდოდა ფიქრად. ისიც მისმენდა, თან სავარძლის სახელურზე თითებს ათამაშებდა და ეტყობა, იმას ნატრობდა, როგორმე ხმა ჩამეკმინდა და აქედან მომესვა.

მაგრამ ეს არ მაშფოთებდა. მე მოწმე მაწუხებდა, რომელიც ფილისმა მოიყვანა. რატომღაც მეგონა, რომ სადილად ვინმე ოჯახის მეგობარს დაპატიჟებდა, უფრო ქალს, რომელიც ჩვენთან ერთად დარჩებოდა სასტუმრო ოთახში და ჩვენს ლაპარაკსაც მოისმენდა. ნურას უკაცრავად! თავისი გერი მოიყვანა, საკმაოდ კარგი გოგო, სახელად ლოლა. ლოლას

ერთთავად გაქცევაზე ეჭირა თვალი. ამიტომ ფილისმა სვიტერისთვის ძაფის გადახვევა სთხოვა, რომლის მოქსოვასაც აპირებდა და ასე დააკავა გოგო სასტუმრო ოთახში. ისიც იჯდა და ახვევდა. მეც იძულებული ვიყავი, როგორღაც მიმექცია მისი ყურადღება, დროდადრო ლაპარაკში საკმაოდ ბრიყვულ ხუმრობასაც ჩავურთავდი, რათა გოგოს თუნდაც რაიმე დაემახსოვრებინა ჩვენი საუბრიდან. და რაც უფრო დიდხანს შევყურებდი, მით ნაკლებად მომწონდა ყველაფერი ეს. არა, მასთან ერთად აქ ჯდომა იმ დროს, როცა ვიცოდით, რაც უნდა გაგვეკეთებინა მამამისისთვის, თამაშის წესებში არ შედიოდა.

მეტიც, როცა წასასვლელად გავემზადე, მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა – უნდა შემეთავაზებინა კინოთეატრამდე მიყვანა, სადაც წასვლას აპირებდა. მამამისი სადღაც მიდიოდა საღამოს და მე რომ ჩემი სამსახური არ შემეთავაზებინა, ავტობუსით წასვლა მოუხდებოდა. სულ არ მინდოდა მასთან საქმის დაჭერა, მაგრამ როცა კითხვის თვალით შემომხედა, სხვა არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ წაყვანა შემეთავაზებინა და ისიც პალტოსა და შლაპისათვის გაიქცა. ორიოდ წუთის შემდეგ ბორცვიდან დაბლა ვეშვებოდით.

– მისტერ ჰაფ...

– დიახ..

– მე კინოში სულაც არ ვაპირებდი წასვლას.

– მართლა?

– პაემანი მაქვს. აფთიაქთან.

– აი, თურმე რა...

– მერე წაგვიყვანთ?

– რა თქმა უნდა.

– არ მიბრაზდებით?

– სრულიადაც არა.

– ხომ არ გამცემთ? არ მინდა გაიგონ. იქ, შინ. ორი მიზეზით.

– არა, რა თქმა უნდა, არა...

აფთიაქთან გავჩერდით. მანქანიდან გადაფრთხილდა და წუთის შემდეგ იტალიური იერის, ძალიან სიმპათიურ, უფრო სწორად, სანდომიან ახალგაზრდა კაცთან ერთად დაბრუნდა.

– აი, მისტერ ჰაფ, გაიცანით, ეს მისტერ საჩეტია.

– საღამო მშვიდობისა, მისტერ საჩეტი, დაბრძანდით, გეთაყვა.

ერთმანეთს შეჰღიმეს, მანქანაში ჩასხდნენ და ბიჩვულს გავუყევით ბულვარისკენ.

- სად გინდათ, რომ გადმოგსვათ?
- სადაც თქვენთვის იქნება მოსახერხებელი.
- მაშინ ჰოლივუდისა და უაინის კუთხეში?
- შესანიშნავია.

კუთხემდე მივიყვანე, გადმოვიდნენ, გოგომ ხელი ხელზე დამადო და მადლობა გადამიხადა. თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა.

- დიდი მადლობა, ისეთი კეთილი ხართ! გინდათ, რაღაც საიდუმლო გითხრათ? აქეთ მოიწიეთ.
  - გისმენთ.
  - თქვენ რომ არა, ფეხით სიარული მოგვიწევდა.
  - უკან როგორღა დაბრუნდებით?
  - ფეხით.
  - იქნებ ფული გასესხოთ?
  - რას ამბობთ, არა! მამა გაიგებს და მომკლავს. ყველაფერი შემომეფანტა, რაც კვირის სახარჯოდ მომცა. არა, გმადლობთ. და გახსოვდეთ – არც ერთი სიტყვა!
  - წადით, ჩქარა, თორემ წითელი აინთება...
- შინ მივედი. ნახევარ საათში ფილისიც გამოცხადდა, ედი ნელსონის ფილმიდან სიმღერის ლილინით.
- როგორ მოგწონს ჩემი სვიტერი?
  - გადასარევია.
  - ხომ მართლაც ლამაზი ფერია? არასოდეს მქონია ადრე დამჭკნარი ვარდისფერი. მგონი, მიხდება.
  - ჰო, ნამდვილად.
  - სად გადმოსვი ლოლა?
  - ბულვარზე, კინოთეატრთან.
  - სად წავიდა?
  - არ მიმიქცევია ყურადღება.
  - არავინ ელოდებოდა?

– არ შემინიშნავს. რა იყო?

– ისე, უბრალოდ მაინტერესებს. ერთ ბიჭს ხვდება, გვარად საჩეტის. საძაგელი ტიპია. ჩვენ ავუკრძალეთ მასთან შეხვედრა.

– არა, მგონი, დღეს იქ არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, არ შემინიშნავს. რატომ არ გამაფრთხილე, რომ ის იქნებოდა?

– შენ ხომ მოწმე გჭირდებოდა?

– მაგრამ არა ასეთი.

– ეს რით არის ცუდი?

– ამაში არ არის საქმე! ყველაფერს აქვს საზღვარი, ბოლოს და ბოლოს! იმ კაცის ღვიძლი შვილი, რომელიც... და ჩვენ მას ვიყენებთ. ერთი იფიქრე, როგორ და რისთვის ვიყენებთ!..

და უცებ სახე საშინელი გაუხდა, უბრალოდ, საშინელი და მინის ნატეხივით მყარი და მახვილი ხმით მომიჭრა:

– მერე რა? რა არის ამაში ასეთი? უკან იხევ?

– არა, მაგრამ ხომ შეგეძლო ვინმე სხვა მოგენახა. ქალაქში მიმყავდა, ჯიბეში კი აი, ეს მედო...

– ბლანკი ამოვიღე და დავანახვე. ერთ-ერთი იმ ასლთაგანი, რომელიც «ჩვეულებრივ, აგენტს რჩება». ეს იყო უბედური შემთხვევებისგან დაზღვევის პოლისი 25 ათას დოლარზე და შენიშვნით, რომ მოცემული პირის რკინიგზაზე დაშავების ან სიკვდილის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულებას იღებს, გადაიხადოს ორმაგი თანხა.

\*\*\*

დასახული გეგმის შესასრულებლად ერთი-ორჯერ ნედლინგერს სამუშაოზე შევუარე. პირველად გირავნობის თავდებობა გადავეცი, ხუთიოდ წუთს ვიჯექი, დოკუმენტის მანქანაში ქონა ვურჩიე და წამოვედი. მეორედ პატარა ტყავისყდიანი უბის წიგნაკი მივუტანე, ოქროსვარაყიანი შემონაჭერითა და ზედ ამოტვიფრული მისი სახელით – პატარა სუვენირი ფირმისგან კლიენტს. და ბოლოს, ავტომობილის დაზღვევის პოლისები გადავეცი, სამაგიეროდ კი მისგან ქვითარი მივიღე 79 დოლარსა და 52 ცენტზე. იმ დღესვე, ჩემი ოფისის ზღურბლს არ გადამეზიჯებინა, რომ ნეტემ შემატყობინა, კაბინეტში ორნი გელოდებიანო.

– ვინ არიან?

– ვიღაც მის ლოლა ნედლინგერი და მისტერ საჩეტი თუ რაღაც ამდაგვარი... მისი სახელი ვერ გავიგონე.

შევედი და გოგომ სიამოვნებისგან გაიცინა კიდევ. მაშინვე იგრძნობოდა, რომ მოვწონდი.

– რით შემიძლია გემსახუროთ?



– ერთი სათხოვარი გვაქვს თქვენთან. მაგრამ იცოდეთ, თავად გვაიძულებთ.

– მე? ეს როგორ? ვერ გამიგია.

– გახსოვთ, მამასთან რომ იყავით, ამბობდით, რომ ავტომანქანით შეიძლება სესხი მიიღო. როგორც გირაო, თუკი დაგჭირდება. ამიტომაც მოვედით. უფრო სწორად, ნინო...

მათი დახმარება მართლაც შემეძლო. საქმე ის არის, რომ ავტომობილისტთა კლუბში ასეთი პრაქტიკა არსებობდა – თავიანთ წევრებზე ფულს ასესხებდნენ. ამიტომაც მეც მომივიდა იდეა პატარა ბიზნესის წამოწყებისა. თუ შეიძლება ასე ითქვას, მინდოდა მქონოდა ჩემი პატარა კომპანია, სადაც მევე ვიქნებოდი დირექტორიც და შემსრულებელიც. კვირაში ერთ დღეს მხოლოდ ასეთ საქმეებს ვუთმობდი. სადაზღვევო კომპანიასთან ამას არაფერი ჰქონდა საერთო, მაგრამ ხშირად მესმოდა კითხვა: «ხომ არ შეგიძლიათ მანქანის მფლობელს გირაოდ ასესხოთ ფული?» მართლაც, ნედლინგერთან ყოფნისას მე ეს ვახსენე, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, თუ გოგოს დააინტერესებდა. საჩეტის გადავხედე:

– თქვენ გირაოთი გინდათ ფულის სესხება?

– დიახ, სერ.

– რა მანქანა გყავთ?

მიპასუხა. ჯაბახანა იყო.

– სედანი?

– არა, ორკარიანი.

– თქვენს სახელზეა და გადახდილიც?

– დიახ, სერ.

ეტყობა, ჩემი გამომეტყველება შენიშნეს, რადგან გოგომ ჩაიცინა და სწრაფად დაურთო:

– იმ საღამოს მას არ შეეძლო ჩემთვის შემოევლო. მანქანა გაუმართავი ჰქონდა.

– აი, თურმე რა...

არ მინდოდა ფულის სესხება არც მანქანის, არც არაფრის გულისათვის. სულ არ მინდოდა მასთან და ამ გოგოსთანაც საქმის დაჭერა თუნდაც რაიმე ფორმით ან სახით. არაფრის გულისათვის. გავაბოლე და წუთით მდუმარედ ვიჯექი.

– მაინცდამაინც ავტომანქანით გინდათ ფულის სესხება? რადგან ახლა არ მუშაობთ... იმის თქმა მინდა, რომ თუ სავსებით დარწმუნებული არ ხართ, რომ შეძლებთ ფულის დაბრუნებას, მანქანას აუცილებლად დაკარგავთ. ნახმარი მანქანების ბიზნესი ხომ, ბოლოს და ბოლოს, ადამიანების რწმენაზეა დამყარებული, რომ ნასესხებ ფულს დააბრუნებენ, მაგრამ როცა ვადა მოდის, ირკვევა, რომ ამის გაკეთება არ ძალუძთ...

გოგომ განაწყენებულმა შემომხედა.

– ნინოს ეს არ ეხება. მართალია, ახლა უმუშევარია, მაგრამ სესხი იმისთვის კი არ სჭირდება, რომ ფული ქარს გაატანოს. იცით, სწორედ ახლა მუშაობს დისერტაციაზე და...

– რა სფეროში?

– ქიმიის დარგში. როგორც კი დოქტორის ხარისხს მიიღებს, მაშინვე სამუშაოსაც მისცემენ, დაჰპირდნენ. საწყენია ამისთანა შანსის ხელიდან გაშვება, მართლაც კარგი ადგილია. აუცილებლად უნდა მიიღოს დიპლომი. მის ასაღებად კი ჯერ დისერტაცია უნდა გამოაქვეყნოს, ამას კი ხარჯები სჭირდება, დიპლომშიც, მაგალითად, ფულის გადახდაა საჭირო... აი, რისთვის სჭირდება ფული. პირადი ხარჯებისთვის კი არ უნდა. მას მეგობრები ჰყავს, ისინი მასზე იზრუნებენ...

უნდა გადამეწყვიტა. არასოდეს წავიდოდი ამაზე, რომ არა ეს გოგო, უფრო სწორად, მისი აქ ყოფნა – ეს ჩემთვის სრულიად აუტანელი იყო. რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვთქვა «დიახ» და წავიდნენ აქედან.

– რამდენი გინდათ?

– ვფიქრობ, 250 მეყოფა.

– ასე, ასე, გასაგებია...

მაშინვე გავთვალე. პროცენტებით ეს 280 დოლარს შეადგენს – ძალიან დიდი თანხაა, თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორი მანქანის გამოსყიდვა მოუწევს.

– მოკლედ, ორიოდ დღე მომეცით. ვფიქრობ, ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტო...

წავიდნენ, მაგრამ წუთის შემდეგ გოგო ისევ გამომეცხადა:

– რა კეთილი ხართ, მისტერ ჰაფ. სიმართლე გითხრათ, ცოტა მეუხერხულეა, კითხვებით რომ თავს გაბეზრებთ.

– რას ამბობთ, მის ნედლინგერ! ყოველთვის მოხარული ვარ...

– შეგიძლიათ უბრალოდ ლოლა დამიძახოთ, თუ გინდათ.

– გმადლობთ. ყოველთვის მოხარული ვიქნები, დაგეხმაროთ, ნებისმიერ დროს.

– ჰო, მართლა, ეს ხომ საიდუმლოა. მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით.

– რა თქმა უნდა, გასაგებია.

– საშინლად მაღლიერი ვარ თქვენ, მისტერ ჰაფ.

– არ ღირს, ლოლა...

უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პოლისი ორიოდ დღის შემდეგ მოვიდა. ახლა ნედლინგერისგან ჩეკი უნდა მიმეღო, თანაც გადაუდებლად, რათა ასლებზე დასმული თარიღები ერთმანეთს დამთხვეოდა. იმედი მაქვს, ხვდებით, რომ სულაც არ ვაპირებდი მისთვის პოლისის ჩვენებას. ის ფილისთან უნდა მოხვედრილიყო, რომელიც მოგვიანებით

ქმრის სეიფში აღმოაჩენდა ვითომდა შემთხვევით. არც პოლისზე ლაპარაკს ვაპირებდი მასთან, მაგრამ რაც უნდა თავი ამერიდებინა, ჩეკი მაინც უნდა მიმეღო, რათა მერე შემოწმებისას ყველაფერი ერთმანეთს შედარებოდა. უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაშიც, რომ ყველაფერ ამაში მან გადაიხადა ფული. აი, მაშინ დაემთხვევა ყველაფერი ჩვენი არქივების ბლანკებს და მის კანტორაში ჩემი ვიზიტებიც გამართლებული იქნება. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევისთვის, თუ ეჭვს ჩემზე აიღებენ.

მასთან აღელვებული მივედი, კარი მაგრად მივხურე, რათა მდივან ქალს ვერაფერი გაეგონა და მაშინვე წავავლე ხარს რუქებში ხელი:

– მისტერ ნედლინგერ, საშინლად უსიამოვნო ისტორიაში გავები და დახმარების სათხოვნელად თქვენთან მოვედი... იმედი ვიქონიო?

– ჰმ, არ ვიცი, არ ვიცი. მაინც რაშია საქმე?..

ნამდვილად რაღაც ხრიკს ელოდა. მეც ამის მიღწევას ვცდილობდი.

– საშინელებაა პირდაპირ... უარესი რომ აღარ იქნება.

– იქნებ მითხრათ, ბოლოს და ბოლოს.

– დაზღვევაში ზედმეტი თანხა გამოგართვით. მეტი, ვიდრე საჭიროა. აი, იმაში, ავტომობილისაში...

გაეცინა.

– სულ ეს არის? მე კი მეგონა, ფულის სასესხებლად მოვიდა-მეთქი.

– ო, არა, არა. არაფერი ამის მსგავსი. საქმე გაცილებით ცუდადაა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

– მაგრამ განსხვავებას ხომ ამინაზღაურებენ?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ საქმე არც ისე ცუდად ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

– ყველაფერი არც ისე იოლადაა, აი, რა არის პრობლემა, მისტერ ნედლინგერ. არსებობს სპეციალური კომისია, რომელიც ფასებს და იმას მეთვალყურეობს, რომ თითოეულმა კომპანიამ კლიენტის, პოლისის მქონის, დასაცავად საკმარისი პროცენტები ამოიღოს. აი, ამ კომისიის გამო ჩავვარდი. სადღაც, თქვენც, რადგან ერთი თხუთმეტჯერ მაინც შემაჯანჯლარებენ ამ საქმისთვის. თქვენც გულს გაგიწყალებენ და ისე აგირევენ თავგზას, საკუთარ სახელს დაგავიწყებენ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთან ყოფნისას ქალაქებზე არასწორი ციფრი დავსვი. გახსოვთ, აი, მაშინ, პირველად რომ მოვედი თქვენთან. ეს მხოლოდ დღეს აღმოვაჩინე, როცა თვის ანგარიშებს ვამოწმებდი.

– ჰოდა, ჩემგან რა გინდათ?

– მხოლოდ ერთი გზა არსებობს ამ გაურკვეველობის აღმოსაფხვრელად. თქვენი ჩეკი, რა თქმა უნდა, უკვე დეპონირებულია ბანკში და ვერაფერს გავხდებით, მაგრამ თუ ნებას დამრთავთ, ის თანხა, რომელიც ჩეკშია მითითებული, ნაღდი ფულით გადაგიხადოთ – ე. ი. 79 დოლარი და 52 ცენტი – ფულიც თან მაქვს, ყველაფერს გავასწორებთ და არც არავინ მოგვაბეზრებს თავს.

– რას ნიშნავს – გავასწორებთ?

– იცით, რა, ჩვენს ბუღალტერიაში არის ერთგვარი სპეციალური სისტემა ბარათებისა – მოკლედ, ეს ძნელი ასახსნელია, სიმართლე გითხრათ, მეც ვერ ვერკვევი ხეირიანად. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენმა მოლარემ მითხრა, სწორედ ამ სახით ატარებენ რეგისტრაციაში შემოსულ ყველა თანხას.

– გასაგებია.

ფანჯარაში გაიხედა და შევნიშნე, რომ თვალებში უცნაური რამ გაუკრთა.

– მაშ, კარგი, რატომაც არა?..

ფული გადავეცი და ჩეკი ავიღე. ყველაფერი ეს წმინდა წყლის სიყალბე იყო. ჩვენთან მართლაც არსებობდა სპეციალური კომისია, მაგრამ არაფერი ესაქმებოდა აგენტების შეცდომებსა თუ გადაცდომებთან. ბარათების სისტემაზეც არასოდეს არაფერი გამეგო და არც ვინმე მოლარესთან მილაპარაკია. ყველაფერი იმაზე იყო აგებული, რომ როცა კაცს ზედმეტ ოც დოლარს სთავაზობ, ჩვეულებრივ, არც ზედმეტ კითხვებს გაძლევს და ახსნა-განმარტებასაც აღარ უღრმავდება, რატომ და როგორ უნდა მიიღოს ფული. მე ბანკში წავედი და ჩეკი შემოსავალში შევიტანე. ისიც კი ვიცოდი, რა მიაწერა ნედლინგერმა თავის საჭვითრე წიგნაკის არშიაზე. ერთი სიტყვა – «დაზღვევა» – სწორედ ის, რაც მინდოდა...

მეორე დღეს ლოლა და საჩეტი გამომეცხადდნენ სესხისთვის. მე ჩეკი გავუწოდე და გოგომ იატაკზე ჩეჩოტკას მსგავსი რამ წაიბაკუნა ფეხით.

– გაჩუქოთ ნინოს დისერტაციის ეგზემპლარი?

– ოოო, დიდად გამაბედნიერებთ.

– მას ჰქვია – «კოლოიდების როლი ოქროს დაბალშემცველობიანი მადნების რედუქციაში».

– სიამოვნებით წავიკითხავ!

– მატყუარა, არც კი გადაშლით!

– აუცილებლად წავიკითხავ, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ ყველაფერს გავიგებ.

– მაშინ, ინებეთ, ავტოგრაფით.

– გმადლობთ.

– ნახვამდის. იმედი გვაქვს, რამდენიმე ხანს აღარ შეგაწუხებთ.

– იმედი ვიქონიოთ!

ყველაფერი, რაც უნდა გიამბოთ, ზამთრის მიწურულს ხდებოდა, სადღაც თებერვლის შუა ხანებში. რა თქმა უნდა, კალიფორნიაში თებერვალი ცოტა რამით თუ განსხვავდება დანარჩენი თვეებისგან, მაშინ, როცა სხვაგან ნამდვილი ზამთარია. და აი, იმ დროიდან და მთელი გაზაფხულიც თითქმის არ მიძინია. არ გჯერათ? – ეცადეთ და თავად დაატრიალეთ ამისთანა რამ და თუ ღამეში რამდენიმეჯერ არ გაიღვიძებთ იმის შიშით, რაღაცაში ხომ არ გამოიჭირებოდით, მაგარი ნერვები გქონიათ. კიდევ უამრავი სიძნელე გველოდა წინ, რომელთა გადალახვა ვერაფრით მოგვეფიქრებინა. თუნდაც, როგორ შეგვეთრია ნედლინგერი მატარებელში. ეს მართლაც ძნელი საქმე იყო. შემთხვევითობის ან ბრმა იღბლის იმედი თუ გვექნებოდა, თორემ ისე ყველაფერი ჩაფლავდებოდა. სხვათა შორის, უამრავი ადამიანი ვიცი, არასოდეს რომ არ მსხდარან მატარებელში. ან იქნებ ერთხელ კი გაუსეირნიათ, ეს არის და ეს. ყველგან და ყოველთვის ავტომობილებით დადიან. სწორედ ასე იქცეოდა ნედლინგერიც, როცა სადმე წასვლა მოუხდებოდა და როგორ უნდა გვეიძულებინა, ამჯერად მაინც რომ ემგზავრა მატარებლით... თავს ვიმტვრევდი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთი რამ გაირკვა, რაც აქამდე მოსვენებას არ მამღვებდა – მისი სახის მაშინდელი, უცნაური გამომეტყველება, როცა ჩეკის სათხოვნელად მივედი. ვხვდებოდი, ამის უკან რაღაც იმალებოდა. თუ მან ყველაფერი ჩაუკაკლა თავის მდივანს, განსაკუთრებით კი ჩემი წამოსვლისთანავე თუ გავიდა და წაიტრაბახა, სრულიად მოულოდნელად 20 დოლარი მოვიგეო, ეს ძალზე ცუდად შემომიბრუნდებოდა მოგვიანებით. სულერთია, თუნდაც ათასი რამ შემეთხზა და როგორმე თავის დაძვრენა მეცადა. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად აეწყო. ფილისმა ყველაფერი დაწვრილებით გაიგო და მიკვირდა კიდევ, ასე იღბლიანად რომ წარიმართა მოვლენები. დაზღვევის ხარჯები ნედლინგერმა კომპანიას დააწერა და მის მდივანსაც დოკუმენტების ამბავიც მოგვარებული ჰქონდა, როცა მე გამოვეცხადე. საქმე ის იყო, რომ ნედლინგერს გაუქმებული ჩეკიც დარჩა, აი, ის, პირველი. ახლა ენაზე კბილი უნდა დაეჭირა და მდივანთან არაფერი წამოეყრანტალებინა, მაშინ კი მშვიდად ჩაიჯიბავდა 20 დოლარს. ჰოდა, იმანაც ჭკუა იხმარა და სიტყვა აღარ დაუძრავს. ლოლასთვისაც კი არაფერი უთქვამს. მაგრამ, ეტყობა, ისე უნდოდა ვინმესთან წატრაბახება, ნახე, რა ჭკვიანი და მოხერხებული ვარო, რომ ყველაფერი ფილისს უამბო.

კიდევ ერთი რამ მაშფოთებდა – საკუთარი თავი. მეშინოდა, ცუდად არ მემუშავა და კომპანიაში ჩემზე მითქმა-მოთქმა არ დაწყებულყო – საქმეს თავს ვეღარ ართმევსო და ამისთანები. ეს კარგს არაფერს მოიტანდა, აი, მაშინ, როცა ყველაფრის ქექვას მოჰყვებოდნენ. ამიტომაც, სანამ ფაფა ცხელი იყო, პოლისები ისე უნდა გამეყიდა, როგორც არასოდეს. შეშლილივით ვმუშაობდი. პოლისის გასაღების თვით უმცირესი შანსის ამოცნობასაც ვცდილობდი და ისე მოვთელავდი კლიენტს, რომ თავადაც მრცხვენოდა. იქნებ არც დაიჯეროთ და მარტში მაჩვენებელი 20 პროცენტით გავზარდე, აპრილში კიდევ ორი საფეხურით ზემოთ ავინაცვლე. მაისში კი, როცა საავტომობილო საქმესთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, წესისამებრ, ისედაც მატულობს, კიდევ შვიდი წავამატე. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ მსხვილ სინდიკატსაც, ნახმარი ავტომობილებით რომ ვაჭრობდა, მოვდე ანკესი. ჩემი პატარა კერძო კომპანიის ფინანსური საქმეებიც წინ და წინ

წავიდა. ანგარიშგების საქმეც კარგად იყო. ასე რომ, ამ გაზაფხულზე ორივე ოფისში თავს მეფედ ვგრძნობდი. ყველა შლაპას მიხდიდა.

\*\*\*

– პალო-ალტოში აპირებს წასვლას, თანაკურსელებთან შეხვედრაზე.

– როდის?

– ივნისში. ექვსიოდ კვირის შემდეგ.

– აი, თურმე რა. ეს ის არის, რასაც ველოდით.

– მაგრამ ავტომანქანით გამგზავრება უნდა, თან ჩემს წაყვანასაც აპირებს. ერთ ამბავს ატებს, უარი რომ ვუთხრა.

– მართლა? იცი რა, თავი დიდი ვინმე ნუ გგონია. ფეხებზე მკიდია, სად მიდის, თანაკურსელებთან შეხვედრაზე თუ აფთიაქში, მაგრამ კაცს ყოველთვის უცოლოდ ურჩევნია მგზავრობა. თავაზიანობის გამო გეპატიჟება და ეგ არის. თავი ისე დაიჭირე, ვითომ სულ არ გეპიტნავება მისი ინსტიტუტის ამხანაგები და თავს გაგანებებს. ისე იოლად შეგეშვება, რომ თავად გაგიკვირდება.

– ჰმ, ეს მომწონს!

– ისე, არ უნდა მოგწონდეს... მოკლედ, სცადე, თავად დარწმუნდები...

ასე ჩაგვივარდა ხელთ მარჯვე შემთხვევა, მაგრამ რად გინდა – ფილისი ქმარს მთელი კვირა ეჩიჩინა და მაინც ვერ გადაათქმევინა ავტომანქანით გამგზავრება.

– ამბობს, სხვანაირად არ შემიძლიაო, პიკნიკებსა და სხვა ამისთანებზე დაქირავებული მანქანით ვერ ვივლიო. თანაც ვერ იტანს მატარებლებს, ანჯღრევს.

– სკანდალის მოწყობა არ სცადე?

– მერე როგორ! მაგის მეტი არაფერი მიქნია. ტყუილად გავისარჯე. ერთხელ კი ისეთი ამბავი ავტეხე, ახლა ლოლა ძლივსღა მელაპარაკება. პირწავარდნილი ეგოისტი ვგონივარ. რა თქმა უნდა, შემიძლია, კიდევ ვცადო, მაგრამ...

– ღვთის გულისათვის, არ გინდა!

– მაშინ, მოდი, გამგზავრების წინა დღეს მანქანას გავუტეხავ – გასაღებს ან კიდევ რამეს. მაგრად დავაზიანებ, ისე, რომ სარემონტო გახდეს. მაშინ რაღას გახდება – მატარებლით წავა.

– არც იფიქრო! ჯერ ერთი, ამაზე უკვე ხომ ატეხე ერთი ამბავი, შეიძლება რაიმე იეჭვონ. მერეც, დამიჯერე, ლოლას დათანხმება იოლი არ იქნება. და კიდევ, ჩვენ მანქანა გვჭირდება.

– გვჭირდება?

– ძალიან. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

– რაღაც ვერ გავიგე. რატომ?

– გაიგებ. თავის დროზე ყველაფერს გაიგებ, მაგრამ ავტომატურად კი აუცილებლად გვჭირდება. ორიც კი – ჩემი და შენი. ამიტომ, რაც გინდა ქენი, მაგრამ მანქანას ხელი არ ახლო. სრულ წესრიგში უნდა იყოს. ჩვენ ხომ უნდა ვიმგზავროთ.

– მოიცა, იქნებ მატარებლით მგზავრობა გადავიფიქროთ?

– ხომ გითხარი – ან მატარებელი, ან ყველაფერს ჩავშლით!

– ღმერთო ჩემო, რას მიყვირი!

– ფუჭი ყბედობა რაში მჭირდება, თანაც სულელური. მორჩა, ეს საქმე უნდა მოვაგვაროთ! ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გეუბნები. სულ ეს არის, რაც შენგან მინდა.

– უბრალოდ, მიკვირს.

– ნუ გიკვირს.

რამდენიმე დღის შემდეგ მოულოდნელად გაგვიმართლა. ფილისმა ოფისში დამირეკა, დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა:

– უოლტერი ხარ?

– ჰო.

– მარტო ხარ?

– ამას მნიშვნელობა აქვს?

– ჰო, დიდი. რაღაც მოხდა.

– შინ მივდივარ. ნახევარ საათში იქ დამირეკე...

ოფისში მარტო ვიყავი, მაგრამ კომპუტატორით ვლაპარაკობდით და გარისკვა არ ღირდა. წავედი და შინ შესვლა ძლივს მოვასწარი, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

– პალო-ალტო ჩაიშალა. ფეხი მოიტეხა.

– რაო?!

– ჯერ კარგად არ ვიცი, როგორ მოხდა. თურმე ძაღლის შეკავებას ცდილობდა, მეზობლის ძაღლისას, კურდღელს რომ მისდევდა. ფეხი დაუცურდა და წაიქცა. ახლა საავადმყოფოშია. მასთან ლოლაა. რამდენიმე წუთში მოიყვანენ.

– მგონი, ყველაფერი ჩაფლავდა.

– ეტყობა...

\*\*\*

გონება გამინათდა – პირიქით, კი არ ჩაფლავდა, ყველაფერი შესანიშნავად აეწყო. ოთახში ბოლთას ვცემდი, დაახლოებით სამი მილი მაინც გავიარე იმაზე მკითხაობით, შემომივლიდა თუ არა ფილისი ამ სადამოს. სწორედ ამ დროს მომესმა ზარის ხმა.

– მხოლოდ ერთი წუთით მოვედი. ვუთხარი, ბულვარზე მივდივარ, რამე წასაკითხი რომ გიყიდო-მეთქი. ლამის ავღრიალდე. ასეთი რამ ოდესმე თუ გსმენია?

– იცი, ფილის, ყველაფერი ეს სისულელეა. სად აქვს მოტეხილი? იმას გეკითხები, სერიოზულია თუ არა-მეთქი?

– კოჭთან ახლოს. არა, სერიოზული არ არის.

– ბლოკზე ჰყავთ?

– არა. სიმძიმე აქვს ჩამოკიდებული, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მოხსნიან. დიდი ხნის ამბავია.

– სიარულს შეძლებს...

– ასე გგონია?

– თუ წამოაყენებ.

– რა ჩაიფიქრე, უოლტერ?

– წამოდგომასაც შეძლებს და ყავარჯნებით სიარულსაც, თუკი აიძულებ. რაკი ფეხი თაბაშირში ექნება, ავტომანქანის ტარებას ვერ მოახერხებს და მატარებლით მოუხდება გამგზავრება. ფილის, ეს სწორედ ის არის, რაც გვჭირდება!

– ვითომ?

– ჰო, მართლა, მგონი, უკვე გითხარი, მატარებელში ჩაჯდება და არც ჩაჯდება-მეთქი. კარგი... ე. ი. ახლა გვამის ამოცნობის პრობლემა რჩება, ხომ მართალია? მერედა, ყავარჯნები და თაბაშირიანი ფეხი? რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი ამოსაცნობად? ჰო, წყალი არ გაუვა! დამიჯერე, თუ ლოგინიდან როგორმე წამოვაცენებთ და დავარწმუნებთ, რომ გამგზავრება არ გადადოს... ელაპარაკე ამაზე, ამდენი განცდის შემდეგ უნდა დაისვენო-თქო და ასეთი რამეები. მაშინ საქმე მოჭახრაკებულია. ვიცი, მოჭახრაკებულია.

– მაგრამ ეს სახიფათოა...

– რა არის სახიფათო?

– მოტეხილი ფეხით დროზე ადრე ადგომა. ექთანს ვიყავი და ვიცი. ფეხი უეჭველად არასწორად შეუხორცდება, მეორეზე მოკლე ექნება.

– ეს ასე გაწუხებს?..



ალბათ, წუთზე ნაკლები არ გასულა, სანამ მიხვდებოდა, რომ ერთი ფეხი მეორეზე მოკლე ექნებოდა თუ არა, ნედლინგერისთვის სულერთი იყო...

ოფისში დიდი, წარწერიანი კონვერტი მელოდა: «პირადად ხელში». გავხსენი და ბუკლეტი იდო: «კოლოიდები ოქროსმომპოვებელ მრეწველობაში და მისი გამოყენების მეთოდები», შიგნით, სატიტულო ფურცელზე, წარწერით: «მისტერ ჰაფს, გაწეული სამსახურისთვის. პატივისცემის ნიშნად ბენჯამინო საჩეტი».

## თავი 5

მატარებელი სადამოს, 9 საათსა 45 წუთზე გადიოდა. 4 საათზე სან-პედროს ქუჩაზე წავედი ჩვენი ფირმის ერთ მოვალესთან – მეღვინეობის კომპანიის მმართველთან. აგვისტომდე, სანამ ყურძენი მწიფობაში არ შევიდოდა, მისთვის რაიმის წაგლეჯის შანსი თითქმის არ იყო, მაგრამ მისვლის საბაზი მქონდა, თანაც ძალზე მნიშვნელოვანი. ამიხსნა, ჯერჯერობით რატომაც არ შეეძლო ჩემთან საქმის დაჭერა, მეც ცოტა თავი დავიფასე და ოფისში დავბრუნდი. ნეტის ვუთხარი, კარგი პერსპექტივები იკვეთება-მეთქი და მეღვინეზე ბარათის გახსნა დავავალე. ბარათი ავტომატურად აფიქსირებდა ჩემი ვიზიტის დროს – სწორედ ეს მინდოდა. რამდენიმე წერილს ხელი მოვაწერე და ექვსის ნახევარზე წამოვედი.

შინ ექვსზე მივედი, ფილიპინელს სადილი უკვე მზად ჰქონდა. ამის გამოყენებასაც ვაპირებდი – სამი ივნისი იდგა. ჩვეულებრივ, გასამრჯელოს პირველში ვუხდიდი, მაგრამ იმ დღეს თავი ისე დავიჭირე, რომ ბანკში შევლა დამავიწყდა და ბიჭი უფულოდ დავტოვე. დღეს კი წასახემსებლად შინ რომ შევიარე, გავისტუმრე. მინდოდა, ფილიპინელი სადამოს რაც შეიძლება მალე გაქცეულიყო საგრილოდ. ვუთხარი, შეგიძლია სუფრა გაშალო-მეთქი და მანაც წვნიანი მაგიდაზე მანამ დადგა, ვიდრე ხელების დაბანას მოვასწრებდი. ვცდილობდი, მადიანად მეჭამა. წვნიანს ბიფშტექსი მოჰყვა, კარტოფილის პიურეთი, ლობიოთი და სტაფილოთი, დესერტად ხილი იყო. ისე ვღელავდი, რომ ყბებს ძლივს ვამოდრავებდი, მაგრამ როგორც იყო, ყველაფერს გავუმკლავდი. ყავის სმა არ დამესრულებინა, რომ ბიჭმა ჭურჭელი დარეცხა, კრემისფერ შარვალში, თეთრ ფეხსაცმელსა და წინდებში, ყავისფერ პიჯაკსა და ქათქათა, საყელოგადახსნილ პერანგში გამოეწყო და თავის გოგოსთან პაემანზე წასასვლელად მოემზადა. ადრე ჰოლივუდელი მსახიობი ორშაბათობით იცვამდა იმას, რასაც მოსამსახურე ფილიპინელი – სამშაბათს, მაგრამ ხომ იცით, დრო იცვლება და ახლა მანილელი ბიჭი კლარკ გეიბლსაც კი გადაუხურავდა ჩაცმულობით.

დაახლოებით შვიდს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ბიჭი მაშინ წავიდა. როცა წასვლისას მკითხა, კიდევ რამე ხომ არ გნებავთო, უკვე პიჟამაში ვიყავი და თავი ისე მეჭირა, თითქოს დაწოლას ვაპირებდი. ვუთხარი, დადლილი ვარ, წამოვწვები და ცოტაოდენს წავიმუშავებ-მეთქი. ფანქარსა და ფურცელს დავავლე ხელი და წერას შევუდექი – დღისით რომ ველაპარაკე, იმ მეღვინის ვალს ვანგარიშობდი. ასეთი გაანგარიშებები ყოველთვის ინახება. მათ, ჩვეულებისამებრ, კლიენტის საქმეში აკერებენ. იმაზეც ვიზრუნე, რომ რამდენიმე

ქალაქი დღევანდელი თარიღით დამემშვენებინა.

შემდეგ ავდექი და ოფისში დავრეკე. ჯოი პიტმა მიპასუხა, დარაჯმა.

– ჯოი პიტი ხარ? უოლტერ ჰაფი ვარ. ქენი სიკეთე, შედი ჩემს კაბინეტში. იქ, ჩემს მაგიდაზე, ნიხრების წიგნაკს დაინახავ. ბლოკნოტს ჰგავს, ჩამოსახევი ფურცლებით, მასზე კი ჩემი ოქროსასოებანი სახელია, მის ქვემოთ წერია სიტყვა «ფასდება». დამავიწყდა შინ წამოღება, ახლა კი დამჭირდა. თუ ძმა ხარ, აიღე და ახლავე გამომიგზავნე შიკრიკის ხელით, კარგი?

– კარგი, მისტერ ჰაფ. მივდივარ...

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ დამირეკა და მითხრა, წიგნაკი ვერაფრით ვიპოვეო.

– ყველგან ვნახე, მისტერ ჰაფ – თქვენს მაგიდაზეც და ყველგან. არავითარი წიგნაკი არ არის.

– ალბათ, ნეტომ შეჩურთა ჩემს უჯრაში და ჩაკეტა.

– მოდი, დავურეკავ და ვკითხავ, სად წაიღო?

– არა, არ გინდა. როგორმე იოლას გავალ.

– ბოდიში, მისტერ ჰაფ.

– კარგი, ნუ ნაღვლობ. რამეს მოვახერხებ...

ის წიგნაკი ისე დავმალე, ადამიანისშვილი ვერ იპოვიდა, მით უმეტეს, დარაჯი. მაგრამ ახლა ჯოი პიტი ის კაცია, რომელმაც საღამოს დამირეკა და შეუძლია, დაადასტუროს, რომ შინ ვიჯექი და ვმუშაობდი. სხვებიც მეყოლებიან მოწმეებად. თანაც, ისეთი რამეც არ უნდა ვთქვა, თარიღი რომ დაამახსოვრდეს – ერთი ჟურნალი აქვს, სადაც ყველაფერს იწერს, რასაც კი აკეთებს და არა მარტო თარიღს, დროსაც კი უთითებს. საათს დავხედე – შვიდს ოცდათვრამეტი წუთი აკლდა.

\*\*\*

რვის თხუთმეტ წუთზე ისევ დარეკა ტელეფონმა. ეს ფილისი იყო.

– ლურჯი.

– მაშ, ლურჯი იყოს.

კიდევ ერთი დეტალი უნდა დაგვეზუსტებინა – კოსტიუმი, რომელსაც ნედლინგერი ჩაიცვამდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ ლურჯი იქნებოდა, მაგრამ დაზუსტება მაინც საჭირო იყო. ამიტომაც ფილისმა მისთვის სათადარიგო კბილის ჯაგრისის ყიდვა მოიმიზეზა და დამირეკა. ჩვენს ლაპარაკს რომ დააფიქსირებდნენ, ამისა არ გვეშინოდა – კომპუტატორით კი არა, ავტომატიდან რეკავდა. ჩაცმას შევუდექი. მეც ლურჯი კოსტიუმი ჩავიცვი, მაგრამ სანამ ფეხსაცმელს მოვირგებდი, ერთი ტერფი მარლის სქელი ფენით

შევიხვიე და წებოვანი ლენტით დავიმაგრე. მოტეხილ ფეხზე დადებულ თაბაშირს ჰგავდა. თუკი დამჭირდებოდა, შემემლო სახვევი წამში შემომეხსნა. მერე ფეხსაცმელი ჩამოვიცვი, მართალია, თასმები ძლივს შევიკარი, მაგრამ სასურველ ეფექტს მაინც მივაღწიე. შევამოწმე, თან თუ მქონდა რქისჩარჩოიანი სათვალე, ზუსტად ისეთი, როგორსაც ნედლინგერი ატარებდა. ის პიჯაკის ჯიბეში მედო. იქვე პატარა, გორგლად დახვეული წვრილი, მაგრამ მაგარი ბაწრის ნაჭერიც იყო. და კიდევ – მეტალის სქელი წნელისგან თვითნაკეთი სახელური, ისეთი, მაღაზიებში რომ დიდრონ შეკვრებზე ამაგრებენ, იოლად სატარებლად. ჯიბე გამობერილი მქონდა, მაგრამ ეს სულ არ მალეღებდა.

\*\*\*

ცხრას ოცი წუთი აკლდა, ნეტის რომ დავურეკე.

– ხომ არ გინახავს ჩემი ნიხრების წიგნაკი დღეს, ჩემს წასვლამდე?

– არა, მისტერ ჰაფ.

– ძალიან მჭირდება, მაგრამ ვერ გამიხსენებია სად წავიღე...

– იქნებ დაკარგეთ?

– არ ვიცი. ჯოი პიტს დავურეკე და ვერ იპოვა. ვერ გამიგია, სად დაიკარგა...

– ოფისში ხომ არ შევიარო და მოვძებნო?

– არა, არ ღირს. ბოლოს და ბოლოს, არც ისე სასწრაფოა.

– მე არ მინახავს, მისტერ ჰაფ...

ნეტი ბერბანკში ცხოვრობდა და ამიტომ საერთაშორისო ხაზით ვლაპარაკობდით. ე. ი. ჩანაწერიც დაადასტურებს – ნეტის ცხრას ოცი წუთი რომ აკლდა, ჩემი ბინიდან დავურეკე. მდივანთან ლაპარაკი რომ დავასრულე, აპარატი დავშალე და ზარის ენისქვეშ სავიზიტო ბარათის ნახევარი ჩავჭურთე. როცა ტელეფონი დარეკავს, გამოვარდება. იგივე სამზარეულოს კარის ზარზეც გავიმეორე. შინ ნახევარ საათს არ ვიქნები და უნდა ვიცოდე, დარეკა თუ არა ვინმემ ტელეფონზე ან კარზე ჩემი არყოფნის დროს. თუ დარეკეს, ვიტყვი, რომ სააბაზანოში ვიყავი და წყლის ხმაურში და ჩაკეტილი კარის გამო არაფერი გამიგია. მოკლედ, თუ ვინმე დარეკავს, აუცილებლად უნდა ვიცოდე.

...ზარების საქმე რომ მოვითავე, მანქანაში ჩავჯექი, ჰოლივუდლენდისკენ ავიღე გეზი და მალე მთავარ ქუჩაზე გავჩერდი, სახლიდან ორიოდ წუთის სავალზე. მანქანას ყურადღება არ უნდა მიექცია, მაგრამ მოშორებით გაჩერებაც არ შეიძლებოდა, ფეხით ხომ არ წავიდოდი, მით უმეტეს, ასეთი ფეხით.

სახლის ჩასახვევთან დიდი ხე იდგა. მანქანიდან გადმოვედი, ხის უკან დავიმალე და ლოდინს შევუდექი. ზუსტად ორიოდ წუთს ვიცადე, მე კი მეგონა, მთელი საათი გავიდა. უცებ ფარების შუქი დავინახე. მოსახვევიდან ავტომანქანა გამოვიდა. ფილისი საჭესთან იჯდა, ის – გვერდით. იდაყვს ქვემოდან ყავარჯნები გამოსჩროდა, კარისთვის რომ

მიეყუდებინა. ხეს რომ მოუახლოვდნენ, მანქანა გაჩერდა. ჯერჯერობით ყველაფერი გეგმისამებრ მიდიოდა. ყველაზე კრიტიკული მომენტი დგებოდა. ნედლინგერი ავტომანქანიდან უნდა გამოგვეტყუებინა თუნდაც წუთით, რათა უკანა სავარძელზე, სადაც მისი ბარგი იდო, დამალვა მომესწრო. ფეხზე სადად მოსიარულე, ნორმალური კაცი რომ ყოფილიყო, ეს იოლი საქმე იქნებოდა, მაგრამ ხეიბრის მანქანიდან გადმოყვანა, თანაც მაშინ, როცა გვერდით ახალგაზრდა, ჯანსაღი ქალი უზის – იგივეა, ჭაობიდან ბეჭემოთი რომ ამოიყვანო.

ფილისმა სწორედ ისე გააბა, როგორც ვარიგებდი:

– საფულე დამავიწყდა.

– მართლა? მომეჩვენა, რომ წამოიღე.

– მეც ასე მეგონა. უკან ნახე.

– არა, აქ არაფერია, ჩემი ბარგის გარდა.

– წარმოდგენა არ მაქვს, სად წავიღე!

– კარგი, წავიდეთ, თორემ დაგვაგვიანდება. აი, შენ დოლარი. უკან დასაბრუნებლად გეყოფა.

– ეტყობა, დივანზე დავტოვე, სასტუმრო ოთახში.

– კარგი, კარგი, დატოვე და დატოვე. წავიდეთ...

ახლა სწორედ ის მომენტი დგებოდა, რაზეც გაუთავებლად ვეჩიჩინებოდი. ყველაფერი უნდა გააკეთოს, აბსოლუტურად ყველაფერი, რომ ნედლინგერი გადმოვიდეს და საფულე მოიტანოს. გაჭირვებით, მაგრამ როგორც იქნა, ფილისს თავში მაინც ჩავუჭედე, თუ არასწორად მოიქცევი, ქმარს საბაბს მისცემ, გკითხოს – ყავარჯნებით ჩემს ფორთხვას, არა სჯობია, თვითონ წახვიდეთ? დაუუმტკიცე, რომ ერთადერთი სწორი სვლა მისი სიტყვის გატანა იყო. ფეხი არ უნდა მოეცვალა, სანამ ნედლინგერი არ გაბრაზდებოდა, მოთმინება არ უღალატებდა იმის შიშით, არ დამაგვიანდესო და ნამდვილი ბრიყვივით არ წაპოლიკდებოდა საფულისათვის. ფილისიც ზუსტად ასრულებდა ჩემს მითითებებს.

– საფულის გარეშე არ შემიძლია!

– რად გინდა? დოლარი არ გეყოფა?

– მაგრამ იქ პომადა მიდევს!

– ბოლოს და ბოლოს, ნუთუ არ შეგიძლია შეიგნო, რომ გვაგვიანდება? ეს ავტომობილი არ გეგონოს – როცა გინდა, რომ ადგები და წახვალ. მატარებელია, ზუსტად ათს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, მაშინ გადის და არ დაგველოდება. მიდი, წავიდეთ.

– ღმერთო, როგორ მექცევი!

– როგორ?

– ხომ გითხარი, იქ პომადა მიდევეს-მეთქი. არ შემძლია...

ნედლინგერმა ლანძღვა-გინების ნიაღვარი გადმოაფრქვია და მალე ყავარჯნების კაკუნი გავიგონე. სახლისკენ გაჭირვებით მიმავალი თვალს არ მიჰფარებოდა, რომ ავტომანქანაში შევძვერი. ნედლინგერს კარის მიხურვის ხმა რომ არ გაეგონა, წინა კარიდან შესვლა და მერე უკანა სავარძელზე გადაცოცება მომიხდა. ეს ხმა რატომღაც ყოველთვის აღწევს ყურამდე – ხმა ავტომობილის კარის მიხურვისა. სავარძელზე, სიბნელეში მივიკრუნჩხე. აქ მისი ჩანთა და პორტფელი ეწყო.

– აბა, ყველაფერი ზუსტად გავაკეთე, უოლტერ?

– ჯერჯერობით კი. ლოლა როგორ მოიშორე თავიდან?

– არც მომიშორებია. სადღაც მიიწვიეს, თვითონ გავაცილე ავტობუსზე.

– კარგი. ოდნავ უკან დაიხიე, შორს რომ არ მოუწიოს წამოსვლამ. ახლა ცოტა უნდა მიეფერო.

– კარგი...

ავტომანქანა უკან დასწია, ჭიშკრისაკენ და ისიც ჩაჯდა. ფილისმა მაშინვე დაძრა მანქანა. მერწმუნეთ, არაფერი არის იმაზე საძაგელი, როცა ცოლ-ქმარს უთვალთვალე და უსმენ, რას ლაპარაკობენ მართო მყოფნი. ცოლმა ოდნავ თავი რომ მოუქონა, ნედლინგერი ბელზე საყვედურებს მოჰყვა. თურმე სადილად რაღაც რიგიანად ვერ მიურთმევია. ფილისმაც ცეცხლზე ნავთი დაუსხა, წვრილად ჩამოუთვალა, რამდენი ჭურჭელი დაამსხვრია მოსამსახურემ. მერე ვიღაც ტიპზე, ჰობიზე და ვინმე ეტელზე გადავიდნენ, ეტყობა, იმ ჰობის ცოლზე. ლამის მივახალო, თქვენ შორის ყველაფერი დამთავრებულიაო, ამბობდა ნედლინგერი. ფილისმაც მხარი აუბა – ყოველთვის მომწონდა ეტელი, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალზე გაყოყოჩდა და თავი მომაბეზრაო. მერე კი იმაზე მსჯელობას მოჰყვენენ, სამერმისოდ უნდა დაეპატიჟებინათ კიდეც თუ არა სადილად ჰობი და ეტელი; გადაწყვიტეს, რაკი სადილად სულ ახლახან თვითონ ყოფილან მათთან, საპასუხოდ უნდა მოეპატიჟებინათ, მაგრამ უკანასკნელად. როცა ბოლოს და ბოლოს ეს პრობლემაც გადაწყდა, წამოიჭრა მეორე – ახლა კამათი იმაზე დაიწყო, ღირდა თუ არა, ნედლინგერს პალო-ალტოში ტაქსი აეყვანა. მადლობა ღმერთს, შეთანხმდნენ, თურმე ღირდა. მართალია, ძვირი დაჯდებოდა, მაგრამ უამისოდ ყველგან ყავარჯნებით ფორთხიალი მოუწევდა, მგზავრობა ჩაშხამდებოდა და მოტეხილ ფეხსაც ავნებდა. ფილისის ხმა ისე ბუნებრივად ჟღერდა, თითქოს ნედლინგერი მართლაც ჩავიდოდა პალო-ალტოში, თითქოს ფიქრადაც არ ჰქონია რაიმე ქვენა მიზანი. მაინც რა გამაოგნებელი ქმნილებანი არიან ეს ქალები...

\*\*\*

უკანა სავარძელზე გაწოლილს გზის დანახვა არ შემეძლო. თითქმის არ ვსუნთქავდი იმის შიშით, რომ ნედლინგერს არ გაეგონა. ფილისს მანქანა ზედმიწევნით ფრთხილად უნდა ეტარებინა, მკვეთრად არ უნდა დაემუხრუჭებინა, შეჯახებას უნდა არიდებოდა – ერთი სიტყვით, ისეთი არაფერი უნდა გაეკეთებინა, რაც ნედლინგერს უკან მოხედვას აიძულებდა. არც მობრუნებულა, ერთხელაც კი... პირში სიგარა ჰქონდა გაჩრილი და

სავარძლის საზურგეს მიყრდნობილი ეწეოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ფილისმა ორჯერ დააჭირა ხელი კლაქსონს. ეს სიგნალი იყო – ბნელ ქუჩაზე შევდივართ, სადგურიდან ნახევარ მილზე, წინასწარ რომ შევარჩიეთო.

წამოვიწიე, ნედლინგერს პირზე ხელისგული ავაფარე და მთელი ძალით გადმოვუგრეხე უკან თავი. გათავისუფლებას შეეცადა, ჩემს ხელს ჩააფრინდა, თან სიგარისთვის თითები არ მოუშორებია. თავისუფალი ხელით ავართვი და ფილისს გადავეცი. მანაც გამომართვა. მერე ყავარჯენს დავავლე ხელი და ნიკაპქვეშ ამოვუდე. იმის აღწერას არ მოვყვები, რა მოჰყვა ამას. ეს კი იყო, რამდენიმე წამიც და სავარძელზე უკვე უძრავად იჯდა, ერთიანად მოკრუნჩხული, წატეხილი კისრით. თანაც სხეულზე არანაირი კვალი არ დარჩენია, თუ არ ჩავთვლით ყავარჯენისგან დატოვებულ ნაჭდევეს ცხვირის ოდნავ ზემოთ.

## თავი 6

ჰო, ჩვენ სწორად გამოვიყენეთ მესამე პრინციპი – მოულოდნელობისა, ყველა იდეალური მკვლელობისთვის საჭირო აუცილებელი პირობა. ახლა კიდევ 20 წუთი მაინც ბეწვზე უნდა ვიყოთ დაკიდებული. თუმცა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები. ის იყო, ფილისმა სიგარის გადაგდება დააპირა, რომ შევაჩერე. ნედლინგერმა ხომ ჯერ კიდევ შინ ყოფნისას მოუკიდა. ქალმა სიგარას გულდასმით გაუწმინდა წვერი და გამომიწოდა, მე კი თოკი ამოვიღე. გვამს შემოვახვიე, ყელზე, ილღიებქვეშ და ზურგზე გადავუტარე, მერე გამოვნასკვე და ნასკვი რკინის სახელურით მაგრად დავჭიმე. ხომ იცით, მიცვალებული მძიმე და მოუხერხებელი რამეა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ ამ აღკაზმულობით უფრო იოლად და სწრაფად მოვითავებდით საქმეს.

– მორჩა, უოლტერ. აქ გავჩერდეთ თუ იქით, ქუჩის ბოლოს?

– აქ. ყველაფერი მზად არის.

მანქანა გაჩერდა. პატარა შესახვევში ვიდექით, სადგურიდან ერთი კვარტალის მოშორებით. ესეც პრობლემა იყო – მანქანის გასაჩერებელი ადგილის შერჩევა. სადგურის სადგომთან რომ მივსულიყავით, იოლად შეიძლებოდა, მებარგულს შევემჩნიეთ – უკანა კარს გააღებდა ბარგის ასაღებად და დავილუპებოდით. ეს უფრო უსაფრთხო ადგილი იყო. თუ შესაფერი შემთხვევა ჩაგვივარდებოდა ხელთ, სათქმელიც გვექნებოდა ვინმესთან. დავიჩივლებდი, რა შორს მომიწია წამოსვლამ-მეთქი, რათა მოგვიანებით, თუკი საჭირო შეიქნებოდა, გამემართლებინა ეს პატარა უცნაურობა.

ფილისი გადავიდა და თან შლაპა და პორტფელიც წაიღო. მისი ქმარი ადამიანების იმ ტიპს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ტუალეტის ნივთებს პორტფელით დაატარებენ, ისინი ხომ მატარებელში უნდა იხმაროს. მოგვიანებით ესეც უთუოდ გამოგვადგებოდა. მანქანის მინები ავწიე, ყავარჯნებს ხელი დავავლე და გადმოვედი. ფილისმა მანქანა ჩაკეტა. ნედლინგერი იქ დავტოვეთ, წინა სავარძელზე, მოკრუნჩხული და გაბაწრული.

ფილისი წინ მიდიოდა შლაპითა და პორტფელით, მე კი უკან მივყვებოდი, ოდნავ მოშორებით, ყავარჯნებით, წინ გაშვერილი და მარლით შეხვეული ფეხით. შორიდან ისე მოგეჩვენებოდათ, თითქოს ცოლი ქმარს ეხმარებოდა, მაგრამ სინამდვილეში, მეზარგულს, როცა ბარგს აიღებდა, ვერ უნდა მოეხერხებინა ჩემი კარგად შეთვალეირება. სადგურისკენ გახვევაც ვერ მოვასწარი, რომ ჩვენს შესახვედრად ერთი გამოქანდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გვინდოდა. მეზარგულმა ფილისს ჩანთები ჩამოართვა, ჩემთვის კი არც შემოუხედავს.

– 9 და 45, სან-ფრანცისკოს მატარებელზე. სექცია რვა, ვაგონი «ს».

– გავიგე, მემ. რვა, ვაგონი «ს». მატარებელში გელოდებით.

ბაქანზე გავედით. ფილისს ვუთხარი, ჩემ ახლოს ყოფილიყო, თუკი დამჭირდებოდა, ერთი-ორი სიტყვა რომ წამეჩურჩულებინა. სათვალე მეკეთა, შლაპა შუბლზე მქონდა ჩამოფხატული, თუმცა არც ნამეტანი ქვემოთ. თვალდახრილი მივდიოდი, თითქოს ყავარჯნების მისაყუდებელ ადგილს ვეძებდი. პირიდან სიგარას არ ვიცილებდი – სახესაც ოდნავ მიმაღავდა და ცოტა დამანჭვაც შემემლო, ვითომ მისი კვამლისგან.

მატარებელი გვერდითა გზაზე იდგა, საკმაოდ შორს სადგურის შენობისგან. სწრაფად გადავთვალე ვაგონები.

– ღმერთო, ეს ხომ მესამეა...

სწორედ ის ვაგონი აღმოჩნდა, რომლის ახლოს ორი კონდუქტორი იდგა და არა მარტო ისინი, იქვე იყვნენ გამცილებელიც და მეზარგულიც, გასამრჯელოს რომ ელოდებოდა. სასწრაფოდ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, თორემ სანამ ვაგონში ავალ, ეს ოთხეული კარგად შემათვალეირებს და ეს საკმარისი იქნება, რომ სახრჩობელაზე გაგვგზავნონ. ფილისი წინ გაიჭრა. დავინახე, როგორ გაუწოდა მეზარგულს ფული, მანაც თავაზიანად დაუკრა თავი და წავიდა. გვერდით ჩემთვის არ ჩაუვლია, ბაქნის მეორე მხარისკენ გაემართა, იქით, სადაც სადგომი იყო. მაგრამ უცებ გამცილებელმა შემნიშნა და ჩემკენ წამოვიდა. ფილისი მის სახელოს წაეტანა.

– არ უყვარს, როცა ეხმარებიან.

გამცილებელი ვერ მიუხვდა, სამაგიეროდ, კონდუქტორმა გაიგო.

– ეი!..

გამცილებელი გაჩერდა. როგორც იქნა, ჩაწვდა. ყველამ დელიკატურად მაქცია ზურგი და ყბედობა გააგრძელეს.

ვაგონის კიბეზე ავედი და ტამბურში გავჩერდი. ეს ფილისისთვის სიგნალი იყო. ის დაბლა იდგა, ბაქანზე, კონდუქტორის გვერდით.

– საყვარელო...

შევბრუნდი და ვაგონის ბოლოს გავხედე.

– იქნებ ღია პლატფორმაზე გავსულიყავით? სჯობია, იქ გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს, თორემ ყოველთვის მეშინია, მატარებელში არ დავრჩე, ვაითუ, დაიძრას... კიდევ რამდენიმე წუთი გვაქვს. ვილაპარაკოთ.

– კარგი.

და მეც გავუყევი ვაგონს მატარებლის ბოლოსკენ, ის კი – იმავე მიმართულებით ბაქანს.

სამივე ვაგონი გადაჭედული იყო, მგზავრები უკვე დასაძინებლად ემზადებოდნენ, ლოგინები გაეშალათ, ჩანთები გასასვლელში გამოედგათ. გამცილებლები არ ჩანდნენ, ეტყობა, თავიანთ კუპეებში ისხდნენ. იატაკს თვალს არ ვწყვეტიდი, სიგარას ვეჭაჩებოდი და სახეს ვმანჭავდი, თუმცა დაჟინებით არც არავინ მათვალისწინებდა, მაგრამ ყველა კი მხედავდა. ყავარჯნებს რომ შენიშნავდნენ, მაშინვე მითავისუფლებდნენ გზას, ჩანთებს იღებდნენ.

მე მხოლოდ თავს ვაქნევდი და ვბურტყუნებდი:

– გმადლობთ, გმადლობთ, ბოდიში...

შევხედე თუ არა ფილისს, მაშინვე მივხვდი – რაღაც მოხდა. მხოლოდ ღია პლატფორმაზე შევიტყვე, რაშიც იყო საქმე. იქ ბნელ კუთხეში მიკუნჭული ვიღაც მამაკაცი იჯდა და ეწეოდა. წინ დავუჯექი. ფილისმა ხელი გამომიწოდა. მე თითები მოვუჭირე. თვალს არ მაცილებდა – კარნახს ელოდა, რა გაეკეთებინა შემდეგ. ძლივს გასაგონად წავჩურჩულე: «სადგომი... სადგომი... სადგომი...» წამის შემდეგ, როგორც იქნა, მიმიხვდა.

– საყვარელო...

– რაო?

– აღარ მიბრაზდები? აი, იმაზე, იქ რომ დავაყენე მანქანა?

– კარგი, არაფერია.

– არა, მართლა, უბრალოდ, მეგონა, იქიდან სადგურის სადგომზე შეიძლებოდა გასვლა. ამ რაიონს სრულიად არ ვიცნობ. წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ასე შორს მოგიხდებოდა სიარული.

– ხომ გითხარი, არაფერია-მეთქი, დაივიწყე.

– მაპატიე, ღვთის გულისათვის, ნუ ბრაზობ.

– სჯობია, მაკოცო.

ამ დროს საათს დავხედე, ხელი ავწიე და ფილისს დავანახვე. მატარებლის გასვლამდე კიდევ შვიდი წუთი რჩებოდა. მარაგად თუნდაც ექვსიოდ წუთი მაინც უნდა ჰქონოდა, რათა ის მოესწრო, რაც უნდა გაეკეთებინა.

– მისმინე, ფილის, რა აზრი აქვს ლოდინს? შინ წადი.

– ააა... არ გაბრაზდები?



– სრულიადაც არა. რა აზრი აქვს აქ დგომას, ვაგონთან?

– კარგი. მაშ, ნახვამდის!

– ნახვამდის!

– აბა, იცოდე, კარგად გაერთე, იმხიარულე... და დიდი მოკითხვა გადაეცი ლილენდ სტენფორდს.

– კარგი, გადავცემ.

– მოდი, კიდევ მაკოცე!

– შეხვედრამდე!

ახლა ეს ტიპი უნდა მომეშორებინა თავიდან და რაც სწრაფად, მით უკეთესი. არ ველოდი, თუ აქ ვინმე გამომეჩხირობოდა. მგზავრები იშვიათად გამოდიან ხოლმე ღია პლატფორმაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მატარებელი დაიძრება. ვიჯექი და გაშმაგებით ვცდილობდი, რაიმე მომეფიქრებინა. მეგონა, წავიდოდა, როგორც კი სიგარეტს მოსწევდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – ნამწვავი გადააგდო და საუბარი გამიბა.

– სასაცილო ქმნილებანი არიან ეს ქალები...

– რაც არის, ეს არის.

– მაპატიეთ, მაგრამ უნებურად მოვისმინე თქვენი საუბარი. აი, იმაზე, სად დააყენა მანქანა და ასე შემდეგ. ამან ერთი შემთხვევა გამახსენა, როცა ჩემი ცოლი ერთხელ სან-დიეგოდან ბრუნდებოდა და...

მან თავის ცოლზე მიაშბო. თვალს არ ვაშორებდი. სიბნელეში სახე არ უჩანდა და ვიმედოვნებდი, რომ ვერც თვითონ მხედავდა. ბოლოს ხმა ჩაიწყვიტა. სხვა გზა აღარ იყო, რაღაც უნდა მეთქვა.

– ჰო, ზოგჯერ უცნაურები არიან ეს ქალები...

– ყველა ერთნაირია...

მატარებელი დაიძრა. ლოს-ანჯელესის გარეუბნებს ნელი ცოცვით მიუყვებოდა, ჩემი თანამგზავრი კი არა და არ ცხრებოდა. უცებ მხსნელმა აზრმა გამიელვა: მე ხომ ხეივანი ვარ! – და გაშმაგებით დავიწყე ჯიბეებში ქექვა.

– რამე დაკარგეთ?

– ბილეთი. ვერაფრით ვპოულობ.

– ჰო, მართლა, ბილეთები. საინტერესოა, ჩემი სადღაა?.. აა, მადლობა ღმერთს, აქ არის.

– მისი ნახელავია, ნამდვილად. იცით, რა ოინი მიყო? ჩემი ბილეთი პორტფელში ჩადო, თუმცა ვაფრთხილებდი, მანდ არ შეინახო-მეთქი. პიჯაკის ჯიბეში უნდა ჩაედო. ახლა...

- ასე ნუ ღელავთ, იპოვით.
- არა, ეს უკვე მეტისმეტია! ახლა ყველა ვაგონი უნდა გავიარო მხოლოდ იმიტომ...
- კარგი ერთი! დამშვიდდით.
- მეუხერხულება, რომ თქვენ უნდა...
- რა სისულელეა! არაფერია. აქ დარჩით, მე კი წავალ და მოვიტან. რომელია თქვენი ადგილი?
- რა თავაზიანი ხართ! სექცია რვა, ვაგონი «ს».
- წამში დავბრუნდები...

მატარებელმა სვლას უმატა. ჩემთვის ნიშანი რძის ქარხნის აბრა უნდა ყოფილიყო, რომელიც სარკინიგზო ხაზიდან დაახლოებით მეოთხედ მილზე იდგა. როგორც იქნა, დავინახე და ასანთი სიგარასთან მივიტანე. ყავარჯნები ილიაში ამოვიჩარე, პატარა მოაჯირს ფეხი გადავაბიჯე და ზედ დავეკიდე. ერთი ყავარჯენი შპალს წამოედო და ისე მრეკა, კინაღამ ჩამომაგდო. აბრას რომ გავუსწორდი, მოაჯირს ხელი ვუშვი და გადავხტი.

## თავი 7

შუალამისას რკინიგზის ვაკისზე ბნელი ამქვეყნად არაფერია. მატარებელმა ჩამიქროლა, მე კი მოკრუნჩხული ვიწევი მიწაზე და ველოდი, როდის მიწყნარდებოდა გუგუნნი ყურებში. მე მარცხენა მხრიდან ჩამოვხტი, სარკინიგზო გზებს შორის, ასე რომ, სათუთა, ვინმეს დავენახე მოსედან. ის ორასიოდე იარღზე იყო. ოთხზე დავდექი და ირგვლივ მიმოვიხედე, ვცდილობდი, გამერჩია, რა იყო რკინიგზის გადაღმა. იქ ჭუჭყიანი გზა გადიოდა, ორ პატარა ფაბრიკასთან რომ მიჰყავდი, ირგვლივ კი წყვდიადში ჩაფლული უშენი ადგილები იყო. აგერ-აგერ ფილისიც გამოჩნდებოდა. მას ხომ მთელი შვიდი წუთი ჰქონდა მატარებლის გასვლამდე, ამ გზის გავლას კი სადგურიდან ამ ჭუჭყიან გზამდე თერთმეტ წუთზე მეტი არ სჭირდებოდა. თავად შევამოწმე და დავიანგარიშე ასჯერ მაინც. გაუნძრევლად ვიჯექი და წყვდიადს ჩავშტერებოდი, მანქანის დანახვას ვცდილობდი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი გზებს შორის მოკუნჭული. უკვე იმას ვფიქრობდი, იქნებ რომელიმე მანქანას შეეჯახა ან ძაღლებმა გააჩერეს, ან კიდევ რაღაც ამგვარი-მეთქი... აღარაფრის თავი აღარ მქონდა.

უცებ რაღაც უცნაური ხმა შემომესმა – მძიმე, გახშირებული სუნთქვის, მერე ნაბიჯების ხმაც გავიგონე. ორ-სამ წამს ისმოდა ქუსლების ბაკუნი და ისევ მიწყნარდა ყველაფერი. ეს კომმარულ სიზმარს ჰგავდა, უჩინარი არსება რომ დაგდევს და არ იცი, ვინ ან რა არის, მხოლოდ გაუცნობიერებელ, ყოვლისშთამნთქმელ შიშს გრძნობ. და უცებ დავინახე – ის იყო!

მისი ქმარი, ალბათ, 200 გირვანქაზე ნაკლებს არ იწონიდა, მაგრამ ფილისს ის ზურგზე მოეგდო და რწევა-რწევით მოუყვებოდა ლიანდაგს. ნედლინგერის თავი მხარზე ედო, ლოყა ლოყაზე ჰქონდათ მიღებული – პირდაპირ საშინელებათა ფილმის კადრი იყო.

მივირბინე და ფეხებში წავავლე ხელი, ფილისისთვის რომ ტვირთი შემემსუბუქებინა. გვამი კიდევ რამდენიმე ნაბიჯზე გავათრიეთ და ფილისმა მისი მიწაზე დაგდება დააპირა.

– აქ არა! სხვა გზაზე!

ნედლინგერი იმ რელსებზე გადავართიეთ, სადაც მატარებელმა ჩაიარა და მიწაზე დავავდეთ. გვამს თოკი შემოვხსენი, დავახვიე და ჯიბეში ჩავიჩურთე. შორიახლო მბჟუტავი სიგარა დავავდე.

– სად არის მანქანა?

– აქ. რა, ვერ ხედავ?

თავი ავწიე და მართლაც იქ იდგა, სადაც უნდა ყოფილიყო, ჭუჭყიან გზაზე.

– მორჩა! მივდივართ.

გზა გადავირბინეთ, მანქანაში ჩავსხედით და ფილისმა ძრავა ჩართო.

– ღმერთო, შლაპა?

შლაპას ხელი დავავლე და ფანჯრიდან გზაზე გადავისროლე.

– ყველაფერი რიგზეა. ხომ შეიძლება, რომ გადმოვარდნილიყო, ხომ მართალია? მორჩა, წავედით!

ფილისმა მანქანა დაძრა. ფაბრიკებს ჩავუარეთ და ქუჩაზე გავედით.

სანსეტის ბულვარზე წითელ შუქზე გაძვრა.

– შენ რა, გაგიჟდი, ფილის?! ცოტა წესიერად იარე. ამისთანა რამეს უნდა უფრო ხილდე. რომ გავეჩერებინეთ და მანქანაში მე ვენახე, ხომ წასული იყო ჩვენი საქმე?!

– როგორ შეიძლება, მანქანა ნორმალურად ატარო, როცა ამისთანა რამე ყურთან გიგრუხუნებს?

რადიოს გულისხმობდა. საგანგებოდ ჩავრთე – ეს ჩემი ალიბის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო შინ არყოფნის დროს, ვითომ სამუშაო ცოტა ხნით გადავდე და რადიოს მოსმენა გადავწყვიტე. ხომ უნდა მცოდნოდა, იმ საღამოს რას გადმოსცემდნენ. იმაზე მეტი უნდა მცოდნოდა, ვიდრე გაზეთების პროგრამებში ამოკითხვას მოვახერხებდი.

– ეს მე მჭირდება, ფილის! ნუთუ არ...

– კარგი, თავი დამანებე, ხელს ნუ მიშლი!

ფილისი გაშმაგდა და მანქანას თავაწყვეტილი მიაქროლებდა. კბილს კბილზე ვაჭერდი და ვდუმდი. როცა რომელიღაც უდაბურ ადგილს ჩავუარეთ, ფანჯრიდან თოკი მოვისროლე. კიდევ მილის შემდეგ – სახელური. სათვალე გზისპირა ორმოში გადავუშახე... და უცებ თვალები დავხარე და მისი ფეხსაცმელი დავინახე. ერთიანად ტალახში ჰქონდა ამოთხვრილი.

– რატომ წამოათრიე? არ შეგეძლო, დამლოდებოდი...

– შენ სადღა იყავი? სად?

– იქ გელოდებოდი.

– რა ვიცოდი? გგონია, ძალზე სასიამოვნოა მანქანაში ჯდომა, როცა გვერდით ის...

– თვალები დამაწყდა, მაგრამ ვერ დავინახე. ვერაფერს ვხედავდი და...

– თავს გამანებებ თუ არა, ბოლოს და ბოლოს! მანქანა მიმყავს!

– შენი ფეხსაცმელი...

დავდუმდი. წამიც და ისევ აენტო. ცოფიანივით გაჰყვიროდა. გაჰყვიროდა და გაჰყვიროდა, მწყევლიდა მე, ნედლინგერს, ყველაფერს ამქვეყნად. დროდადრო მეც ვულრენდი. აი, სადამდე მივედით – ერთმანეთს ვულრენდით ორი ველური მხეცივით და არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო გაჩერება. თითქოს ნარკოტიკით გავებრუებინეთ ვინმეს.

– გეყოფა, ფილის! სერიოზულად უნდა ვილაპარაკოთ. იქნებ სხვა შემთხვევა აღარც მოგვეცეს.

– ჰოდა, ილაპარაკე, ვინ გიშლის!

– პირველი – შენ არაფერი იცი ამ პოლისზე. შენ...

– რამდენჯერ უნდა გაიმეორო ერთი და იგივე?!

– უბრალოდ, მინდოდა მეთქვა...

– შენ უკვე იმდენჯერ მითხარი, რომ გული მერევა მოსმენისას!

– მერე... გამოძიება. შენ მოიწვევ...

– ვიცი, მღვდელს მოვიწვევ წესის ასაგებად. მაინც რამდენჯერ შეიძლება ერთი და იმავეს გამეორება! ბოლოს და ბოლოს, მომცემ თუ არა მანქანის მშვიდად წაყვანის საშუალებას?

– კარგი, წაიყვანე.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ვკითხე:

– ბელი შინაა?

– აბა, რა ვიცი! არა!

– არც ლოლა?

– ხომ გითხარი!

– მაშინ აფთიაქთან გაჩერდები. შეხვალ და ნაყინს ან კიდევ რაიმეს იყიდი. მერე მოწმემ ხომ უნდა დაგიდასტუროს, რომ სადგურიდან პირდაპირ შინ წახვედი. მაგრამ გამყიდველს ისეთი რამ უნდა უთხრა, რომ მეხსიერებაში ჩაებეჭდოს დრო და თარიღი. შენ...

– ეშმაკსაც წაუღიხარ! წაეთრიე აქედან! გავგიჟდები!

– ვერ წავეთრევი, მე ჩემს მანქანაში უნდა გადავჯდე. ნუთუ გაუგებარია, რომ ფეხით ვერ წავალ? ამას დრო დასჭირდება და ჩემი ალიბიც გაცამტვერდება. მე...

– ხომ ვთქვი – წაეთრიე!

– ხმა ჩაიწყვიტე და წავედით, თორემ მიგახრჩობ!

\*\*\*

ჩემს მანქანას რომ გაუსწორდა, დაამუხრუჭა. გადმოვედი. ერთმანეთისთვის არ გვიკოცნია. არც გამოვმშვიდობებებივართ. მისი მანქანიდან გადმოვედი, ჩემსაში ჩავჯექი, ძრავა ჩავრთე და შინ წავედი.

ოთახში რომ შევედი, პირველად საათს დავხედე. თერთმეტის ოცდახუთი წუთი იყო. ტელეფონთან მივედი. ბარათი ადგილზე დამხვდა, ზარის ენის ქვემოთ. გამოვამრე და ჯიბეში ჩავიდე. მერე სამზარეულოს მივაშურე და კარის ზარს დავხედე. მეორე ბარათიც აქ იყო. ისიც ჯიბეში ჩავიდე. ზემოთ ავედი, პიჟამა და ფლოსტები ჩავიცვი. ფეხიდან სახვევი მოვიხსენი. მერე ძირს ჩავედი, სახვევი, ბარათები და გაზეთის ნაგლეჯი ბუხარში შევყარე და დავწვი. ვიდექი და შევცქეროდი, როგორ იწვოდა. მერე ტელეფონს მივუახლოვედი და ნომრის აკრეფა დავიწყე. კიდევ ერთი ზარი სრულყოფილი ალიბისთვის. ყელში ბურთივით გამეჩხირა რაღაც და ტირილი მომიხდა. ყურმილი დავახეთქე. სასოწარკვეთილებამდე ვიყავი მისული. თავი ხელში უნდა ავიყვანო, სასწრაფოდ! რამდენიმეჯერ გაშმაგებით გადავყლაპე ნერწყვი. ხმა უნდა შევამოწმო და დავრწმუნდე, რომ ნორმალურად ჟღერს. თავში ბრიყვული აზრი მომივიდა – სიმღერა უნდა მეცადა, ყელიდან ეს ბურთი რომ ამომეგდო. «კუნძული კაპრი» წამოვიწყე. ორიოდ ნოტი წავიმღერე და იმ ბურთში რაღაც საზიზღარმა კრიახმა გამოატანა. სასტუმრო ოთახში გავედი და სასმელი დავისხი. მეორეც მივაყოლე. ცხვირში რაღაც სისულელეს ვდუღდუნებდი, მაგრამ ასე უაზროდ ხომ არ ვიბურტყუნებ... იქნებ ვილოცო? რამდენიმეჯერ წავიბუტბუტე ლოცვა. მერე ისევ თავიდან დავიწყე, ვერაფრით მივმხვდარიყავი, ნორმალურად მიჟღერდა ხმა თუ არა.

ბოლოს, რომ დავრწმუნდი, ლაპარაკი შემიძლია-მეთქი, ისევ ავკრიფე ნომერი. თერთმეტს თვრამეტი წუთი აკლდა. აიკ შვარცს დავურეკე, ჩვენი კომპანიის ერთ-ერთ აგენტს.

– აიკ, მეგობარო, ერთი სათხოვარი მაქვს... აგერ ვზივარ და ერთი მეღვინეობის კომპანიის დავალიანების სარჩელის პროექტს ვთხზავ, მინდა ხვალისთვის დავასრულო. მაგრად

გავიჭედე... სადღაც მივათესე ნიხრების წიგნაკი. ჯოი პიტმაც ეძება და ვერ ნახა. იქნებ შენსას ჩახედო? თან გაქვს?

– ჰო, რა თქმა უნდა, რაზეა ლაპარაკი! სიამოვნებით!

მონაცემები ვუკარნახე. დამპირდა, თხუთმეტობდე წუთის შემდეგ დაგირეკავო.

ოთახში დავხეტებოდი, მუშტებს ხან ვშლიდი, ხანაც ვკუმშავდი. ყელში ისევ მეჩხირებოდა ბურთი და ისევ ვბურტყუნებდი, ისევ ვიმეორებდი ეს-ეს არის აიკისთვის ნათქვამს. ტელეფონმა დაიწვიალა. ყურმილი ავიღე. აიკმა მითხრა, დავიანგარიშეო და კარნახს შეუდგა. ერთბაშად სამი ვარიანტი მომცა. ამას ოციოდ წუთი მოუნდა. ყველაფერს ვიწერდი. ვწერდი და ვგრძნობდი, როგორ მოწანწვარებდა შუბლიდან ოფლის წვეთები ცხვირზე. როგორც იქნა, აიკი დადუმდა.

– კარგი, აიკ, ზუსტად ეს მჭირდებოდა. სწორედ ეს მაკლდა. ათასგზის გიხდი მაღლობას!

აიკმა ყურმილი დაჰკიდა და ჩემი თავშეკავებაც ჯანდაბაში გადაიკარგა. სააბაზანოში შევევარდი – გული მერეოდა. ბოლოს შეტევამ გამიარა და საწოლზე მივეგდე, მაგრამ შუქი კიდევ დიდხანს არ გამომირთავს. პირაღმა ვიწექი და სიცარიელეს მივშტერებოდი. დროდადრო მაჟრჟოლებდა, თავით ფეხამდე ვკანკალებდი. მერე ამანაც გამიარა. უძრავად ვიწექი, თითქოს ნარკოტიკით გაბრუებული. თავში ნაირ-ნაირი აზრი მიტრიალებდა. ვცდილობდი, თავიდან მომეშორებინა, მაგრამ ამაოდ. და აი, მხოლოდ მაშინღა მივხვდი, რაც ჩავიდინე... მე კაცი მოვკალი... კაცი მოვკალი, რათა ქალი ჩამეგდო ხელში. თავი მთლიანად მას ვუძღვენი, მას ვმორჩილებდი. ახლა საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვაც, რომ ჩემთვის სიკვდილი მოესაჯათ. ყველაფერი გავაკეთე მისთვის, მაგრამ ახლა მისი ნახვა აღარ მინდოდა, არასოდეს სიცოცხლეში.

აი, თურმე, როგორ ხდება – შიშის ერთი წვეთიც კი საკმარისია, რომ სიყვარული სიძულვილად იქცეს.

თავი 8

დილით, წვენი და ფინჯანი ყავა რომ დავლიე, გაზეთით საძინებელში გავედი. ფილიპინელი ბიჭის თანდასწრებით მისი გადაფურცვლისაც კი მეშინოდა... ჰო, რა თქმა უნდა, აი, ისიც, აქ არის, პირველ გვერდზე.

შუახნის მამაკაცი, თანაკურსელებთან შეხვედრაზე რომ მიდიოდა, რკინიგზაზე ილუპება. ჰ. ს. ნედლინგერი, სანავთობე კომპანიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, ლილენდ-სტენფორდის მიმართულებით მოძრავი ექსპრესის ღია პლატფორმიდან გადმოვარდა.

«გუშინ, დაახლოებით ღამის 12 საათზე, სარკინიგზო ხაზზე, ქალაქიდან დაახლოებით ორ მილზე, ჩრდილოეთისაკენ, აღმოჩენილ იქნა მამაკაცის გვამი ყელისა და თავის არეში ჭრილობებით. იგი ჰ. ს. ნედლინგერია, ლოს-ანჯელესის «ვესტერნ ფაიფ ენდ სეფლაი

კომპანის» წარმომადგენელი, ვისი სახელიც დიდი ხნის განმავლობაში განუყრელად იყო დაკავშირებული ჩვენი შტატის სანავთობე მრეწველობასთან. მისტერ ნედლინგერი იმავე დღის საღამოს გაემგზავრა თანაკურსელებთან შეხვედრაზე, ლილენდ-სტენფორდში. ვარაუდობენ, რომ ის ღია პლატფორმიდან გადმოვარდა. პოლიციის ცნობით, ამ სამწუხარო შემთხვევამდე რამდენიმე კვირით ადრე მან ფეხი მოიტეხა. წინასწარი ვარაუდით, ყავარჯნების მოხმარების უცოდინარობამ შესაძლოა წონასწორობის დარღვევა და ღია პლატფორმიდან, რომელზეც ის უკანასკნელად დაინახეს, გადმოვარდნა გამოიწვია.

მისტერ ნედლინგერი 44 წლის იყო. დაიბადა ფრესნოში, დაამთავრა ლილენდ-სტენფორდის უნივერსიტეტი, შემდეგ თავი მთლიანად მიუძღვნა სანავთობე საქმეს და ლონგ-ბიჩში ჭაბურღილების დამუშავების მესვეურად ითვლებოდა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ის «ვესტერნ ფაიფ ენდ სეფლაი კომპანის» ადგილობრივ ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობდა.

3. ს. ნედლინგერს დარჩა ქვრივი, ქალიშვილობაში – მის ფილის ბელდენი, მანერჰეიმიდან, და ქალიშვილი, მის ლოლა ნედლინგერი. გათხოვებამდე მისის ნედლინგერი ვერდუგოს ჯანმრთელობის ინსტიტუტში მუშაობდა უფროს მედდად».

\*\*\*

ცხრას 20 წუთი აკლდა, ნეტიმ რომ დამირეკა და მითხრა, თქვენი ნახვა მისტერ ნორტონს სურს, თანაც, სასწრაფოდო. ეს იმას ნიშნავდა, რომ უკვე ყველაფერი იცოდნენ და კომედიის გათამაშება აღარ დამჭირდებოდა გაზეთით ხელში, სწორედ ის ტიპი დაღუპულა, გასულ ზამთარს პოლისი რომ მივყიდე-მეთქი. ვუთხარი, ვხვდები, რა საქმეზეც მიბარებს და ახლავე გამოვდივარ-მეთქი...

არ ვიცი, როგორ მოვახერხე იმ დაუსრულებელი დღის გაყვანა. მგონი, უკვე გიამბეთ ნორტონსა და ქეიესზე. ნორტონი კომპანიის პრეზიდენტია, 35 წლის მსუქანი ქონდრისკაცი. მამის საქმე მემკვიდრეობით ერგო და იმდენად არის ჩაგულისყურებული მისი ჟესტებისა თუ ქცევების გადმოღებაში, ეტყობა, სხვა რამისთვის დრო აღარც ჰყოფნის. ქეიესი სარჩელების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ძველი თაობის კაცი იყო და თუ მის სიტყვას დავუჯერებდით, ახალგაზრდა ნორტონს ჯერ ვერც ერთი საქმე ვერ გაეკეთებინა ხეირიანად. ქეიესი მაღალი, მსუქანი და ბუზღუნაა, ეგეც არ იყოს, ფილოსოფოსობა უყვარს – თავბრუს დაგახვევს, თუნდაც ხუთიოდ წუთი რომ უსმინო. ერთი კია, ჩვენს სანაპიროზე ვერსად ნახავთ მასზე უკეთეს სპეციალისტს. სწორედ ის იყო ერთადერთი კაცი, რომლისაც ცეცხლივით მეშინოდა.

პირველად ნორტონთან უნდა წავსულიყავი და ყველაფერი მეამბნა. ვუამბე კიდევ, რომ ნედლინგერს უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა შევთავაზე, რომ მისი ცოლი და ქალიშვილი ამის წინააღმდეგი იყვნენ; მოვყევი, როგორ აღარ გავაგრძელე იმ საღამოს მისი დამუშავება, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მასთან ოფისში შევიარე და კიდევ ერთხელ ვცადე ბედი. ჩემი ნაამბობი ნედლინგერის მდივნის მონათხრობს უთუოდ დაემთხვეოდა. ისიც ვუთხარი, რომ პოლისი მივყიდე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავპირდი, თქვენს ცოლსა და ქალიშვილს არაფერს ვეტყვი-მეთქი; რომ ბლანკები გამოვართვი და მერე, როცა დოკუმენტები მზად იყო, პოლისი გადავეცი და ჩეკიც ავიღე...

მერე ნორტონთან ერთად ქეიესთან წავედი და ყველაფერი თავიდან დაიწყო. მოკლედ, ლაყბობაში გავატარე მთელი დილა. გაუთავებლად ვლაპარაკობდით, უამრავ სატელეფონო ზარს ვპასუხობდით, სან-ფრანცისკოდან ტელეგრამებს ვიღებდით. იქ ქეიესის მამებრებმა ნედლინგერის თანამგზავრები დაჰკითხეს, პოლიციას, მის მდივანსა და ქალიშვილს, ლოლას, ესაუბრნენ – თურმე დაურეკავთ და უკითხავთ, რა იციო. ფილისის პოვნასაც შეეცადნენ, მაგრამ მე სასტიკად ავუკრძალე ტელეფონთან მისვლა და ისიც არ მიჰკარებია. გამომძიებელს გვამის გაკვეთაზე შეუთანხმდნენ. სადაზღვევო კომპანიები და გამომძიებლები ასეთ დროს თანამშრომლობენ ხოლმე, ამიტომაც ნებართვა იოლი მისაღებია, ოღონდ კი მოინდომე. შეიძლება დაავალდებულო კიდეც გაკვეთა, ამაზე კოდექსში საგანგებო სტატიაც კი არსებობს, მაგრამ სასამართლოს დადგენილებაა საჭირო და აი, მაშინ აუცილებლად გამოაშკარავდება, რომ გარდაცვლილი დაზღვეული იყო. ეს კი შეიძლება ძმრად ამოგვდინდეს. გაკვეთის დასკვნას სადაზღვევო კომპანია მოგვიანებით გამოიყენებს სათავისოდ, მალულად, რადგან თუ ნედლინგერი დამბლით ან გულის შეტევით მოკვდა და მხოლოდ მას შემდეგ გადმოვარდა მატარებლიდან, ეს უკვე უბედური შემთხვევა კი არა, ბუნებრივი სიკვდილი იქნებოდა და ჩვენ კაპიციც აღარ უნდა გადაგვხადა. შუადღისას სამედიცინო დასკვნაც მოვიდა: «სიკვდილი გამოიწვია კისრის მალეების მოტეხილობამ», – ეწერა მასში. ამათაც აღარ დააყოვნეს და საქმის ოფიციალური მოსმენის ორი დღით გადავადება მოინდომეს.

დღის ოთხი საათისთვის ქეიესის მაგიდაზე ქალღმერთისა და ტელეგრამების გროვა იდგა. იძულებული შეიქნა, საგულდაგულოდ დაეკეცა თითოეული, რომ აქეთ-იქით არ გაფანტვოდა. ქეიესი ისე აუტანლად იგრიხებოდა და იმანჭებოდა, რომ მასთან ლაპარაკი გაუსაძლისი გახდა. ნორტონი კი პირიქით – სულ უფრო კარგ გუნებაზე დგებოდა. ამ დროს სან-ფრანცისკოდან დაურეკეს და მისი საპასუხო ფრაზებით მივხვდი – იმ ტიპს ელაპარაკებოდა, მატარებლიდან გადახტომის წინ რომ ძლივს მოვიშორე თავიდან. ნორტონმა ყურმილი დაკიდა და ქალღმერთის ნაგლეჯზე, გროვის ზემოთ რომ იდო, რაღაც დაწერა, მერე კი ქეიესს მიუბრუნდა:

– წმინდა წყლის თვითმკვლელობაა.

ჰოდა, კომპანია ფულს არ გადაიხდის. პოლისს მხოლოდ უბედურ შემთხვევებზე ვანაღლებთ.

– ჰმ...

– კარგი, ახლა ყურადღებით მომისმინეთ. ჯერ ერთი, ნედლინგერი მალულად დაეზღვია. არაფერი უთქვამს ახლობლებისთვის – არც ცოლისთვის, არც ქალიშვილისთვის, არც მდივნისთვის და არც არავისთვის. აი, ჰაფი რომ ოდნავ ფხიზლად ყოფილიყო, მიხვდებოდა, რომ...

– რას უნდა მივმხვდარიყავი?

– ნუ ბრაზობ, ჰაფ. რას ცხარობ? ალბათ, თავადაც ხვდებოდი, რომ რაღაც ძალზე საეჭვო იყო.

– არაფერიც არ ყოფილა საეჭვო. ასეთი რამ ყოველდღე ხდება. აი, ნედლინგერი რომ ვინმეს ისე დაეზღვია, თავად არაფერი სცოდნოდა, მაშინ მართლაც საეჭვო იქნებოდა.



– მართალია, ჰაფი არაფერ შუაშია.

– არა, ქეიეს, უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ...

– ჰაფის ყველა ჩანაწერით ცხადია – საეჭვო რამ რომ შეენიშნა, მაშინვე გვაცნობებდა. გირჩევნიათ, თქვენი აგენტები შეამოწმონ.

– კარგი, კარგი, თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს. მაშ, ასე: ნედლინგერი ყიდულობს პოლისს და ამ ფაქტს მკაცრად ასაიდუმლოებს. ისმის კითხვა – რატომ? იმიტომ, რომ იცის: თუ ოჯახმა გაიგო, მაშინვე მიხვდებიან მიზეზსაც, მიხვდებიან, რაც ჩაიფიქრა. ნამდვილად ასე იქნებოდა, დამიჯერეთ. მისი ბიოგრაფია რომ ოდნავ გამოვქექოთ, გავიგებთ კიდეც, რამ გადააწყვეტინა სიკვდილი. კარგი... მეორე – ნედლინგერმა ფეხი მოიტეხა, მაგრამ ჩვენგან ანაზღაურებას არ ითხოვს. რატომ? ესეც უცნაურია, ხომ? კაცს უბედური შემთხვევისგან დასაზღვევი პოლისი აქვს, მას კი ფეხი მოტყდა და ფულს არ ითხოვს. იმიტომ, რომ თვითმკვლელობა ჰქონდა გადაწყვეტილი და პოლისის გამოჩენას მოერიდა, ოჯახი ხომ მაშინვე გაიგებდა და ზომებს მიიღებდა.

– რა ზომებს?

– დაგვირეკავდნენ და ჩვენც მაშინვე გავაუქმებდით ხელშეკრულებას, ასე არ არის? ნამდვილად ჩამოვალ, ასე იყო! თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებდა, რომ თანხას დაეუბრუნებდით. ეს კარგად იცოდა. არა, ასეთი ბრიყვი ნამდვილად არ იქნებოდა. ჩვენი ექიმიც ხომ მივიდოდა მისი ფეხის დასახედად და ყველაფერს შევიტყობდით? აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული.

– მერე, მერე?

– საბაბადაც ეს გამოიყენა, რომ მატარებლით ემგზავრა. ვაგზალზე ცოლი აცილებს, ის მატარებელში ჯდება და სწრაფად იშორებს ცოლს თავიდან. ქალიც მიდის. ნედლინგერი უკვე მზადაა განზრახული შეასრულოს, მაგრამ წინააღმდეგობას აწყდება. ვიღაც ტიპი გამოეჩხირა ღია პლატფორმაზე, მოწმეები კი სულაც არ სჭირდება. რა უნდა ქნას? ისიც თავიდან იშორებს იმ ტიპს – ბრიყვულ ისტორიას თხზავს, ვითომ ბილეთი პორტფელში დარჩა და როგორც კი მოწმე მიდის, პლატფორმიდან ხტება. სხვათა შორის, ამწუთას ველაპარაკე იმ ტიპს. ჯექსონი ჰქვია, ახლა ფრისკოშია საქმეზე და ხვალ დაბრუნდება. თვითმკვლელობა რომაა, არც ეეჭვება. პორტფელისთვის რომ მიდიოდა თურმე, მაშინვე უგუჟანია, ჩემი თავიდან მოშორება უნდაო, მაგრამ ხეიბარს უარს ხომ ვერ ეტყოდა. მოკლედ, ყველაფერი ნათელია. ტიპური თვითმკვლელობაა. სხვა ვარიანტი არ არსებობს.

– მერე რა გამოდის აქედან?

– ჩვენი შემდგომი ნაბიჯი გამოძიება უნდა იყოს. ბუნებრივია, სასამართლოში გამოჩენა არ გვარგებს. სულს ამოგვხდიან, რომ გაიგონ, გარდაცვლილი დაზღვეული ყოფილაო. შეიძლება გამომძიებელი გავგზავნოთ, თუნდაც ორი, დასხდნენ, მოუსმინონ, რას იტყვიან, სხვა არაფერი. ჯექსონიც თავს ვალდებულად თვლის, მოვიდეს და ყველაფერს მოჰყვეს. გვაქვს შანსი, თუმცა არცთუ დიდი, მაგრამ მაინც შანსი, რომ ვერდიქტი თვითმკვლელობა იქნება. თუ ასე მოხდა, მაშინ გამოვძვრებით კიდეც. არადა, უნდა მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ. მოკლედ, ჯერ ამას დავჯერდეთ. ვნახოთ, რა მოხდება. ვინ იცის, პოლიცია კიდეც რას აღმოაჩენს. პირველი რაუნდის მოგებაც შეიძლება.

ქეიესი ისევ დაიმანჭა. მსუქანი იყო და სიცხეს ვერ იტანდა. სიგარეტს მოუკიდა. მერე თავი ჩაქინდრა და ნორტონს ზურგი შეაქცია, თითქოს ცუდლუტი მოწაფე ყოფილიყოს, რომლის დანახვაც არ უნდოდა. ბოლოს ამოთქვა:

– ეს თვითმკვლელობა არ არის... – თავისი გატენილი პორტფელი გახსნა და მაგიდაზე სქელ-სქელი წიგნები ამოყარა, – აი, აქ, მისტერ ნორტონ, ყველაფერი წერია, რასაც სადაზღვევო საზოგადოებების სტატისტიკა ამბობს თვითმკვლელობებზე. წაიკითხეთ, იქნებ თქვენთვის რაიმე სასარგებლოც იპოვოთ.

– მე ამ ბიზნესში გავიზარდე, ქეიეს.

– თქვენ კერძო სკოლებში, გროტონსა და ჰარვარდში გაიზარდეთ და სანამ ბაიდარებსა და კანობზე ნიჩბოსნობას სწავლობდით, მე ამ ცხრილებს ჩავკირკიტებდი. აი, ნახეთ, აქ ყველაფერია ჩამოთვლილი – თვითმკვლელობები რასობრივი, სქესობრივი, სამსახურებრივი ნიშნის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, წლის დროები, დღე-ღამის მონაკვეთები, როცა ხდება მკვლელობები. ხერხები: შხამით, გაზით, თავის დაწვით, დახრჩობით, სიმაღლიდან გადმოხტომით. აი, ვთქვათ, თვითმკვლელობა შხამით – დაყოფილია სქესის, რასის, ასაკის, დღე-ღამის დროის მიხედვით; გამოყენებული შხამის სახეობების მიხედვით: კალიუმის ციანიდი, ვერცხლისწყალი, სტრიქნინი, კიდევ ოცდათვრამეტი დასახელებაა, ამასთან, აქედან თვრამეტს აფთიაქებში უკვე ვეღარ ნახავთ. აი, აქ კი, მისტერ ნორტონ, გადახტომებია, ქვეთავებად არის დაყოფილი: გადმოხტომა სიმაღლიდან, მოძრავი მატარებლის, სატვირთოების ბორბლებში, ცხენის ფლოქვებში ჩავარდნა, გადახტომა ნავიდან... მაგრამ ამ მილიონ შემთხვევასა და ხერხს შორის არ არის თუნდაც ერთი ისეთი მაგალითი, თავის მოკვლის მოსურნე კაცი მატარებლის ბოლო ვაგონიდან რომ ხტებოდეს. ასე არ ხდება.

– მაგრამ ეს ხომ შესაძლებელია?

– შესაძლებელია, მაგრამ მატარებელი იმ ადგილას, სადაც გვამი იპოვეს, საათში მაქსიმუმ 15 მილის სიჩქარით მიდიოდა. კაცი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავის მოკვლა, გადახტებოდა სწორედ იქ?

– რატომაც არა? ხომ მოიტეხა კისრის მალეები!

– კარგი რა, რაებს ჩმახავთ, აკრობატი კი არ იყო.

– რისი თქმა გასურთ? რომ ეს უბედური შემთხვევა არ არის?

– მისმინეთ, ნორტონ, როცა კაცი სადაზღვევო პოლისს ყიდულობს, რომელშიც 50.000 დოლარს იხდის იმ შემთხვევისთვის, თუკი რკინიგზაზე დაიღუპება და მერე სამი თვის შემდეგ მართლაც უბედური შემთხვევით კვდება რკინიგზაზე, ეს შემთხვევითობა აღარ არის. ეს შეუძლებელია. მატარებელი რომ კატასტროფაში მოყოლილიყო, კიდევ ჰო, შეიძლებოდა. და მაინც, მაშინაც კი საეჭვო იქნებოდა, ძალზე საეჭვო. არა, ეს შემთხვევითობა არ არის, მაგრამ არც თვითმკვლელობაა.

– მაშ რაღაა?

– თავადაც იცით, რაც...

- მკვლელობა?
  - დიახ, მკვლელობა.
  - მოიცა, მოიცა, ქეიეს, ვერ გავიგე. რა, კიდევ რაღაც იცით?
  - არა, არაფერი.
  - მაშინ ეს რამ გაფიქრებინათ?
  - აკი გითხარით – არაფერი ვიცი-მეთქი. მაგრამ ვინც ეს საქმე გააკეთა, ძალზე ჭკვიანი ყოფილა. ხელჩასაჭიდი არაფერი გვაქვს. და მაინც, ეს მკვლელობაა.
  - თქვენ ვინმეზე გაქვთ ეჭვი?
  - ვინც ამ საქმით იხეირებს, ეჭვიც მასზე მიაქვთ ხოლმე.
  - მის ცოლს გულისხმობთ?
  - ჰო, მის ცოლს.
  - მაგრამ ის ხომ მატარებელში არც ყოფილა?
  - მაშინ ვიღაც სხვა იყო.
  - და თქვენ ხვდებით, ვინც?
  - წარმოდგენა არ მაქვს.
  - სულ ეს არის?
  - ხომ გითხარით, ხელჩასაჭიდი არაფერია-მეთქი. არაფერი, ამ ცხრილებისა და ჩემი წინათგრძნობის გარდა. დაარქვით მას, რაც გინდათ, მეექვსე გრძნობა, გამოცდილება, თქვენი ნებაა. მარჯვე ნამუშევარია, სუფთა. მაგრამ არც უბედური შემთხვევაა და არც თვითმკვლელობა.
  - მაშ, რა ვქნათ?
  - არ ვიცი, მაცალეთ, მოვიფიქრებ...
- ნახევარ საათს ფიქრობდა. მე და ნორტონი იქვე ვისხედით და ვეწეოდით. უეცრად ქეიესი მაგიდაზე ხელისგულის ტყაპუნს მოჰყვა.
- მისტერ ნორტონ...
  - დიახ, ქეიეს.
  - ერთი გზა გაქვთ, მართალია, დარღვევაა, სხვა დროს ამაზე არაფრით დაგთანხმდებოდით, მაგრამ ახლა სხვა საქმეა. მე ზოგიერთი მომენტი მაეჭვებს – კაცს, რომელმაც ეს ჩაიდინა, ჩვენს კომპანიაში ასეთი შემთხვევებისთვის არსებულ პრაქტიკაზე ჰქონდა ყველაფერი გათვლილი. რა ხდება, ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციებში? ჩვენ ველით, როდის მოვა

კლიენტი და პირველი თავად განგვიცხადებს პრეტენზიებს. მოდი, ამჯერად სხვანაირად მოვიქცეთ. თუკი შესაძლებელია, გირჩევთ, დაუყოვნებლივ, დღესვე თუ არა, საქმის მოსმენის დღეს მაინც ვუჩივლოთ ნედლინგერის ცოლს და განვაცხადოთ, რომ ის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. უნდა დავარტყათ, უეცრად და გამანადგურებლად. მოითხოვეთ ასეთი შემთხვევების დროს კანონით გათვალისწინებული მისი სასწრაფოდ, ორმოცდარვა საათით დაპატიმრება. უნდა მივაწვეთ, ჩიხში მოვაქციოთ, დავაშინოთ იმ დეტალებით, რომლებიც პოლიციამ ამოჩხრიკა. რაც მთავარია – თანამოსაქმისაგან იზოლირებული უნდა იყოს, სულერთია, ვინ არის იგი, ქალი თუ მამაკაცი. მათი დაბნეულობით უნდა ვისარგებლოთ, ხელი უნდა შევუშალოთ, რომ ველარაფერი დაგვეგონ. ასე ვქნათ და ნახავთ, თუ საოცარი რამეები არ გავიგოთ!

– მაგრამ რის საფუძველზე?

– აბსოლუტურად უსაფუძვლოდ.

– ქეის, ეს ხომ შეუძლებელია. დავუშვათ, ვერაფერი გავიგეთ, დავუშვათ, მივაწექით და მაინც ვერაფერს გავხდით. დავუშვათ, ეს მაინც უბედური შემთხვევაა. მაშინ რა მდგომარეობაში ჩავიგდებთ თავს? ღმერთო ჩემო, ის ქალი ხომ მაშინვე აღძრავს სამოქალაქო საქმეს ჩვენს წინააღმდეგ და მოსამართლევ ბოლომდე გადაგვახდევინებს თითოეულ კაპიკს. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ საქმე მხოლოდ სამოქალაქო სასამართლოთი გათავდება. შეიძლება, სისხლის სამართლის საქმეც გაქაჩოს. მაშინ რა ვქნათ? ჩვენი წლიური შემოსავალი საშუალოდ ასი ათასი დოლარია. ქვრივ-ობლების დამცველები ვართ, ყველაზე ჰუმანური მიზანი გვამომრავებს-თქო, გავიძახით და რა გამოდის? მზად ვართ, უდანაშაულო ქალს ბრალი დავდოთ მხოლოდ იმის გამო, რომ კანონიერად კუთვნილი ფული არ მივცეთ?

– ეს უკანონო ფულია.

– კანონიერია, სანამ არ დავამტკიცებთ საპირისპიროს.

– კარგი. თქვენი მსჯელობა, რა თქმა უნდა, სწორია... მეც ხომ ვამბობ, რომ ეს დარღვევაა. მაგრამ ნება მომეცით შევნიშნო, მისტერ ნორტონ, მეტიც, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ის, ვინც ეს საქმე გააჩალიჩა, მაგარი შებერტყილი ვინმე უნდა იყოს. ქალი იყო თუ კაცი, ან იქნებ სამნი ან ოთხნიც იყვნენ, სულერთია, კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. ჩვენ მათ ვერ გამოვიჭერთ, თუ ასე გულხელდაკრეფილები ვისხდებით და სხვის კარნახს დაველოდებით... ამის იმედი ნუ გექნებათ, არავინ დაგვეხმარება. ერთადერთი ხერხი მათი ხაფანგში გასაბმელად ჩვენი შეტევა იქნება. ატყდეს სკანდალი, ერთი ამბავი, ჯანდაბას, მაგრამ მათი ხელში მომწყვდევა ერთადერთი საშუალებაა რაიმეს გარკვევისა. არა, მე იმის გარანტიას არ ვიძლევი, რომ ეს ხერხი ნამდვილად გაამართლებს, მაგრამ შეიძლება გაამართლოს, თითქმის დარწმუნებული ვარ.

– ქეის, ჩვენ ამას ვერ ვიზამთ.

– რატომ?

– ამისთანა რამ პირველად ხომ არ მომხდარა, ყველა სადაზღვევო კომპანიას გადახდენია თავს. ჩვენ უკვე გვაქვს გამომუშავებული განსაზღვრული პრაქტიკა. მას ვერ ვუღალატებთ. ეს პოლიციის საქმეა. რა თქმა უნდა, შეგვიძლია პოლიციას დავეხმაროთ – თუკი რაიმეს

გავიგებთ, თუ რაიმე საინტერესო ინფორმაცია ჩაგვივარდება ხელთ, მაშინვე ვაცნობებთ. თუ ეჭვი გაგვიჩნდება, მაშინვე გავუზიარებთ. ჩვენ კანონით გათვალისწინებული ყველა ნაბიჯის გადადგმა შეგვიძლია, მაგრამ არა ასეთის...

ნორტონი დადუმდა. ქეისი მოლოდინით მისჩერებოდა, მაგრამ შეფს სიტყვა აღარ გაუგრძელებია.

– რა არის ამჟამინათვე კანონსაწინააღმდეგო, მისტერ ნორტონ?

– არაფერი. ეს სავსებით კანონიერია, მაგრამ არასწორი. მაშინვე ცეცხლში მოვყვებით. თუ შეცდომა დავუშვით, ხელთ არაფერი შეგვრჩება, სრულიად დაუცველნი დავრჩებით. სიცოცხლეში ამგვარი არაფერი გამიგია... იმის თქმა მინდოდა, ტაქტიკური შეცდომაა-მეთქი.

– სამაგიეროდ, სტრატეგიულად სწორია.

– ჩვენ ჩვენი სტრატეგია გვაქვს, ძველთაძველი, ათწლეულების განმავლობაში გამომუშავებული და მას ვერ გადავუხვევთ. თუ ეს მართლაც თვითმკვლელობაა? მაშინ პირველივე მარჯვე შემთხვევისთანავე ჩვენი ეჭვები დადასტურდება და ამით თავს საფრთხესაც ავაცილებთ. მერე მისის ნედლინგერმა ამტკიცოს, ასე არ არისო. აი, ამის თქმა მინდოდა. სულაც არ მინდა, ასე, დენთის კასრზე მჯდომმა მე ვამტკიცო ყველაფერი.

– ე.ი. თქვენ იმ ქალის საწინააღმდეგო არავითარ ზომას არ მიიღებთ?

– ჯერჯერობით არა, ქეის, შეიძლება მოგვიანებით კი. სანამ გვაქვს იმის საშუალება, რომ ჩვენი პოლიტიკით ვიმოქმედოთ, სხვა რამის გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ.

– მაგრამ მამათქვენი...

– ისიც სწორედ ასე მოიქცეოდა. ზუსტად ახლა გავიფიქრე მასზე.

– არა, ის სულ სხვანაირად მოიქცეოდა. ბებერი ნორტონი გამოიყენებდა ამ შანსს.

– მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მე ხომ მე ვარ და არა – ის.

– თქვენი ნებაა.

სასამართლოში საქმის მოსმენას არ დავსწრებივარ. არც ნორტონი და ქეისი წასულან. არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ გაუმხელს სასამართლოს, რომ გარდაცვლილი დაზღვეული იყო. მოსმენაზე ორი გამომძიებელი, უფრო სწორად, მეთვალყურე გავგზავნეთ. გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდნენ იქ დამსწრეთაგან და ჟურნალისტებთან ერთად ისხდნენ. მათგან გავიგეთ, რაც მოხდა. მოწმეებმა, ყველამ უკლებლივ, ჩვენებები მისცეს. გვამის იდენტიფიცირებას ესწრებოდნენ: ფილისი, მატარებლის ორივე კონდუქტორი, მეზარგული, გამცილებელი, ორი მგზავრი, პოლიცია და ის ტიპი, ჯექსონი, თურმე რომ დაეჭინა, ჩემს თავიდან მოცილებას ცდილობდაო.

სასამართლომ ასეთი დასკვნა გამოიტანა: «ჰერბერტ ს. ნედლინგერი გარდაიცვალა კისრის მალეობის მოტეხილობით, რაც გამოიწვია მატარებლიდან გადმოვარდნამ 3 ივნისის დაახლოებით ღამის ათ საათზე. მატარებლიდან გადმოვარდნა სასამართლოსთვის უცნობ

გარემოებებში მოხდა». ნორტონი ამან გააოცა. ელოდა, რომ ვერდიქტად თვითმკვლელობას გამოიტანდნენ. მე კი სულაც არ გამკვირვებია. ყველაზე მთავარ მოწმესაც არ დაუძრავს სასამართლოზე კრინტი. ადრევე დავაჯერე ფილისი, რომ ის უნდა დასწრებოდა სასამართლოს. ხომ მოსალოდნელი იყო, რომ თვითმკვლელობის საკითხი წამოეჭრათ? მთავარი მოწმე მღვდელი გახლდათ, რომელსაც ფილისმა საქმის მოსმენაზე გაყოლა სთხოვა, თან დაკრძალვის ორგანიზებაზეც მოილაპარაკებდნენ. როცა სასამართლო გაიგებდა, რომ გარდაცვლილის ნაკურთხ საფლავში დაკრძალვა იყო გადაწყვეტილი, მიუხედავად იმისა, შხამდალეული იყო თუ არა გარდაცვლილი, ყელი გამოეჭრა თუ პირსიდან ესკუპა, უთუოდ დაასკვნოდა:

«სასამართლოსთვის უცნობ გარემოებებში».

\*\*\*

მეთვალყურეებს რომ მოვუსმინეთ, ნორტონი, ქეიესი და მე სათათბიროდ დავსხედით, ამჯერად – ნორტონის კაბინეტში. დაახლოებით 6 საათი იქნებოდა. ქეიესი მჟავე სახით იჯდა. ნორტონი კი, ბუნებრივია, ნაწყენი იყო, თუმცა ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, რომ მიუხედავად ყველაფრისა სწორად მოიქცა.

– აბა, რას იტყვი, ქეიეს, ჭაკადაა საქმე, არა?

– მეტი რომ არ შეიძლება. ახლა რა ვქნათ?

– ახლა? ერთხელ გაკვალულ გზას უნდა გავუყვეთ – უნდა ჩავუსაფრდეთ. სარჩელის ანაზღაურებაზე ვეტყვი უარს იმ საბაბით, რომ უბედური შემთხვევა არ დადასტურდა და ვაიძულებ, გვიჩვილოს. მერე კი ვნახოთ.

– არაფერი გამოგივათ. წასულია საქმე.

– ვიცი, მაგრამ მაინც ასე ვიზამ.

– ვითომ რატომ?..

– იცით, მე კიდევ ვესაუბრე პოლიციას. ვუთხარი, მკვლელობაზე გვაქვს ეჭვი-მეთქი. თავიდან ისინიც ეჭვობდნენ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. გასწი-გამოსწიეს და გადაწყვიტეს, არაო. იმათაც აქვთ, ქეიეს, ცნობარები და ცხრილები. იციან, როგორც ხდება მკვლელობები, რა ხერხებით და არც ის გაუგიათ ოდესმე, ვინმეს კაცი მოეკლას ნელა მიმავალი მატარებლის ბოლო ვაგონის ღია პლატფორმიდან გადაგდებით. მოკლედ, სიტყვასიტყვით გაიმეორეს ის, რასაც ჩვენც ვამბობდით. როგორ შეიძლება მკვლელი დარწმუნებული ყოფილიყო, რომ გადაგდებული კაცი მოკვდებოდა? ვაი და არ მომკვდარიყო, მხოლოდ დაშავებულიყო, მერე? არა, არც კი ეპარებათ ეჭვი, რომ უბედური შემთხვევაა. უცნაური, ბრიყული, მაგრამ მაინც შემთხვევა და მეტი არაფერი.

– ყველა დაჰკითხეს, ვინც კი მატარებელში იყო? ნუთუ ერთი კაციც კი არ იყო იქ ისეთი, ვინც ნედლინგერის ცოლს იცნობდა? ღმერთო, მისტერ ნორტონ, ახლა არ მითხრათ, ეს არ გადაუმოწმებიათო. დამიჯერეთ, მატარებელში აუცილებლად იქნებოდა ვინმე ნაცნობი.

– ეგ რა არის, ღია პლატფორმის გამცილებელიც კი დაჰკითხეს. მისი პატარა ძელსკამი ტამბურში, ზედ კარის პირდაპირაა. ის კაცი იფიცება, ნედლინგერის გარდა იქ არავინ იყო, რადგან ვინმეს რომ გაევიღო, მას გზის დათმობა მოუწევდა. ახსოვს, როგორ გამოვიდა ჯექსონი მატარებლის დამძვრიდან ათიოდ წუთის შემდეგ. ახსოვს, როგორ ჩაუარა ყავარჯენებიანმა ინვალიდმა. ახსოვს, როგორ დაბრუნდა ჯექსონი პორტფელით და ისიც, მეორეჯერ რომ ნახა. ჯექსონს მაშინვე არ უთქვამს მგზავრის გაუჩინარების ამბავი. ეგონა, ნედლინგერი ან ტუალეტში, ან კიდევ სადმე წავიდაო და შუალამისას, როცა დასაწოლად მოემზადა, მხოლოდ მაშინდა აჩვენა გამცილებელს პორტფელი, სადაც, მისი ფიქრით, ნედლინგერის ბილეთი უნდა ყოფილიყო. ხუთიოდ წუთის შემდეგ, სანტა-ბარბარაში, გამცილებელმა ლოს-ანჯელესის საპარკო გზების უფროსისგან ტელეგრამა მიიღო და მხოლოდ მაშინ გაუკეთა კონფისკაცია ნედლინგერის ბარგს და მოწმეების გვარსახელები ჩაიწერა. მოკლედ, იქ არავინ იყო. საბრალო პლატფორმიდან გადმოვარდა, მორჩა და გათავდა. ჩვენ წავაგეთ. ეს უბედური შემთხვევაა.

– მისტერ ნორტონ, თუ ასეა, რატომ ეუბნებით ფულზე უარს?

– ერთი წუთით. მე გითხარით, რას ვფიქრობ მე და რას – პოლიცია. მაგრამ არის კიდევ რამდენიმე დეტალი, რაც თვითმკვლელობის სასარგებლოდ მეტყველებს.

– რამდენადაც ვიცი, ამდაგვარი არაფერია.

– პირიქით, ქეიეს, არცთუ ცოტაა. არცთუ ცოტა საიმისოდ, რომ საქმე სასამართლოს გადავცეთ და მერე იმათ გადაწყვიტონ. ხომ შეიძლება, მე ვცდებოდე? პოლიციაც შეიძლება შეცდეს. ამიტომ საქმის მოსმენამდე რაც შეიძლება ბევრი ფაქტი უნდა მოვაგროვოთ. აი, ასეთია ჩემი გეგმა. დაე სასამართლომ დაადგინოს, მაშინ სიხარულით გადავუხდი იმ ქალს ფულს, მაგრამ ისე, ტყუილუბრალოდ ჩუქებას ნამდვილად არ ვაპირებ.

– კი, მართალია, თუ თვითმკვლელობაზე გვექნებოდა ეჭვი.

– ვნახოთ, გამოჩნდება.

– კარგი, ბატონო, ვნახოთ.

\*\*\*

ქეიესს კაბინეტში შევყევი. შუქი აანთო.

– ნახავს ვაჟბატონი! იცი, რამდენი ასეთი საქმე მქონია, ჰაფ? ჰოდა, როცა უამრავი ასეთი საქმე გამოივლის შენს ხელში, თავადაც ვერ აგიხსნია, მაგრამ გრძნობ... გრძნობ, რომ ეს მკვლელობაა. კი ბატონო, დაჰკითხეს გამცილებელი. ვაგონიდან არავინ გამოსულაო, ამბობს. იქნებ ვინმე გარედან ახტა, ვინ იცის? საიდან იციან?

ქეიესი დადუმდა, მერე შემომხედა და შეშლილივით მოჰყვა ფრუტუნსა და ღრენას.

– ხომ გეუბნებოდით! ხომ ვამბობდი, მივაწვეთ ახლავე იმ ქალს-მეთქი. დავაპატიმროთ იმ იდიოტურ მოსმენამდე-მეთქი! ხომ ვამბობდი?!

– რაიმე ვერსია გაქვს? – გული გამალებით მიცემდა.

– არ ყოფილა ნედლინგერი მატარებელში! სულ არ ყოფილა! – ღრიალებდა ქეისი და მაგიდას მუშტებს უბრაზუნებდა, – არ ჩამჯდარა იმ ოხერ მატარებელში! ვიღაცამ მისი ყავარჯნები აიღო და მის მაგივრად ჩაჯდა. რა თქმა უნდა, იმ ნადირალას ჯექსონი თავიდან უნდა მოეშორებინა! ის ხომ არავის არ უნდა დაენახა მას შემდეგ, როცა ის ადგილი გაიარეს, გვამი რომ მიაგდეს. ახლა ყველა ის ფიცის ქვეშ გაკეთებული ამოცნობა ჩვენსავე საწინააღმდეგოდ მოგვიბრუნდება.

– რაო, ამოცნობაო? – ვხვდებოდი, რასაც გულისხმობდა. თავიდანვე ამ ამოცნობის იმედი მქონდა და ამიტომაც ყველაფერი ვიღონე, რომ მატარებელში არავის დავენახე. ყველაფერი გათვლილი მქონდა – ყავარჯნები, სახვევი ფეხზე, სიგარა და... კიდეც ცოტაოდენი წარმოსახვა.

– აი, იმ მოწმეებზე ვამბობ, საქმის მოსმენაზე რომ იყვნენ. ერთი მითხარი, როგორ დაინახავდნენ იმ კაცს ხეირიანად? რამდენ ხანს უყურებდნენ? სულ რამდენიმე წამი, თანაც სიბნელეში, სამი-ოთხი დღის წინ. და აი, ინსპექტორმა გვამს ზეწარი გადახადა და ქვრივმაც განაცხადა: დიახ, ის არისო. რა თქმა უნდა, სხვებმაც თუთიყუშებივით ერთხმად დაუდასტურეს, კი, როგორ არა, ის არისო. ჩვენ კი, იდიოტებმა... ნორტონი რომ მაგრად მისწოლოდა იმ ქალს, ამოცნობასაც და სხვა რამესაც გავაპროტესტებდით! პოლიციაც წამოგვეშველებოდა და გამოსავალიც გამოიძებნებოდა. ახლა კი!.. კიდეც სასამართლოში უნდა სარჩელის გასაჩივრება! მიდი, აბა, სცადე ამოცნობის გაპროტესტება! ვერ მოგართვეს – კანონმდებლები სულს ამოხდიან მოწმეებს, ასე მოულოდნელად რომ შეცვალონ ჩვენებები. აი, სადამდე მივყავართ კონსერვატიზმს და დოყლაპიაობას, ყველაფრის შიშს! მამაჩემიც ასე მოიქცეოდაო... ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, ჰაფ, ბებერ ნორტონს კარგა ხნის გამოგლეჯილი ექნებოდა იმ დედაკაცისგან აღიარება. სასამართლოს გადასცემდა და ახლა ის ძუენა ფოლსომში სამუდამო პატიმრობისათვის იქნებოდა გამზადებული. ჩვენ კი რა დღეში აღმოვჩნდით?! საქმე გადაწყვეტილია, წავაგეთ... ჩვენ საქმე წავაგეთ... აი, კიდეც რა, ჰაფ. ტიპი, ამნაირი საქმე რომ მოამრგვალა, ამას არ დასჯერდება. კომპანიას გაგვიკოტრებს, დაიმახსოვრე. შემდეგ დარტყმას ვერ გავუძლებთ. ღმერთო, ღმერთო! ამხელა მაყუთის, ორმოცდაათი ათასის, დაკარგვას ეხუმრები და თანაც გონებაჩლუნგობის, აბსოლუტური, სრული სიბრიყვის გამო!

თვალთ დამიბნელდა. ქეისმა კი ისევ გააბა. ამჯერად თავისი ვარაუდი გამოთქვა, როგორ და რა გზით უნდა გაესაღებინათ ნედლინგერი. უეჭველია, მკვლელს მანქანა ბერბანკში ელოდებოდა და მატარებლიდანაც სწორედ იქ გადმოხტებოდაო. ის ქალი უკვე იქ უცდიდა. უკან ორი სხვადასხვა მანქანით დაბრუნდებოდნენ. ერთ-ერთში იქნებოდა გვამი, რომელიც რელსებზე მიაგდესო. მისი გათვლით, ქალს ბერბანკამდე მისასვლელად დრო თავისუფლად ეყოფოდა, მერე შინ დაბრუნდებოდა და გზად ნაყინის ყიდვასაც კი მოასწრებდა. აფთიაქში 11-ის 20 წუთზე შეიარაო. ესეც კი შეუმოწმებია. მხოლოდ ერთ რამეში ცდებოდა – მკვლელობის ხერხი ვერ ამოიგნო, მაგრამ იმდენად ახლოს იყო სიმართლესთან, რომ ტუჩები გამიშეშდა, კარგა ხანს ვეღარ მოვახერხე კრინტის დაძვრა. მაგრად მქონდა მოკუმული, რომ არ მეყვირა...

– გასაგებია, ქეის. ახლა რას აპირებთ?



– მოკლედ... ნორტონს იმ ქალის სოროდან გამოტყუება უნდა, უნდა, როგორმე სარჩელი შეატანინოს. ეს ხელს მძლევს. გარდაცვლილის წარსულის ამოქექვას აპირებს, უნდა გაიგოს, რამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე. ესეც მაწყობს. ქვრივს მაგრად უნდა მოვკიდო ხელი. თითოეულ მის ნაბიჯს უნდა ვუთვალთვალო, თითოეულ მოძრაობას. მასზე რაც შეიძლება ბევრი უნდა ვიცოდე. ადრე თუ გვიან, ჰაფ, ის ჯეელი გამოჩნდება. ერთმანეთს შეხვდებიან. აი, მაშინ კი მიყუროს!.. შეიტანოს, ბატონო, სარჩელი და როგორც კი სასამართლოზე მოწმედ გამოვა, დამიჯერე, ჰაფ, ნორტონს ვაიძულებ, ყველაფერი ეს თავფეხიანად მიირთვას. პასუხს ვაგებინებ თითოეულ სიტყვაზე მასაც და პოლიციასაც. არა, ასე იოლად არ დავნებდები!

\*\*\*

ვხვდებოდი, ანკესზე ვყავდი წამოგებული. საკმარისია, ფილისს მოწმეთა ჩვენებების დროს ნერვებმა უმტყუნოს და ყველაფერი წყალში ჩაიყრება. მეორე მხრივ, სასამართლოში რომ არ იჩივლოს, უფრო უარესია. ფულზე უარის თქმა მეტად საეჭვო იქნება. პოლიციაც კი დაცქვეტს ყურებს. მეშინოდა დარეკვის, ალბათ, მისი ტელეფონი ისმინებოდა. იმ დამეს იგივე გავაკეთე, რაც გასულ ორ დამეს – მაგრად გამოთრობა მოვინდომე. მთელი ბოთლი კონიაკი გამოვცალე, მაგრამ ამაოდ. ფეხები მოჩვარული მქონდა, ყურები მიგუგუნებდა, თვლებით კი ძველებურად ვბურღავდი წყვილი და გონება გამალებით მუშაობდა გამოსავლის საძებნელად. რა უნდა მექნა?.. არ ვიცოდი. არც ძილი შემემძლო და არც ჭამა. გამოთრობაც ვერ მოვახერხე...

ფილისმა მეორე დღეს დამირეკა, სადამოს, ნასადილევს, როცა ფილიპინელი წავიდა. ერთხანს ყურმილის აღებაც ვერ გავბედე, თუმცა ვხვდებოდი, რომ უნდა ამელო.

– უოლტერი ხარ?

– ჰო. სად ხარ? შინ?

– აფთიაქში.

– აჰა, კარგია. რა ამბავია?

– ლოლა ისე უცნაურად იქცევა, შინიდან დარეკვა ვერ გავბედე. აქ მოვედი, ბულვარზე.

– რაო, ლოლამ?

– ალბათ, ისტერიკა აქვს. ნერვიული შეტევა. მამის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა.

– იქნებ სხვა ამბავია?

– არა მგონია.

– კარგი, ჩამოყაჭე ყველაფერი, სწრაფად. რა ხდება?

– ბევრი რამ. დარეკვის მეშინოდა. დაკრძალვამდე შინიდან ვერაფრით გამოვედი და...

– დაკრძალვა დღეს იყო?

– ჰო, საქმის მოსმენის შემდეგ.

– კიდევ?

– ხვალ ჩემი ქმრის სეიფი უნდა გახსნან. ადვოკატის თანდასწრებით. ამბობენ, ასეთი წესია, ხომ შეიძლება მემკვიდრეობაზე დავა ატყდესო.

– მართალია. პოლისი იქ არის?

– ჰო. ერთი კვირის წინ შევინახე.

– ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. სად გახსნით სეიფს, შენი ადვოკატის კანტორაში?

– ჰო.

– მაშინ წადი. იქ კიდევ საგადასახადო ინსპექტორი იქნება. პოლისს რომ ნახავენ, ადვოკატს გადასცემ. უთხარი, შენი სახელით სარჩელი შეიტანოს. ეს ახლა ყველაზე მთავარია, დანარჩენზე მერე ილაპარაკებთ.

– სარჩელი შევიტანო?

– ჰო... მოიცა, ფილის, კიდევ ერთი რამეა, ოღონდ ადვოკატს არ უთხრა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ისინი გადახდას არ აპირებენ.

– რაო?!

– არ აპირებენ გადახდას.

– მაგრამ ვალდებული ხომ არიან?!

– ფიქრობენ, რომ თვითმკვლელობა იყო. ელოდებიან, როდის იჩივლებ. სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, კაპიკსაც არ გადაიხდიან. ოღონდ ახლა არაფერი უთხრა ადვოკატს, თავად გაიგებს მერე. შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, უარი არ უთხრა. ცოტაოდენი გადაუხადე, სამაგიეროდ ეს ჩვენი ერთადერთი შანსია. და კიდევ, ფილის...

– ჰო?

– ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით.

– შენი ნახვა რომ მინდა?

– არ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. კი ფიქრობენ, რომ თვითმკვლელობაა, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ. თუ გამოგვიჭირეს, რომ ერთმანეთს ვხვდებით, სიმართლეს გაიგებენ, თანაც ისე სწრაფად, რომ გონს მოსვლას ვერც მოვასწრებთ! შენს თითოეულ ნაბიჯს შეამოწმებენ, თვალთვალს დაგიწყებენ, ყველაფერში ჩაყოფენ ცხვირს, ამიტომაც არ უნდა ვნახოთ ერთმანეთი. აღარც დამირეკო, მხოლოდ რაიმე საგანგაშო შემთხვევაში. ისიც

სახლიდან კი არა, აფთიაქიდან, თანაც არა ერთი და იმავედან და ერთსა და იმავე დროს. გაიგე?

– ღმერთო! შენ რა, გეშინია?

– მეშინია და თანაც ძალიან. იმაზე მეტი იციან, ვიდრე შენ გგონია.

– ე.ი. ცუდად არის ჩვენი საქმე?

– იმედი ვიქონიოთ, რომ არც ისე, მაგრამ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

– მაშინ სასამართლოში რომ აღარ შევიტანო სარჩელი?

– პირიქით, უნდა შეიტანო, თორემ დავიღუპეთ.

– კარგი, გასაგებია.

– შეიტანე, მაგრამ იცოდე, მხოლოდ ადვოკატს ელაპარაკე, თითოეული სიტყვა აწონე. ზედმეტი არაფერი წამოაყრანტალო.

– კარგი... კიდევ გიყვარვარ?

– რა თქმა უნდა, შენც ხომ იცი.

– ჩემზე ხშირად ფიქრობ?

– კი, ხშირად.

– კიდევ რა არის ახალი?

– თითქოს არაფერი. კიდევ გაქვს რამე სათქმელი?

– არა, აღარაფერი.

– მაშინ დავემშვიდობოთ ერთმანეთს, თორემ ვაითუ ვინმემ შემომირბინოს.

– ისე ლაპარაკობ, თითქოს ჩემი თავიდან მოშორება გინდა.

– არა, უბრალოდ, ვფრთხილობ.

– კარგი. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს?

– არ ვიცი, შეიძლება დიდხანს.

– ვკვდები, ისე მინდა შენი ნახვა!

– მეც, მაგრამ უნდა გავფრთხილდეთ.

– კარგი, ნახვამდის.

– ნახვამდის.

ყურმილი დავკიდე. კი, როგორ არა, მიყვარს, კურდღელს რომ უყვარს გველი, ისე. იმ ღამეს გავაკეთე ის, რაც აქამდე არ მიქნია – ვილოცე.

თავი 9

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ ჩემს კაბინეტში ნეტი შემოვარდა და კარი სწრაფად მიხურა.

– ისევ ის მის ნედლინგერია. თქვენი ნახვა უნდა, მისტერ ჰაფ.

– ცოტა ხანს დააყოვნე. უნდა დავრეკო.

ნეტი გავიდა. ისე, უბრალო საქმეზე დავრეკე. დრო მჭირდებოდა თავის ხელში ასაყვანად. შინ დავრეკე და ფილიპინელს ვკითხე, ვინმემ ხომ არ დამირეკა-მეთქი. არაო. მერე კი ნეტის ლოლას შემოშვება ვთხოვე.

ჰო, ძალზე შეცვლილა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე. მაშინ ბავშვი იყო, ახლა ჩემ წინ ქალი იდგა. იქნებ ასე შავი კაბა აჩენდა, მაგრამ სახეზეც ეტყობოდა, რომ ბევრი რამ გადაეტანა. უკანასკნელ ნაძირალად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ხელი მაინც ჩამოვართვი, სკამზე დავსვი და ვკითხე, როგორ არის მისის ნედლინგერი-მეთქი. მიუხედავად ამ სამწუხარო ამბისა, კარგად არისო. პირდაპირ საშინელება მოხდა, თავზარი დამეცა, ეს რომ გავიგე-მეთქი.

– მისტერ საჩეტი როგორ არის?

– მოდი, მისტერ საჩეტიზე ნუ ვილაპარაკებთ.

– მეგონა, მეგობრები იყავით.

– არ მინდა მასზე ლაპარაკი.

– მაპატიეთ...

ლოლა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა.

– მისტერ ჰაფ, თქვენ ერთხელ ძალიან დამეხმარეთ და მე მომეჩვენა, რომ ცუდი თვალით არ მიყურებთ.

– ასეც არის.

– მას შემდეგ ჩემს მეგობრად გთვლით. ამიტომაც მოვედი... თქვენთან ლაპარაკი მინდა... როგორც მეგობართან.

– რა თქმა უნდა, მოხარული ვარ.

– მაგრამ როგორც მეგობართან, მისტერ ჰაფ, და არა როგორც სადაზღვევო აგენტთან. საუბარიც მკაცრად კონფიდენციალური უნდა იყოს, მხოლოდ ჩვენ შორის უნდა დარჩეს, მისტერ ჰაფ, მოვილაპარაკეთ?

– რა თქმა უნდა.

– აჰ, სულ დამავიწყდა, მე ხომ შემოიძლია უოლტერი დაგიძახოთ...

– მე კი – ლოლა.

– უცნაურია, მაგრამ თქვენთან თავს ისე კარგად ვგრძნობ...

– მოდი, მიაშბეთ, რა მოხდა.

– მამაზე მინდა გელაპარაკოთ.

– გისმენთ.

– უფრო სწორად, მის სიკვდილზე. ვგრძნობ, რომ აქ რაღაც ისე ვერ არის, რაღაც იმალება.

– თქვენი სავსებით მესმის, ლოლა. მაინც რა იმალება?

– თავადაც ვერ მივმხვდარვარ, რა. უბრალოდ, ვგრძნობ...

– სასამართლოს ესწრებოდით?

– დიახ.

– იქ რამდენიმე კაცი გაგვესაუბრა, ვარაუდობენ, რომ მამათქვენმა... შესაძლოა თავი მოიკლა. ამას გულისხმობთ?

– არ, უოლტერ, არა.

– მაშ რას?

– არ ვიცი. ვერც კი მითქვამს. ძალიან მეშინია. მაგრამ ეს ფიქრები... ერთთავად თავში მიტრიალებს. ეჭვებმა დამტანჯა, მეჩვენება, რომ ამის უკან რაღაც იმაზე უფრო მნიშვნელოვანი უნდა იმალებოდეს... ვიდრე სხვები ფიქრობენ.

– ვერ გავიგე...

– დედაჩემი... როცა გარდაიცვალა... მასაც იგივე დაემართა...

მე ველოდი. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, ცოტა ხანს დუმდა. მეგონა, გადაიფიქრა რაიმეს თქმა-მეთქი, მაგრამ უეცრად ძალა მოიკრიბა და გააგრძელა:

– უოლტერ, დედაჩემს ფილტვები ჰქონდა დაავადებული. ლეიკ აროუპედში საგანგებოდ ვიყიდეთ მისთვის პატარა კოტეჯი. ერთხელ, შუაგულ ზამთარში, უქმე დღეებზე გაემგზავრა იქ დედა თავის ახლო მეგობარ ქალთან ერთად. გახურებული ზამთრის სპორტული სეზონი იყო, უამრავი ხალხი ირეოდა. მოულოდნელად დედამ მამას

ტელეგრამა გამოუგზავნა, მეგობართან ერთად ერთი კვირით მინდა აქ დარჩენაო. მამასაც ცუდი არაფერი უფიქრია, ტელეგრაფით ცოტაოდენი ფული გაუგზავნა და შეუთვალა, რამდენ ხანსაც გინდა, დარჩი, თუკი ეს შენს ჯანმრთელობას არგებსო. იმავე კვირის ოთხშაბათს დედას ფილტვების ანთება დაემართა, პარასკევს კი ძალიან ცუდად გახდა. მისმა მეგობარმა მუხლამდე თოვლში, ტყეში თორმეტი მილი გაიარა, რომ ექიმი გამოეძახა – ჩვენი სახლი მოტელებისა და სასტუმროებისგან შორს დგას, ტბის მეორე ნაპირზე, ამიტომ მისთვის უნდა შემოველო. ის ქალი სასტუმროში ისეთ მდგომარეობაში მივიდა, რომ საავადმყოფოში დააწვინეს. ექიმი მაშინვე წავიდა დედაჩემთან, მაგრამ ის უკვე სიკვდილის პირას იყო. სულ ნახევარი საათი იცოცხლა...

– მერე...

– იცით, ვინ იყო მისი საუკეთესო მეგობარი?

მივხვდი მაშინვე... და ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

– არა.

– ფილისი...

– მერე რა?

– მითხარით, რა უნდა ეკეთებინა ორ ქალს მივარდნილ სახლში იმ ყინვაში, შუაგულ ზამთარში? რატომ არ გაჩერდნენ სასტუმროში, როგორც სხვა დამსვენებლები? ტელეგრამის გამოგზავნის ნაცვლად, რატომ არ დარეკა დედაჩემმა?

– გინდათ თქვათ, რომ ტელეგრამა დედას არ გამოუგზავნია?

– არ ვიცი, მე არაფერი არ ვიცი. მაგრამ ყველაფერი რაღაც უცნაურად კი ჩანს. რაში დასჭირდა ფილისს ამხელა გზის გავლა? არ შეეძლო სადმე შესულიყო და დაერეკა? რატომ არ წაიღო თხილამურები და ტბის მოკლეზე გადავლა რატომ არ სცადა, სულ ხომ ნახევარი საათი დასჭირდებოდა? თხილამურებით კარგად დადის. რაში დასჭირდა სამი საათი ფეხით სიარული? რატომ არ ჩქარობდა ექიმის მიყვანას?

– მოიცადეთ, ლოლა. რა უთხრა დედათქვენმა ექიმს, როცა მან...

– არაფერი. დედა სიცხით იწვოდა, უგონოდ იყო. ხუთი წუთის მერე კი ექიმმა ჟანგბადის მიწოდება დაუწყო და...

– მოიცა, ლოლა. რაც უნდა იყოს, ექიმი ექიმია და თუკი დედათქვენს მართლაც ფილტვების ანთება ჰქონდა...

– მართალია, ექიმი ექიმია, მაგრამ თქვენ არ იცნობთ ფილისს. მე კი შემძლია რაღაც გაიმბოთ. ჯერ ერთი, ფილისი ექთანია. ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ საუკეთესო მედდად ითვლებოდა. დედაც მაშინ გაიცნო, როცა ერთხელ საავადმყოფოში მოვათავსეთ. მედდაა და სწორედ ფილტვების სნეულებებზეა სპეციალიზებული. მან ხომ ყველა ექიმზე კარგად იცის, რომ როცა კრიზისი დგება, ყოველი წუთი ძვირფასია... და კიდევ, მან ისიც იცოდა, როგორ გამოეწვია ფილტვების ანთება.

– რისი თქმა გინდათ?

– გგონიათ, ფილისი დედაჩემს ვერ გააგებდა მთელი ღამით გარეთ, ყინვაში, სანამ სასიკვდილოდ არ გაიყინებოდა? გგონიათ, ფილისი ამას ვერ იზამს? გგონიათ, მართლაც ისეთი ნაზი, კეთილი კრავია, როგორც ჩანს? მამასაც ასე ეგონა... ეს რა კეთილშობილი და მამაცი ქალია, ამხელა გზა ფეხით გაიარა მეგობრის სიცოცხლის გადასარჩენად... წელიწადიც არ გასულა და მამა ფილისზე დაქორწინდა. მამაჩემისგან განსხვავებით მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ, რადგან ვიცნობ... მაშინვე გამიჩნდა მასზე ეჭვი... როგორც კი დედაჩემის სიკვდილი გავიგე. ახლაც...

– როგორ გგონიათ, მე რა უნდა ვქნა?

– ჯერჯერობით არაფერი, მხოლოდ მომისმინეთ.

– მაგრამ, რასაც თქვენ ამბობთ... ეს არცთუ სახუმარო ბრალდებებია... თქვენ დანაშაულის შესაძლებლობაზე მიანიშნებთ. იმედი მაქვს, ხვდებით, რისი თქმა მინდა...

– დიახ, სწორედ ამის თქმა მინდა. სწორედ ამის.

– რამდენადაც ვიცი, ის მამათქვენთან ერთად არ ყოფილა, როცა უბედურება მოხდა.

– ის არც დედაჩემთან ყოფილა მაშინ. და მაინც – მისი ნახელავია.

– კარგად უნდა დავფიქრდე. დრო მომეცით.

– რა თქმა უნდა.

– დღეს ცოტა აღელვებული ხართ...

– ჯერ ყველაფერი არ მითქვამს.

– კიდევ რა?

– არ შემიძლია. მიჭირს... ამაზე ლაპარაკი. არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. კარგი... ყურადღებას ნუ მომაქცევთ. მაპატიეთ, უოლტერ, რომ ჩემი გასაჭირით შემოგეჭერთ. მაგრამ ისე უბედური ვარ...

– ჩემ გარდა სხვა ვინმეს თუ უამბოვებ?

– არა, არავის, ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს.

– თქვენს ადგილას არც მე ვეტყვოდი. განსაკუთრებით... დედინაცვალს.

– მე ახლა ჩვენს სახლშიც აღარ ვცხოვრობ.

– მართლა?

– პატარა ბინა ვიქირავე ჰოლივუდში. თუმცა პატარა თანხა, მაგრამ ფული მაქვს, დედისგან მემკვიდრეობად მერგო. ფილისთან ცხოვრება აღარ შემიძლია. მიჭირს...

– ააა...

– შეიძლება კიდევ შემოგიაროთ?

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. შეგატყობინებთ, როდის უფრო მოსახერხებელი იქნება მოსვლა. ტელეფონის ნომერი დამიტოვეთ...

შუადღემდე ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ქეიესისთვის ყველაფრის მოყოლა. ვიცოდი, რომ უნდა მეთქვა, ეს მე მჭირდებოდა, ამით ჩემსავე უსაფრთხოებას დავიცავდი. სასამართლოში ასეთი ჩვენებების ფასი კაპიკია. არც მოუსმენენ, რადგან კაცი შეიძლება ერთსა და იმავე დროს ერთი საქმისთვის გაასამართლო და არა იმისთვის, რაც სამი წლის წინ ჩაიდინა, უფრო სწორად, შეეძლო ჩაედინა. თუმც, თუ ქეიესი უეცრად შეიტყობდა, რომ მე ლოლასგან გავიგე წარსული ამბები და არაფერი ვუთხარი, ეს დიდ უსიამოვნებას მიქადდა. და მაინც, თავი ვერაფრით ვაიძულე, მისთვის ყველაფერი მეთქვა. ვერც თავის გასამართლებელი რამ მომეფიქრებინა, გარდა იმისა, რომ გოგოს შევპირდი, სიტყვაც არავისთან დამცდება-მეთქი.

ოთხი საათი იქნებოდა, ჩემთან ქეიესი რომ შემოვიდა.

– იცი, ჰაფ, ის ჯეელი გამოჩნდა!

– ვინ?

– ნედლინგერის მკვლეელი.

– რაო?!

– გამუდმებით ურეკავს იმ ქალს. კვირაში ხუთჯერ მაინც.

– ვინ არის?

– რა მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს ის არის, რასაც ვეძებთ. ახლა ნახე, რა ვუქნა.

\* \* \*

სალამოს კანტორაში დავბრუნდი, დამატებითი სამუშაოს საბაზით. რვა საათამდე დავიცადე, სანამ ჯოი პიტი სართულის ჩამოვლას დაასრულებდა და მერე ქეიესის ოთახში შევედი. საწერი მაგიდის უჯრის გამოწევა ვცადე. ჩაკეტილი იყო. მეტალის გამოსაწევუჯრებიანი კარადაც მოვსინჯე – აქ კარტოთეკა ჰქონდა. ისიც ჩაეკეტა. ჩემი გასაღებების აცმაში ვცადე შესაფერისის პოვნა. არც ერთი არ მიუდგა. ის იყო, ხელის ჩაქნევა დავაპირე, რომ დიქტოფონი შევნიშნე. ვიცოდი, ქეიესი დროდადრო ხმარობდა. შალითა მოვხსენი, დისკი ადგილზე დამხვდა. დაახლოებით სამი მეოთხედი იყო ჩაწერილი. დაბლა ჩავედი – ჯოი პიტი ისევ იქ დაყალიბდა. ისევ დავბრუნდი ქეიესის ოთახში, საყურისები ჩამოვიცივი და დიქტოფონი ჩავრთე. ჯერ რაღაც სისულელეებს ვუსმინე – წერილები კლიენტებთანო, ხანძრის საქმეზე გამომძიებლის ინსტრუქციებიო, კლერკის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გაფრთხილებაო. მერე კი უეცრად:



«სამსახურებრივი ბარათი.

მისტერ ნორტონს უოლტერ ჰაფის საქმეზე.

საიდუმლოდ – ნედლინგერის დოსიე.

თქვენი წინადადების თაობაზე, რომ აგენტ ჰაფზე მეთვალყურეობა დაგვეწესებინა ნედლინგერის საქმესთან დაკავშირებით, უნდა განგიცხადოთ, რომ კატეგორიულად არ გეთანხმებით. ბუნებრივია, სხვა მსგავს შემთხვევებში აგენტი ავტომატურად დგება ექვექვეშ. მე თადარიგი დავიჭირე და ჰაფის შესამოწმებლად ზომები მივიღე. მისი ნაამბობი სავსებით ემთხვევა ფაქტებს, ასევე იმ დოკუმენტებს, რომლებიც ხელთ გვაქვს და რომლებიც განსვენებულთან აღმოჩნდა. მე, რა თქმა უნდა, ჰაფის გაუფრთხილებლად, ისიც კი შევამოწმე, სად იმყოფებოდა დანაშაულის დამეს. გაირკვა, რომ მთელი საღამო და ღამითაც შინ ყოფილა. ჩემი აზრით, ეს ალიბია. მისი გამოცდილების მქონე კაცს უთუოდ დაადარაჯებს და შეურაცხყოფს თვალთვალი და ასეთ შემთხვევაში ჩვენ შესაძლოა ამ ძალზე რთული საქმის გამოძიებისას სასარგებლო თანამშრომელი დავკარგოთ. გარდა ამისა, თავს ნებას მივცემ და შევნიშნავ, რომ ამ აგენტის სამსახურებრივი ნუსხა უნაკლოა და არ იძლევა რაიმე თაღლითობაში მასზე ეჭვის მიტანის საბაზს. დაჟინებით გირჩევთ, უარი თქვათ ამ გადაწყვეტილებაზე.

პატივისცემით...».

დიქტოფონი გამოვრთე, მერე კი ისევ ჩავრთე. ხასიათი უცებ გამომიკეთდა. გულს მომეშვა, ის კი არა და, გავმხიარულდი კიდევ.

ისევ დაიწყო რაღაც სისულელეები, მერე კი:

«საიდუმლოდ – ნედლინგერის დოსიე».

რეზიუმე – მეთვალყურეთა ამ კვირის ზეპირი მოხსენებები. მიმდინარე წლის 17 ივნისი.

ლოლა ნედლინგერი სახლიდან 8 ივნისს წავიდა, ლაის-არმში, იუკის ქუჩაზე დაბინავდა ოროთახიან ბინაში. ვფიქრობ, თვალთვალი შეიძლება შევწყვიტოთ.

ქვრივი 8 ივნისამდე არ გამოსულა შინიდან, მერე ავტომობილით გავიდა, აფთიაქთან შეჩერდა. იქიდან დარეკა, ბოლო ორი დღის განმავლობაში კი გამოდიოდა, მანქანას გააჩერებდა და სუპერმარკეტებსა და მზა ტანსაცმლის მაღაზიებში შედიოდა.

11 ივნისის საღამოს სახლში ვიღაც უცნობი მამაკაცი შევიდა. იქ 8. 35-დან 11. 48-მდე დაჰყო. აღწერილობა: მაღალი, შავთმიანი, ასაკი – 26-27. ვიზიტები განმეორდა: 12, 13, 14 და 16 ივნისს. პირველივე საღამოდან თვალთვალი დავუწესეთ.

დადგენილია ვინაობა – ბენჯამინო საჩეტი, ლილაკ-კორტი, ნორტ ლა ბრის ქუჩა».

\*\*\*

არ მინდოდა, ლოლა ჩემს კანტორაში მოსულიყო. მაგრამ რაკი გავიგე, რომ ეჭვიმტანილთა სიიდან ამორიცხეს და მასა და საჩეტის შორისაც კავშირი არ დადგინდა, გადავწყვიტე, სადმე მიმეწვია. დავურეკე და ვკითხე, ერთად ხომ არ გვესადილა-მეთქი. გახარებულმა მიპასუხა, ამაზე ვერც ვიოცნებებდიო. სანტა-მონიკაში წავიყვანე, რესტორან «მირამარში», სასიამოვნოა, როცა ჭამ და თან ოკეანეს გაჰყურებ-მეთქი. სინამდვილეში კი სულ სხვა მიზეზი მქონდა – არ მინდოდა, ქალაქში ერთად დავენახეთ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება ნაცნობს გადავყროდით.

სადილობისას ვლაცობდით. მთელი ისტორია მოვისმინე: პირველად – როგორ დადიოდა სკოლაში, მერე – რატომ არ შევიდა კოლეჯში და ა.შ. საუბარი არეული და ოდნავ ნერვიული გამოგვივიდა, ეს არც იყო გასაკვირი – ორივემ ბევრი გადავიტანეთ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, ერთმანეთისთვის კარგად გაგვეგო. მართალი იყო, რომ თქვა – ერთად კარგად ვიყავითო. ჩვენი უკანასკნელი საუბარი ერთხელაც არ მიხსენებია და მხოლოდ მაშინ, როცა მანქანაში ჩავსხედით ოკეანის სანაპიროზე გასასეირნებლად, ვუთხარი:

– დიდხანს ვიფიქრე თქვენს ნაამბობზე.

– შეიძლება კიდევ გითხრათ რაღაც?

– მიდი.

– მეც ვიფიქრე. ყველაფერი გავაანალიზე და გადავწყვიტე, რომ მართალი არ ვიყავი. იცით, ასე ხდება ხოლმე, როცა ადამიანი გიყვარს და მერე კი უცებ კარგავ მას. ვიღაც მესამის დადანაშაულება გინდება. განსაკუთრებით იმისა, ვინც თვალში არ მოგდის. მე არ მიყვარს ფილისი. ალბათ, ეს უფრო ეჭვიანობაა. ძალიან მიყვარდა დედა... მამაც, მაგრამ სულ ოდნავ ნაკლებად. მერე კი უეცრად ჯვარი დაიწერა ფილისზე. არ ვიცი, მომეჩვენა, რომ ეს არაბუნებრივი იყო, ეს არ უნდა მომხდარიყო. მერე კი... ფილისი რომ ცოლად მოიყვანა, ის ფიქრები, ეჭვები, დედის სიკვდილზე რომ გამიჩნდა, უფრო გამიმყარდა. აი, თურმე, რატომ მოკლა დედა-მეთქი. მამა რომ დაიღუპა, უფრო დავრწმუნდი. მაგრამ რა ფაქტები მაქვს? არავითარი. ამასთან შეგუება მწელია, მაგრამ მომიწევს. მოკლედ, თავი დავანებე ამაზე ფიქრს და მინდა აღარც თქვენ გაიხსენოთ, რაც მაშინ გითხარით.

– ძალიან კარგი, მიხარია კიდევ.

– ახლა ალბათ ჩემზე ძალიან ცუდი აზრის ხართ.

– სულაც არა. მე ყველაფერზე ვიფიქრე, გულმოდგინედ. გულმოდგინედ კიდევ იმიტომაც, რომ ჩვენი კომპანიისთვისაც მნიშვნელოვანია ეს. ამ საქმეში ხელჩასაჭიდი არაფერია, მხოლოდ ეჭვები გაქვთ. ბუნებრივია, თქვენ რომ ფიქრების ვინმესთვის გაზიარება მოგინდათ.

– მე ყველაფერი გაიამბეთ, მაგრამ ახლა მეჩვენება, რომ ვცდებოდი.

– ალბათ. მაგრამ დაიმახსოვრეთ, ლოლა, თუკი პოლიციასთან მოგიწევთ საუბარი, იმას, რასაც იტყვით, უკვე კერძო ხასიათი აღარ ექნება. დედათქვენის სიკვდილზე, მერე მამათქვენის დაღუპვაზე რაც მათ იციან, თქვენ ველარაფერს დაამატებთ. ამიტომ ღირს კი მათთან საერთოდ ლაპარაკი? – ჰო, გასაგებია.

– თქვენს ადგილას არავითარ განცხადებას არ გავაკეთებდი.

– გგონიათ, არაფერი მაქვს მათთვის სათქმელი?

– დარწმუნებული ვარ...

ამით დავასრულებთ. მაგრამ ახლა საჩეტის ამბავი უნდა გამერკვია, ოღონდ ისე, ლოლა არ მიმხვდარიყო, რისთვის და რატომ.

– უმჯობესია, მითხრათ, რა მოხდა თქვენსა და საჩეტის შორის.

– ხომ გითხარით: მასზე ლაპარაკი არ მსურს!

– როგორ გაიცანით?

– ფილისმა გამაცნო.

– ფილისმა?..

– ჰო, ნინოს მამა ექიმი იყო. მგონი, გითხარით უკვე, რომ ფილისი მედდად მუშაობდა. ჰოდა, ისიც მოდიოდა ფილისთან მამამისის თხოვნით, ცდილობდა, რაღაც ასოციაციაში შესვლაზე დაეყოლიებინა, მაგრამ მერე... მერე ნინოს მე მოვეწონე და ჩვენთან სიარული შეწყვიტა. ფილისმა რომ გაიგო, ნინოს ვხვდებოდი, მამას საშინელებები უთხრა საჩეტიზე და მასთან შეხვედრა ამიკრძალეს. მე არ დაუუჯერე და მაინც ვხვდებოდი ერთმანეთს. თან ვგრძნობდი, რომ ამის უკან რაღაც იმალებოდა, მაგრამ რა, არ ვიცოდი, სანამ...

– მერე, სანამ – რა?

– არ ღირს ამაზე ლაპარაკი. ხომ ვაღიარე, ვცდებოდი-მეთქი...

– სანამ – რა?

– სანამ მამა არ დაიღუპა. უცებ საჩეტი გაგულგრილდა. ის...

– რა?

– ის ფილისს ხვდება.

– მერე?

– ნუთუ ვერ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ? აუცილებელია ამაზე ლაპარაკი?.. ვიფიქრე, რომ მე ნინო ისე, თვალის ასახვევად მხვდებოდა. არა, არ ვიცი, რისთვის, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა... იქნებ იმისთვის, ფილისთან შესახვედრი საბაზი რომ ჰქონოდა და ეჭვი არავის აეღო...

– მეგონა, იმ ღამეს... საჩეტი შენთან იყო.

– უნდა ყოფილიყო. უნივერსიტეტში ცეკვები იყო და მეც წავედი. იქ დავთქვით შეხვედრა, მაგრამ ნინო უეცრად ავად გახდა. ბარათი გამომიგზავნა, მოსვლას ვერ შევძლებო. ავდექი, ავტობუსში ჩავჯექი და კინოში წავედი. არავისთვის არაფერი მითქვამს.

– როგორ გავიგოთ – ავად გახდა?

– ვიცი, მართლაც გაციებული იყო. ძალიან გაციებული. მაგრამ... თუ შეიძლება, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ყველაფრის დავიწყება მინდა. არ მინდა, არ მსურს გახსენება! თუნდაც ეს სიმართლე იყოს! ფილისთან შეხვედრა თუ უნდა, ეს მისი საქმეა. ჩემთვის სულერთია. თქვენ არ გეტყოდით, სულერთი რომ არ იყოს. ეს... მისი საქმეა. მასზე ეჭვის მიტანა მხოლოდ იმიტომ, რომ ფილისთან არის, უსაფუძვლოა. ეს უზნეობაა...

– მართლაც არ ღირს ამაზე ლაპარაკი...

იმ ღამეს ისევ არ მომკარებია თვალზე რული და სიბნელეს მივშტერებოდი. მაშ ასე, მე კაცი მოვკალი ფულისთვის და ქალის გამო. ფული არ მერგო, ასევე, ქალიც. ქალი მკვლელი გამოდგა. არა მარტო პირწავარდნილი მკვლელი, ვერაგულად მომატყუა კიდეც. იარაღად გამომიყენა, სხვა მამაკაცი რომ ჩაეგდო ხელთ და ჩემს საწინააღმდეგოდ ახლა იმდენი სამხილი აქვს, რომ შეუძლია პირველივე ტოტზე ჩამომკიდოს, თანაც ისე მაღლა, სადაც ჩიტიც ვერ დაფრინავს. თუ იმ კაცმაც ყველაფერი იცის, მაშინ ორივე ერთად ჩამომკიდებს. გამეცინა კიდეც იმ სიბნელეში ხრინწიანი, ისტერიკული სიცილით. მერე კი ლოლა გამახსენდა, როგორი ნაზია და რა საშინლად მოვექეცი. ჩვენს ასაკში სხვაობის გამოთვლა დავიწყე. ის 19 წლისაა, მე – 34-ის. განსხვავება 15 წელია. მერე ვიფიქრე, თუკი 19-ისაა, მაშინ დაახლოებით 14 წლის სხვაობა გამოდის-მეთქი. უცებ წამოვჯექი და შუქი ავანთე. მივხვდი, ეს რასაც ნიშნავდა.

ლოლა შემიყვარდა.

## თავი 10

ფილისმა კომპანიას სარჩელი წარუდგინა, ქეიესმა კი უარყო იმ საბაბით, რომ უბედური შემთხვევა არ დადასტურდა. მაშინ ფილისმა თავისი ქმრის ადვოკატის ხელით შეიტანა სასამართლოში სარჩელი. ხუთჯერ მაინც დამირეკა, ყველა ჯერზე – აფთიაქიდან, და მეც რჩევას ვაძლევდი. მისი ხმის გაგონებაზე უკვე გული მერეოდა, მაგრამ გარისკვა არ შეიძლებოდა. ვურჩიე, იმისთვის ყოფილიყო მზად, რომ მხოლოდ თვითმკვლელობის დამტკიცებას არ შეეცდებოდნენ. ამაზე ბევრი არ მილაპარაკია, არაფერი მითქვამს, რას ფიქრობდნენ და აკეთებდნენ ჩვენს კომპანიაში, მაგრამ გაკვრით მივანიშნე: მკვლელობაზე უთუოდ ილაპარაკებენ და საიმდროოდ მოემზადე, როცა სასამართლოს წინაშე წარდგები-მეთქი. არ მინდოდა, ზედმეტად გამეხელებინა. მას კი თითქოს აღარც ახსოვდა, ვისი ნახელავი იყო ყველაფერი და გულწრფელად ბრაზობდა, კომპანიამ რომ ბინძური თამაში წამოიწყო და არ სურს მისთვის კუთვნილი ფულის ახლავე, დაუყოვნებლივ გადახდა. ეს ხელს მაძლევდა. ასეთ დროს, როცა საქმე ფულზე მიდგება ხოლმე, კარგად ჩანს ადამიანის ბუნება, განსაკუთრებით კი ქალისა, ჰოდა, მინდოდა, სწორედ ასეთი წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე – თავის სიმართლეში გულწრფელად დარწმუნებული... და თუკი თავშეკავება არ უმტყუნებს და თავისას არ გადათქვამს, ქეიესმა რაც უნდა გამოჩხრიკოს, ფილისი საქმეს მოიგებს. არ შეიძლება, არ მოიგოს. ეს არც მეეჭვებოდა.

\* \* \*

გავიდა ერთი თვე და საქმის მოსმენა სექტემბრის დასაწყისისთვის დაინიშნა. ამ ხნის განმავლობაში, კვირაში სამ-ოთხჯერ, ლოლას ვხვდებოდი. შინ ვურეკავდი და სასადილოდ მივდიოდით, მერე კი მანქანით ვსეირნობდით. მას პატარა მანქანა ჰყავდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ჩემით დავდიოდით. სულ ამერია თავგზა. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთთავად იმაზე ვფიქრობდი, რა საშინლად მოვექეცი და რა მოხდება, რომ გაიგოს-მეთქი. მაგრამ, ეტყობა, საქმე მხოლოდ ეს არ იყო. მისმა მომხიბვლელობამ და მშვენიერებამ, იმან, რომ ერთად ასე კარგად ვიყავით, საბოლოოდ დამატყვევა. ბედნიერი ვიყავი მასთან. ისიც. დარწმუნებული ვარ. ასეთი რამეები კარგად მესმის. და აი, ეს ამბავი მოხდა...

სანაპიროზე, სანტა-მონიკადან სამიოდ მილზე, მანქანაში ვისხედით და შევეყურებდით, როგორ ამოდიოდა მთვარე ოკეანის თავზე. ისე, ცოტა სულელური და რომანტიკულია, იჯდე და უყურებდე, როგორ ამოდის მთვარე წყნარი ოკეანის თავზე. მაგრამ ჩვენ მაინც ვისხედით. იმ ადგილას სანაპირო ზუსტად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ არის გადაჭიმული და როცა მარცხენა მხრიდან მთვარე ამოდის, უნდა გითხრათ, რომ ულამაზესი სანახაობაა. მოკლედ, როგორც კი ჰორიზონტიდან ამოიწვერა, ლოლამ ხელი ჩამკიდა. მეც ნაზად მოვუჭირე მის თითებს, მაგრამ უეცრად ხელი გამომგლიჯა:

- არა, ასე არ უნდა ვიქცეოდე.
- რატომ?
- ბევრი რამის გამო. ჯერ ერთი, შენთან არ ვიქნები მართალი.
- პირადად მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.
- ხომ მოგწონვარ, ასეა?
- მომწონხარ კი არა, ვგიჟდები შენზე.
- უოლტერ... არ ვიცი, უშენოდ რა მეშველებოდა, ოღონდ...
- ოღონდ რა?
- მართლა გინდა იცოდე? არ გამიბრაზდები?
- სჯობია, ვიცოდე, ვიდრე ვიმკითხაო.
- იცი, ნინო...
- რა ნინო?..
- მგონი, ისევ მიყვარს...
- ნახე?

– არა.

– მაშინ გაგივლის. მოდი, შენი ექიმი ვიქნები. გიმკურნალებ და ეგ ავადმყოფობაც გაგივლის, აი, ნახავ. ოღონდ ცოტაოდენი დრო მომეცი და გპირდები, ყველაფერი რიგზე იქნება.

– ძალიან კარგი ექიმი ხარ, ოღონდ...

– ისევ ოღონდ?

– მე ვნახე ნინო.

– ააა...

– არა, არა, არც კი მილაპარაკია მასთან, არ გატყუებ... არც იცის, რომ დავინახე. ოღონდ...

– რას გადაეკიდე ამ «ოღონდს»?

– უოლტერ...

ლოლა ძალიან ღელავდა და თან ცდილობდა, მე არ შემენიშნა.

– ეს მას არ უქნია.

– არა?

– ვიცი, ახლა გამიბრაზდები, უოლტერ, მაგრამ რას ვიზამ! შენ უფლება გაქვს, სიმართლე იცოდე. გასულ ღამეს ვუთვალთვალე. ადრეც მითვალთვალა, ბევრჯერ. ეტყობა, სულ შევიშალე. მაგრამ გასულ ღამეს პირველად მოვახერხე და მოვისმინე, რაზე ლაპარაკობდნენ. ლუკაუთში წავიდნენ, მანქანა გააჩერეს. მეც შორიახლოს გავჩერდი და ფეხდაფეხ მივყევი. პირდაპირ საშინელება იყო! ნინომ უთხრა, პირველი დანახვისთანავე შემიყვარდი, მაგრამ ვიცოდი, რომ უიმედოდო... სანამ ეს არ მოხდაო. ფულზე ლაპარაკობდნენ... იცი, ნინომ შენი მიცემული ფული სულ გაფლანგა და არც დიპლომი აუღია. მხოლოდ დისერტაციაში გადაიხადა, დანარჩენი კი ფილისს დაახარჯა. ჰოდა, იმაზე მსჯელობდნენ, კიდევ სად ეშოვათ ფული. მისმენ, უოლტერ?

– ჰო.

– ეს რომ ერთად გაეკეთებინათ, ფილისს ხომ უნდა მიეცა ნინოსთვის ფული, ასეა არა?

– ჰო, ალბათ.

– მაგრამ ამაზე სიტყვაც არ უთქვამთ. აი, იმაზე, ფილისი რომ ფულის გაყოფას აპირებს. გული კინალამ გამისკდა, რომ გავაცნობიერე, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. ისინი კი ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ... ალბათ, მთელ საათს. რაზე აღარ ილაპარაკეს. მაგრამ რაც ითქვა, მივხვდი, რომ ნინო არაფერ შუაშია, მან არაფერი იცის. გეფიცები, უოლტერ, გესმის? ნინო არაფერ შუაშია!..

ლოლას მღელვარებისგან ხმა უკანკალებდა, ჩემს ხელს ჩააფრინდა და თითები ფოლადის მარწუხივით მომიჭირა. უკვე აღარ ვუსმენდი. მივხვდი – ამის უკან რაღაც სხვა იმალებოდა, სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ნინოს უდანაშაულობა იყო.

– ვერ გამიგია, ლოლა, ხომ გადაწყვიტე, ამაზე აღარ ვიფიქრებო... აი, იმაზე, ვინ რაშია დამნაშავე...

– არა, ამაზე არასოდეს მითქვამს უარი. არასოდეს... კი, ერთხანს ვეცადე თავიდან მომემორებინა ეს აზრი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ამ საქმეში ნინო ურევია-მეთქი. ამას ნამდვილად ვერ გადავიტანდი... გულის სიღრმეში არც მჯეროდა, რომ ამის გაკეთება შეეძლო... ამიტომ უნდა დავრწმუნებულყავი, ზუსტად უნდა მცოდნოდა! ახლა კი... არა, არა, უოლტერ, ამ აზრზე უარი არასოდეს მითქვამს. ფილისმა მოკლა მამაჩემი, მაგრამ როგორ, არ ვიცი. ამას წყალი არ გაუვა და მე მას დავსჯი. დიახ, დავსჯი, რაღაც უნდა დამიჯდეს!

– როგორ?

– მან თქვენს კომპანიას უჩივლა, არა? თავხედობა ეყო და უჩივლა. უთხარი იმათ, თქვენს კომპანიაში, დარდი ნურაფრისა ექნებათ. სასამართლოზე შენ გვერდით ვიქნები, უოლტერ. მე გიკარნახებთ, რა უნდა ჰკითხოთ ფილისს. მე ვუამბობ იმათ...

– მოიცა, ლოლა, მოიცა...

– ყველაფერს მოვყვები, რისი გაგებაც უნდათ. მე კი გაცილებით მეტი ვიცი, გაცილებით მეტი იმაზე, რაც გიამბე, უოლტერ. მკითხონ, რა ვნახე, როცა ერთხელ მასთან საძინებელში შევედი – რაღაც ბრიყვული აბრეშუმის წითელი მოსასხამი ეცვა, სავანას რომ ჰგავდა. სახე ერთიანად შეეფეთქა თეთრი პუდრით, წითელი პომადა წაეთხიპნა, ხელში ხანჯალი ჰქონდა და სარკის წინ ამაზრზენად იმანჭებოდა... დიახ, ყველაფერს ვიტყვი, ოღონდ კი მკითხონ! კიდევ ისიც მკითხონ, მამაჩემის გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე რატომ წავიდა ბულვარზე მაღაზიაში და შავი პალტო რისთვის იყიდა. არც კი ექვობს, რომ ეს ვიცი. მაღაზიაში მისი წასვლიდან ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ შევედი. გამყიდველი სწორედ კაბებს ალაგებდა. მითხრა, გადასარევი კაბებია, მაგრამ არ ვიცი, მისის ნედლინგერს სამგლოვიარო სამოსი რაში სჭირდებაო. სხვათა შორის, სწორედ მაშინ მოვინდომე, რომ მამა პალო-ალტოში წასულიყო. მინდოდა, გამეგო, რა ჩაიფიქრა ფილისმა, სანამ მამა შინ არ იქნებოდა. მე ვიტყვი...

– დაიცა, ლოლა. ეს არ უნდა ქნა. სულერთია, სასამართლოში ამისთანა რამეებს მაინც არ შეეკითხებიან და...

– ისინი არ ჰკითხავენ და მე ვკითხავ! წამოვდგები და ყველაფერს პირში მივახლი. მაშინ ხომ მომისმენენ? ვერც მოსამართლე, ვერც პოლიციელები, ვერავინ, ვერავინ გამაჩერებს! მე გამოვგლეჯ მას აღიარებას, წამოვალ და ამოვგლეჯ პირიდან! ვაიძულე, ილაპარაკოს... და ვერავინ შემაჩერებს!

არ ვიცი, პირველად როდის მომივიდა, ფიქრად ფილისის მოკვლა. იქნებ იმ საშინელ ღამესვე სადღაც, ქვეცნობიერის სიღრმეში გადავწყვიტე, რომ უნდა მომეკლა, რადგან სამყარო ძალზე ევიწროება ორ კაცს, რომლებმაც ერთმანეთზე ძალზე ბევრი რამ იციან. აი, ის კი ზუსტად მახსოვს, საბოლოოდ როდის, სად და როგორ გადავწყვიტე მისი მოკვლა – იმ ღამის შემდეგ, როცა მე და ლოლა ოკეანის თავზე მთვარის ამოსვლით ვტკბებოდით. თავზარს მცემდა იმაზე ფიქრი, რომ ლოლა სასამართლოზე მოწმედ გამოვიდოდა და მაშინ ფილისიც ყველაფერს დაფქვავდა, სიმართლეს იტყოდა. ალბათ, ვერც ავხსნი ხეირიანად, რა გრძნობა მქონდა ლოლას მიმართ. ერთი რამ ნათელია, ეს სხვანაირი გრძნობა იყო, არა ისეთი, ფილისთან რომ მაკავშირებდა. საკმარისი იყო, ფილისი დამენახა, რომ რაღაც ავადმყოფური, უცნაური ალგზნება მეუფლებოდა. ლოლასთან ყოფნისას კი ჩემს სულში სიმშვიდე ისადგურებდა, შეგვეძლო, ერთი საათი გვევლო მანქანით და ერთი სიტყვაც არ გვეთქვა, მერე კი ლოლა მზერას მტყორცნიდა და კვლავ აღარაფრის თქმა აღარ იყო საჭირო. თავი მეზიზღებოდა, ასეთი რამ რომ ჩავიდინე. ხშირად მიფიქრია: დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, ლოლა ვერასოდეს ვერაფერს გაიგებდა, ცოლად შევირთავდი, ამ კომმარს დავივიწყებდი და ბედნიერი ვიქნებოდი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. დარწმუნებული კი მხოლოდ ერთ შემთხვევაში თუ ვიქნებოდი – მაშინ, როცა იმ ადამიანს მოვიცილებდი, ვინც ეს ამბავი იცოდა. საჩეტოზე ლოლას ნამბობის მიხედვით თუ ვიმსჯელებდი, ერთადერთი მოწმე მყავდა – ფილისი. ის კი, რასაც ლოლა აპირებდა, სწრაფად მოქმედებას მკარნახობდა, დაუყოვნებლივ, სანამ სასამართლო დაიწყებოდა.

მაგრამ არც საჩეტის მივცემდი იმის საშუალებას, რომ ლოლა წაერთმია. ისე უნდა მომეწყო, რომ მასზე მიეტანათ ეჭვი. პოლიციის გაცურებაა ძნელი, თორემ ლოლა ვედარასოდეს ირწმუნებდა ნინოს უდანაშაულობას.

\*\*\*

მეორე დღეს, კანტორაში უამრავი საქმე რომ მოვითავე, თანაშემწე რაღაც დავალებაზე გავგზავნე, მერე საჩეტის საქალაღდე ავიღე. აქ მისი მანქანის გასაღებს ვინახავდი, ხელწერილსა და სხვა დოკუმენტებთან ერთად. ასეთი წესი გვქონდა – სესხის გაცემისთანავე ყველა მოვალეს მანქანის გასაღები უნდა ჩაებარებინა. რა თქმა უნდა, არც საჩეტი ყოფილა გამონაკლისი. კონვერტიდან გასაღები ამოვიღე, შუადღისას სახელოსნოში წავედი და მისი ასლი გავაკეთე. რომ დავბრუნდი, თანაშემწეს ახალი დავალება მივეცი და თავიდან მოვიშორე, მერე გასაღების ორიგინალი კონვერტში დავაბრუნე, საქალაღდე კი კარადაში შევინახე. ასე რომ, ახლა მე მისი მანქანის გასაღები მქონდა და ვერც ვერავინ მიხვდებოდა, რომ საქალაღდიდან მე ამოვიღე.

ახლა ფილისი მჭირდებოდა, მაგრამ მასთან შინ დარეკვის მეშინოდა. სხვა გზა არ იყო, მისი ზარისთვის უნდა დამეცადა. ზედიზედ სამ საღამოს შინ ვიყურყუტე და როგორც იქნა, მეოთხე დღეს ტელეფონი აწკრიალდა.

– ფილის, უნდა შევხვდეთ.

– კარგა ხანია, დროა.



– ხომ იცი, რატომაც არ შეგვეძლო? ახლა კი უნდა შევხვდეთ და რაღაც-რაღაცები ავწონ-დავწონოთ. ალბათ, მერე აღარაფრის აღარ უნდა გვეშინოდეს.

– მერედა ჩვენი შეხვედრა შეიძლება? აკი ამბობდი...

– ჰო, ვამბობდი. ისინი გითვალთვალებენ, მაგრამ დღეს ერთი რამ გავიგე, ძალზე მნიშვნელოვანი – ერთის გარდა ყველა მამებარი მოხსნეს პოსტიდან და ისიც თერთმეტ საათზე წავა.

– მერე?

– ისინი ხომ სამნი იყვნენ, რიგრიგობით მორიგეობდნენ. ახლა კი, რადგან საექვო ვერაფერი მოიხელთეს, პოლიციამ გადაწყვიტა ხარჯები შეამციროს და ერთი მამებარი დატოვოს. მოდის დღისით და მიდის ღამის 11 საათზე, თუ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულს ვერაფერს შენიშნავს. როგორც კი წავა, შეგვიძლია ერთმანეთს შევხვდეთ.

– კარგი, მაშინ სახლთან მოდი.

– არა, მანდ სახიფათოა. მოდი, ასე ვქნათ: ხვალ დაახლოებით 12 საათისთვის, ეცადე, შეუმჩნევლად გამოხვიდე სახლიდან. მანქანაში ჩაჯექი. თუ მანამდე ვინმემ შემოგარა, ეცადე, თერთმეტამდე მოიშორო თავიდან. მერე შუქი ყველგან ჩააქრე – რომ ეგონოთ, დაიძინაო. მამებარც გულმშვიდად წავა და არც არაფერს იეჭვებს...

ამას იმ შემთხვევისთვის ვეუბნებოდი, თუ საჩეტი ესტუმრებოდა იმ საღამოს. ფილისს ჩვენს შეხვედრამდე როგორმე უნდა მიებრძანებინა ვაჟბატონი სახლიდან. დანარჩენი ჩემს სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული. ფილისი ისე უნდა გამომეტყუებინა, რომ ეჭვი არაფერზე აეღო. გგონიათ, მართლა ვიცოდი, რამდენი კუდი ჰყავდა მიჩენილი – ერთი, ორი, სამი თუ ექვსი? არ ვიცოდი და არც მაინტერესებდა. უკეთესიც იყო, თუ ვინმე უკან დასდევდა. აბა, სცადონ მერე ჩემი მოხელთება, როცა ფილისს გავასაღებ... აი, მაშინ კი მოუწევს მისტერ საჩეტის ყველაფრის ახსნა.

– შუქი 11 საათზე ჩააქრე.

– ჰო, შუქს ჩავაქრობ, კატას ქუჩაში გამოვაგდებ და სახლს ჩავკეტავ.

– ჰო, სწორია. სად დაგელოდო?

– გრიფიტ-პარკში. ლოს-ფელიზიდან, რივერ-საიდისკენ, 200 იარდზეა. მანქანაში დაგელოდები. გავიაროთ და ვილაპარაკოთ. ოღონდ მანქანა ქუჩაში არ დააყენო. უმჯობესია, ხეებს მოაფარო, თან ისე გააჩერე, რომ დაგინახო და გადმოდი. იქ, ხიდთან, პატარა მდელოა.

– ორ ქუჩას შორის რომ არის, იმაზე მეუბნები ხომ?

– ჰო... მოდი, ზუსტად პირველის ნახევარზე იყოს. დიდხანს ლოდინი არ მოგვიწევს.

– ე.ი. პირველის ნახევარზე, რივერ-საიდის ზემოთ, 200 იარდზე? კარგი და გარაჟის ჩაკეტვა არ დაგავიწყდეს, თორემ ვინმე გამვლელი შეამჩნევს, რომ მანქანა არ დგას.

– კარგი, უთუოდ მოვალ, უოლტერ.

– აი, კიდევ რა: ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს, მე ახალი მანქანა ვიყიდე, – და ფილისს მანქანის მარკა დავუსახელე, – პატარა, მუქი ლურჯი პიკაპია. როგორც კი დაინახავ, მაშინვე იცნობ.

– ლურჯი პიკაპი?

– ჰო.

– სასაცილოა.

ვიცოდი, რატომაც მოეჩვენა სასაცილოდ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხომ საჩეტისთან ერთად თავადაც ლურჯი პიკაპით დაბრძანდებოდა, დიახ, სწორედ ამით, ოღონდ ამას ახლა რას წარმოიდგენდა.

– ჰო, შენთვის სასაცილოა ამნაირი კონსერვის ქილით სიარული... დიდ მანქანას დიდი ხარჯიც აქვს. ეს კი ხელსაყრელ ფასად შემომთავაზეს და მეც ვიყიდე.

– ამაზე სასაცილო სიცოცხლეში არაფერი მსმენია.

– მაინც რა არის ამისთანა სასაცილო?

– კარგი, კარგი, ე.ი. ხვალ პირველის ნახევარზე.

– შევთანხმდით.

– ისე, მეც რაღაცის თქმა მინდოდა შენთვის, მაგრამ... ხვალამდე მოვიცადოთ.

– ნახვამდის.

– ნახვამდის.

\* \* \*

ყურმილი დავდე, გაზეთები ავიღე და გასართობი პროგრამის შესწავლა დავიწყე. ქალაქის ცენტრში თეატრი იყო, სადაც ღამის შოუს უჩვენებდნენ, ერთსა და იმავე წარმოდგენას მთელი კვირის განმავლობაში. სწორედ ეს მჭირდებოდა.

თეატრში თორმეტის ნახევარზე მივედი და ზედა იარუსზე დავიკავე ადგილი, იქიდან ვერავინ დამინახავდა. ყურადღებით ვადევნებდი თვალს, რაც კი სცენაზე ხდებოდა. განსაკუთრებით ხუმრობებს ვიმახსოვრებდი, ხვალ ეს ჩემი ალიბის შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო. ერთ-ერთ ბოლო ნომერს ჩემი ნაცნობი მსახიობი ასრულებდა – ოფიციანტს თამაშობდა. ოდესღაც სიცოცხლე 7000 დოლარად დავუზღვიე. მას ჯეკ კრისტოლფი ერქვა. ესეც გამომადგება. წარმოდგენის დასასრულს დაველოდე და მერე საათს დავხედე – პირველს 48 წუთი აკლდა.

მეორე დღეს ჯეკ კრისტოლფი მოვიკითხე. მითხრეს, სტუდიაშიაო და მეც იქ დავურეკე.

– გავიგე, მაგრად თამაშობს ახალ ფილმშიო... ისა, რა ჰქვია, «საუბარი რევოლუციების ენით» ხომ?

– ჰო, მეუბნებიან, არც ისე ცუდად გამოვიდაო. უკვე ნახე?

– არა, აწი ვაპირებ. სად გადის?

ხუთი კინოთეატრი დამისახელა. ყველა ზეპირად ახსოვდა.

– აუცილებლად წავალ, როგორც კი მოვახერხებ. მისმინე, ძმაცაც, რას იტყვი პატარა დაზღვევაზე? იმ მაყუთზეც ხომ უნდა იზრუნო, ახლა რომ ღუნავ? ხომ უნდა დაიცვა?

– რა ვიცი... ისე, კარგი აზრია...

– მაშინ შევხვდეთ.

– ჰოო... ამ კვირას თეატრში ვარ დაკავებული. აქ პარასკევამდე ვიქნები, მერე კი უქმეებზე სადმე მოვუსვამ. ცოტას დავისვენებ. აი, მომავალ კვირას კი ნებისმიერ დროს შემიძლია.

– სადამოებით რას აკეთებ, უფრო მოგვიანებით?

– ისე, კი შეიძლება დროის გამონახვა...

– მოდი, ხვალ იყოს...

– ჯერ ვერ გეტყვი. ხვალ დამირეკე, ასე, სადილობისას, დაახლოებით შვიდისთვის. მაშინ ზუსტად მეცოდინება. იქნებ მოვახერხო, ძალიან გამიხარდება შენი ნახვა.

მეც ამიტომ გადავწყვიტე დღეს სადამოს კინოთეატრში წასვლა, ხვალ ხომ მსახიობს უნდა შევხვდე. ბოლოს და ბოლოს, ერთი-ორი სასიამოვნო სიტყვა ხომ უნდა ვუთხრა ნათამაშევი როლზე...

...დღის ოთხი საათისთვის გრიფიტ-პარკში წავედი იქაურობის დასაზვერად და დასათვალისწინებლად. ჩემი და საჩეტის მანქანებისთვის ადგილი შევარჩიე. გვერდიგვერდ იყო, ოღონდ ჩემს მანქანას ცხენების სასეირნო ბილიკის ახლოს დავაყენებდი, მაღლა, ბორცვებზე რომ მიიკლაკნება და მერე კი აქ, პირდაპირ საავტომობილო ტრასაზე ჩამოდის.

გრიფიტ-პარკს (ამას თუ პარკი ჰქვია) სინამდვილეში დასათვალისწინებელი მოედანი თუ ეთქმოდა. ჰოლივუდისა და სან-ფერნანდოს ველს ზემოდან გადასცქეროდა, ასე რომ, ავტომობილებით და ცხენებით მოსეირნენი იმ არემარეს კარგად ხედავდნენ. ფეხით მოსიარულეებს პარკში იშვიათად ნახავდი. ფილისი სწორედ აქ უნდა გამესაღებინა, მერე კი ზემოთ, ბორცვებს შევუყვებოდი. მივიდოდი მანქანების ერთ-ერთ სადგომამდე. აქედან ხალხი ველს გადაჰყურებს და მანქანებსაც აქვე აჩერებს. ბრბოს შევერეოდი. ვინმეს საუბარს გავუბამდი, ერთ-ორ სიტყვას ვეტყოდი მანქანის სადგომზე, მაგრამ იქ დიდხანს არ დავრჩებოდი. უკან დაშვებისას საჩეტის პიკაპს ფილისის გვამიანად ფერდობზე დავავაგორებდი, თავად გადმოვხტებოდი და ვიწრო ბილიკით ჩემს მანქანასთან დავბრუნდებოდი, მერე კი შინისკენ შევუბერავდი. აქედან იმ ადგილამდე, საიდანაც საჩეტის პიკაპის გადაგდებას ვაპირებდი, ტრასით თუ იარე, ორიოდ მილია, ბილიკით კი სულ ასიოდ იარდი. თითქმის პირდაპირ მიემართება, არსაით უხვევს, ტრასა კი ბორცვებს

მიუყვება. ეგრეთ წოდებული ავარიიდან ერთი წუთის შემდეგ იქიდან ისე მოვტყდები, ხალხი თავმოყრას ვერც კი მოასწრებს.

ბორცვს ავუყევი და შესაფერი ადგილის ძებნას შევუდექი. პაწაწინა მოედანი იყო, ორიოდ მანქანა თუ დაეტეოდა, ისიც – პატარები. უფრო ფართო მოედნებს ქვის ჯებირები აქვს, ამას კი – არა. მოედნის ნაპირას მივედი და ქვემოთ გადავიხედე. ჰო, ასე ორასი ფუტი იქნება, სულ პირდაპირ რომ დაეშვას, და კიდევ ასიც, ხტუნვა-ხტუნვით რომ დაგორდეს. წავივარჯიშე კიდევ. მოედნის პირას გავჩერდი, სიჩქარე გამოვრთე და კარი გავაღე. ჰო, მართლა, როცა ფილისი მანქანაში ჩამიჯდებოდა, კარი მჭიდროდ არ უნდა მიმეხურა, თორემ გაღებას ვერ მოვასწრებდი. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, ფილისმა იმარჯვოს, დაგორებული მანქანიდან გადმოხტეს და სალ-სალამათი დარჩეს. მერე კი აუცილებლად ჩამიშვებს. ისიც ხომ შეიძლება, მე გადმოვხტე მარცხიანად და მასთან ერთად გადავეშვა უფსკრულში. რას ვიზამ, ასეთ სიტუაციებში რისკი გარდაუვალია.

ქალაქის ცენტრში, თევზის რესტორანში მარტომ ვისადილე. ოფიციალტი მიცნობდა. ერთი-ორჯერ ბრიყვულად გავეხუმრე, მინდოდა დამახსოვრებოდა, დღეს რომ პარასკევი იყო. ნასადილევს კანტორაში დავბრუნდი და ჯოი პიტს ვუთხარი, ცოტა ხანს კიდევ უნდა ვიმუშაო-მეთქი. კანტორაში ათ საათამდე დავრჩი. როცა გამოვედი, ჯოი პიტი ქვემო სართულზე თავის მაგიდას უჯდა და დეტექტიურ ჟურნალს კითხულობდა.

– დღეს რაღაც გვიანობამდე შემორჩით, მისტერ ჰაფ.

– ჰო... და მაინც ვერ დავასრულე.

– სამუშაო შინ მიგაქვთ?

– არა, კინოში მივდივარ. არის ასეთიმსახიობი – ჯეკ კრისტოლფი, ხვალ უნდა შევხვდე. ამიტომ ის ფილმი უნდა ვნახო, სადაც თამაშობს, თორემ ეწყინება. ხვალ საამისო დრო არ მექნება. ამიტომაც მივდივარ დღეს.

– ჰო, ნამეტანი უყვართ თავიანთი თავი ამ მსახიობებს!

კინოთეატრთან რომ მივედი, მანქანიდან გადმოვედი, ქუჩაში თერთმეტ საათამდე ვიხეტიალე და მერე შევედი. ამჯერად ბილეთი პარტერში ვიყიდე. პროგრამაც ავიღე, ჯიბეში ჩავიჩურთე, რაკი ვნახე, რომ მასზე თარიღი ეწერა. კონტროლიორი ქალისთვისაც უნდა მეთქვა ერთი-ორი სიტყვა, ოღონდ ისე, რომ ეს საღამო და მეც კარგად დამახსოვრებოდა. ერთს დავადგი თვალი, კართან რომ იდგა. ახლა შუქიც მჭირდებოდა, ქალს კარგად რომ შევეთვალიერებინე.

– სეანსი უკვე დაიწყო?

– არა, ეს-ეს არის დამთავრდა, სერ. შემდეგი თორმეტის ნახევარზეა.

ეს მეც ვიცოდი. ამიტომაც საგანგებოდ ადრე მოვედი, თერთმეტ საათზე.

– ღმერთო, კიდევ რამდენ ხანს მომიწევს ცდა... კრისტოლფი თამაშობს მთავარ როლს, არა?

– არა, სერ, მხოლოდ დასასრულს გამოჩნდება.

– რაო? ერთი საათი მაინც უნდა ველოდო, სანამ მისი სიფათი გამოჩნდება?

– ხვალაც გადის, სერ, თუ დღეს გვიანობამდე არ გინდათ მოცდა. ფულს სალაროში დაგიბრუნებენ.

– ხვალაც? ჰო... ხვალ. ხვალ შაბათია, არა?

– დიახ, სერ.

– არა, ხვალ არაფრით არ შემიძლია. დღეს მომიწევს ნახვა.

ამ სიტუაციიდან რაც შემეძლო, ყველაფერი გამოვწურე. ახლა როგორმე თავი უნდა დავამახსოვრო. თვალი შევაღვე. ცხელოდა და საყელოს პირველი ღილი შეეხსნა. ხელი გავიწოდე და შევუკარი. ისე სწრაფად, რომ ქალმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო.

– უფრო ყურადღებით უნდა იყოთ.

– თქვენ რა, გინდათ ასე გაჯგიმული ვიდგე და ოფლად გავიღვარო იმისთვის, რომ თქვენ გასიამოვნოთ?

ქალმა ღილი შეიხსნა. ახლა კი ნამდვილად აღარ დამივიწყებდა. დარბაზში შევედი.

მომსახურე ქალიშვილმა სკამებს შორის გამატარა და ჩემი ადგილი მაჩვენა. როგორც კი თვალს მიეფარა, მაშინვე გადავედი დარბაზის სხვა ნაწილში, წუთით ვიჯექი, მერე კი შეუმჩნეველად გამოვიპარე გვერდითა კარიდან. რა თქმა უნდა, ვიტყვი, ფილმს ბოლომდე ვუყურე-მეთქი. კინოთეატრში ბოლო სენსზე დასწრებას კი კრისტოლფთან ჩემი საუბრით ავხსნი. მოწმედ ჯოი პიტიც ხომ მყავდა. ის ბრიყვიც იტყოდა თავის სათქმელს. აგერ, კონტროლიორი ქალიც იყო. რა თქმა უნდა, გამიჭირდება იმის დამტკიცება, დარბაზში სენსის ბოლომდე დავრჩი-მეთქი, მაგრამ სრულყოფილი ალიბიც ხომ არ არსებობს. ამას ნებისმიერი სასამართლო დაიჯერებს, უფრო სარწმუნოა სხვა რამეებთან შედარებით. ჩემი საქციელიდან გამომდინარე, ძნელად თუ ვინმე იტყოდა, რომ ვინმეს მოსაკლავად მივდიოდი.

მანქანაში ჩავჯექი და პირდაპირ გრიფიტ-პარკში წავედი. ასე გვიან სიჩქარის გადამეტებაც შეიძლება. რომ მივედი, საათს დავხედე, თორმეტის ოცდაოთხი წუთი იყო. მანქანა დავაყენე, ძრავა გამოვრთე და გასაღები ავიღე. მერე ლოს-ფელიზს გავუყევი და იქიდან ქვემოთ, ჰოლივუდ-ბულვარისკენ დავეშვი. დაახლოებით ნახევარი მილი სწრაფად გავიარე და ბულვარზე უკვე თორმეტს რომ 25 წუთი აკლდა, მაშინ ვიყავი. იქ ტრამვაიში ჩავჯექი და თორმეტს რომ ხუთი წუთი აკლდა, ლა ბრიზე ჩამოვედი. ჯერჯერობით დროში იდეალურად ვეტეოდი.

ლილაკ-კორტამდე მივედი, აქ საჩეტი ცხოვრობდა. ამ კვარტალში, ცენტრალური მოედნიდან რომ იწყებოდა, ორრიგად ჩამწკრივებული პატარა, ერთოთახიანი სახლები იდგა. ბინის მაქსიმალური გადასახადი აქ კვირაში სამი დოლარია. ქუჩიდან მოვუარე. არ მინდოდა პარკზე გავლა, შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, ვიღაც მაწანწალა დაყიალებსო. საჩეტის ბუნგალოს ჩავუარე. ნომერი ვიცოდი – მეთერთმეტე იყო. ბუნგალოში შუქი ენთო. ესე იგი, შინაა. ჯერჯერობით ყველაფერი გეგმისამებრ მიდიოდა.

ქუჩა გავიარე და ავტოსადგომამდე მივედი, დასახლებიდან ოდნავ მოშორებით რომ იყო. აქ ამ ქუჩის მცხოვრებნი აყენებდნენ მანქანებს. რა თქმა უნდა, თუ ჰყავდათ. ნახმარი, ძველი და დანჯღრეული ჯაბახანების ნამდვილი გამოფენა იყო. შუაგულში საჩეტის პიკაპიც იდგა. ჩავჯექი, გასაღები მოვარგე და დავძარი. უცებ მოედანზე მანქანა შემოსრიალდა. სასწრაფოდ შევბრუნდი, რომ მძღოლს ფარების შუქზე ჩემი დანახვა ვერ მოესწრო და სადგომიდან გამოვედი. ჰოლივუდ-ბულვარამდე მივედი. ზუსტად 12 საათი იყო. ბენზინის ავზი შევამოწმე, თითქმის სავსე აღმოჩნდა.

არც ისე ვჩქარობდი, მაგრამ გრიფიტ-პარკში მაინც პირველის 18 წუთზე მივედი. ცოტა ხანს გლენდეილზე ვიარე, მინდოდა, მხოლოდ ორი-სამი წუთით ადრე მივსულიყავი. საჩეტიზე ვფიქრობდი და იმაზე, როგორ დაამტკიცებდა თავის ალიბის, რაც, კაცმა რომ თქვას, არც ჰქონდა. ამქვეყნად ყველაზე ცუდი ალიბი ის არის, როცა შინ, საკუთარ ლოგინში გპინავს, რა თქმა უნდა, თუ ამ დროს ვინმე არ შემოგივლის ან არ დაგირეკავს. რით გაიმართლებს თავს? ვერაფრით. ტელეფონიც კი არ აქვს.

რკინიგზა გადავჭერი, მანქანა შემოვებრუნე და ლოს-ფელიზისკენ წავედი. მანქანა დავაყენე. ძრავა გამოვრთე და ფარებიც ჩავაქრე. ზუსტად პირველის ოცდაშვიდი წუთი იყო. მივბრუნდი და უკანა მინას გავხედე. ჩემი მანქანა დაახლოებით ას იარდზე იდგა. მდელოს თვალი მოვაგლე. ფილისის მანქანა არ ჩანდა. ჯერ არ მოსულიყო.

საათი მოვიხსენი. წუთის ისარი პირველის ნახევარს მიუახლოვდა. უცებ ხის ტოტის ტკაცუნის ხმა გაისმა – სადღაც იქ, სიბნელეში, ბუჩქებში. შევხტი. მარჯვენა მინა ჩავწიე და სიბნელეს ჩავაშტერდი. ალბათ, წუთი გავიდა, სანამ ასე თვალეზღაფეტილი ვიყავი. მერე რაღაცამ იელვა და მკერდზე ძლიერი ბიძგი ვიგრძენი... გასროლა! მივხვდი, რაც მოხდა. ეტყობა, მხოლოდ მე არ ვფიქრობდი, რომ სამყარო ძალზე ვიწროა იმ ორისთვის, ვინც ერთმანეთზე ძალზე ბევრი რამ იცის. მე ფილისის მოსაკლავად მოვედი, მან კი დამასწრო...

სავარძელზე გადაწოლილი ვიჯექი და ნაბიჯების ხმა მესმოდა. ვიჯექი ტყვიით მკერდში, მოპარულ მანქანაში. იმ კაცისთვის მოპარულში, რომელსაც ქეიესი აგერ უკვე თვე-ნახევარია უთვალთვალეზღაფეტილი. გავსწორდი და ხელები საჭეს წავავლე. ის იყო, ხელი გასაღებისკენ წავილე, რომ გამახსენდა, მანქანა აქ უნდა დამეტოვებინა. კარი გავაღე. სახელურის მოსატრიალებლად დიდი ძალისხმევა დამჭირდა და შუბლზე ოფლი გადამასკდა. როგორც იქნა, გადმოვედი. ჩემი მანქანისკენ წავლასლასდი. წონასწორობას ვკარგავდი. დაჯდომა და გულიდან ამ აუტანელი სიმძიმის ჩამოხსნა მინდოდა, მაგრამ ვიცოდი: ასე ვერასოდეს მივალწევდი მანქანამდე. გამახსენდა, გასაღები უნდა ამომეღო... ჯიბიდან ხელის კანკალით ამოვამძვრინე. ბოლოს და ბოლოს მივლასლასდი მანქანამდე და ჩავჯექი. გასაღები მოვარგე და აქსელერატორს ფეხი დავაჭირე. მხოლოდ ეს იყო, რაც დამამახსოვრდა.

## თავი 12

არ ვიცი, ყოფილხართ თუ არა ოდესმე ნარკოზის ქვეშ. დროდადრო თითქოს ქვესკნელიდან ამოყვინთავ, მერე კი ისევ წყვდიადში ეფლობი. თავდაპირველად სადღაც, ცნობიერის სიღრმეში, მქრქალი შუქი აციმციმდება, ამღვრეული, რუხი. მერე თანდათან მკვეთრდება

და მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ის სიკაშკაშეს შეიძენს, ცდილობ, ფილტვებიდან საშინელი, სულისშემხუთავი საცობი ამოაგდოს. და კვნესი, კვნესი გამგმირავად, თითქოს გტკივა, მაგრამ ეს ტკივილი არ არის. უბრალოდ, ფილტვებიდან საცობის ამოგდებას ცდილობ და ამიტომაც გამოსცემ ასეთ ბგერებს. მაგრამ იქ, სადღაც, ცნობიერის შორეულ კუნჭულში ისევ გამალებით მუშაობს ფიქრი და ხვდები, რაც მოგივიდა. ამ რუხ შუქში თუკი აღწევს კიდეც უცხო, სავსებით იდიოტური ფიქრები, შენი არსების მთავარი ნაწილი მაინც იქ არის და აზროვნებაც შეგიძლია, არცთუ კარგად, მაგრამ მაინც ახერხებ.

მე რომ მკითხოთ, აზროვნება ჯერ კიდევ მანამდე დავიწყე, სანამ გონს მოვიდოდი. ვიცოდი, რომ ჩემ გვერდით ვიღაც იყო, მაგრამ ვინ, არ ვიცოდი. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რაზე. მერე უეცრად გავარჩიე – ეს ქალი იყო, მთხოვდა, პირი გააღეო. ყინული მომცეს. ეტყობა, ექთანმა. მაგრამ კიდევ ვინ იყო იქ, ჯერაც ვერ გამერჩია. დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი და მერე მივხვდი – თვალი სულ ოდნავ უნდა გამეღო და მერე ისევ სწრაფად დამეხუჭა. მაშინ დავინახავდი, ვინ მედგა თავზე. მეც ასე მოვიქეცი. პირველად ვერაფერი გავარჩიე. მერე საავადმყოფოს პალატა გამოიკვეთა, მაგიდა საწოლთან, მასზე კი უამრავი რამ ეწყო. სინათლე იყო – ე.ი. დღეა. მკერდზე საბანი გადაეხადათ – ეტყობა, სქელი სახვევის გამო. თვალები ფართოდ გავაღე. მაგიდასთან ექთანი იჯდა და მიყურებდა. მის ზურგს უკან კიდევ ვიღაც იდგა. უნდა დავიცადო, სანამ ექთანი გაიწევა, რომ დავინახო. ვერაფრით მივძვდარიყავი, ვინ უნდა ყოფილიყო...

...იქ ქეისი იდგა.

ალბათ, დაახლოებით ერთი საათი გავიდა, მე კი კვლავ თვალდახუჭული ვიწევი, მაგრამ ვფიქრობდი. უფრო სწორად, ვცდილობდი. ყოველ ღრმა ამოსუნთქვაზე, ფილტვებიდან რომ ჰაერი გამომედევნა, ძლიერ, მჭრელ ტკივილს ვგრძნობდი მკერდში. ეს ტყვიის გამო იყო. მომბეზრდა ფილტვებში გაჩხერილ საცობთან ბრძოლა და უცებ ექთანი დამელაპარაკა. მიხვდა, რომ გონს მოვედი და მეც უნდა მეპასუხა. ქეისი მომიახლოვდა.

– იცი, პროგრამამ გადაგარჩინა...

– რომელმა?

– კინოპროგრამამ. ორად იყო გაკეცილი. არც ისე სქელი ფურცელია, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ჭრილობიდანაც ცოტა ხანს გდიოდა სისხლი. საბედნიეროდ, ტყვია ფილტვში მოხვდა და არა – გულში. ოდნავ რომ ზემოთ აენაცვლა, დუიმის რაღაც მერვედიც საკმარისი იქნებოდა და ყველაფერი გათავდებოდა.

– ტყვია ამოიღეს?

– ჰო.

– ქალიც აიყვანეს?

– დიახ.

მერე აღარც ერთი სიტყვა არ მითქვამს. ვფიქრობდი, მორჩა, დავილუპე-მეთქი. ხმამაშულებლად ვიწევი.

– ქალი აიყვანეს და შენ, მეგობარო, ბევრი რამის მოყოლა მოგიწევს... ჰოო, მაგარი ამბავია, ვერაფერს იტყვი. ახლა ნახევარი საათით წავალ. ვისაუბრებ მაინც. იქნებ საიმდროოდ უფრო უკეთ შეიქნე.

ქეიესი გავიდა. ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი დამეშავებინოს, დაყვავებით მელაპარაკებოდა. სულ დავიბენი. რამდენიმე წუთის შემდეგ პალატაში სანიტარი შემოვიდა.

– გაზეთები ხომ არ გაქვთ?

– დიახ, სერ, ვეცდები, გიშოვოთ.

მალევე დაბრუნდა და თავადვე იპოვა ის, რისი წაკითხვაც მინდოდა. პირველ გვერდზე კი არა, მეორე სვეტში, სადაც ჩვეულებრივ ადგილობრივ ახალ ამბებს უშვებდნენ, პატარა შენიშვნა იყო. ეტყობა, ამ შემთხვევას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. შენიშვნაში წერდნენ:

საიდუმლოებით მოცული სროლა

გრიფიტ-პარკში

რივერ-საიდზე, შუალამისას, სადაზღვევო კომპანიის აგენტი უოლტერ ჰაფი ავტომობილის საჭესთან დაჭრილი იპოვეს. დაკავებულია ორი პირი.

პოლიცია მომხდართან დაკავშირებულ გარემოებებს იკვლევს.

დაშავებული უოლტერ ჰაფი ლოს-ფელიზ-ჰილზში ცხოვრობს. გუშინ, ნაშუადამევს, ის უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინეს საკუთარი ავტომობილის საჭესთან. ტყვია გულმკერდის არეში მოხვდა. დაკავებულია ჰაფზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი ორი პირი: ლოლა ნედლინგერი, 19 წლის, და ბენჯამინო საჩეტი, 26 წლის.

მის ნედლინგერი ცხოვრობს ლაისი არმს-აპარტამენტში, იუკა-სტრიტზე. საჩეტის მისამართია: ლილაკ-კორტ-აპარტამენტი, ლა ბრის ავენიუ.

როგორც ჩანს, ჰაფს მაშინ ესროლეს, როცა იგი ბერბანკის მიმართულებით მიდიოდა, რივერსაიდ-დრაივზე. შემთხვევის ადგილას დაუყოვნებლივ მისულმა პოლიციამ აღმოაჩინა მის ნედლინგერი და საჩეტი, ისინი დაჭრილის ავტომანქანიდან გადმოთრევას ცდილობდნენ. შორიახლოს ნაპოვნია რევოლვერი ერთი გახარჯული ვაზნით. დაკავებულები უარყოფენ ჰაფზე თავდასხმას და უარს ამბობენ მომხდარის შესახებ ჩვენების მიცემაზე».

ფორთოხლის წვენი მომიტანეს, მე კი ვიწექი და ვცდილობდი, გამეაზრებინა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. გგონიათ, ამ ბოდვას წამოვეგე? რომ ლოლამ მესროლა ან საჩეტიმ ეჭვიანობის გამო? არა, ნურას უკაცრავად. ვიცოდი, ვინც მესროლა. იმან, ვისაც უნდა შევხვედროდი. იცოდა, რომ მივიდოდი და ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. ამაში ვერავინ



გადამარწმუნებს. მაგრამ რას აკეთებდნენ იქ ის ორნი? ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ვერაფერს მივმხვდარიყავი. ერთი რამ უეჭველი იყო – ლოლა იმ ღამეს ისევ საჩეტის უთვალთვალეზდა. მხოლოდ ამით აიხსნებოდა იმ ღამეს მისი პარკში ყოფნა. მაგრამ საჩეტი როგორღა მოხვდა იქ? სრული უაზრობაა... და სანამ ამ გამოცანაზე თავს ვიმტვრევდი, გონებას ერთი აზრი მიბურღავდა – «დავიღუპე, დავიღუპე!» იმას კი არ ვნადვლობდი, რომ დანაშაული ჩავიდინე და მალე ყველაფერი გამოაშკარავდებოდა, თავზარს ის მცემდა, რომ ლოლა გაიგებდა ყველაფერს. ეს ყველაზე საშინელი რამ იყო...

...ქეისი შუადღისას დაბრუნდა. გაზეთი რომ დაინახა, სკამი საწოლთან მოაჩოჩა.

– კანტორაში მომიწია შერბენამ...

– მართლა?..

– რაღაც შეშლილი დღეა. შეშლილი დღე შეშლილი ღამის შემდეგ.

– რა ხდება?

– ახლავე რაღაცას გაიმბობ. ეს საჩეტი, აი, ის, პარკში რომ გესროლა, სწორედ ის ტიპია, ამ ხნის განმავლობაში რომ ვუთვალთვალეზდით ნედლინგერის საქმეზე.

– შეუძლებელია...

– ძალიანაც შესაძლებელია. მაშინვე მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ ნორტონმა არ დამანება. მას რომ ჰკითხო, აგენტებს წვრილმანები არ უნდა გაანდო. მეც არ გითხარი. ჰო, ის კაცია, ჰაფ. რას გეუბნებოდი? რას ვეუბნებოდი ნორტონს? ხომ ვამბობდი, ამ საქმეში არის რაღაც უცნაურობები-მეთქი?..

– კიდევ რა მოხდა?

– შენი კანტორიდან დარეკეს.

– მერე?

– და რაღაც ახალი ფაქტებიც შეგვატყობინეს, რომლებიც აქამდე გვეცოდინებოდა მე და ნორტონს, შენთვის რომ არ დაგვემალა და ყველაფერი გვეამბა. მოკლედ, საჩეტის ამბავი რომ გცოდნოდა, მაშინვე გვეტყოდი იმას, რაც დღეს გავიგეთ.

– სესხი აიღო.

– ჰო, მართალია! მაგრამ ამაში არ არის საქმე. ეს არ არის მნიშვნელოვანი. სხვა რამ არის მთავარი – საჩეტი შენს კანტორაში იყო იმ დღეს, როცა ნედლინგერს პოლისი მიჰყიდე.

– არ მახსოვს, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი.

– ასეა. შევამოწმეთ. ნეტი დაგვითხეთ, დოკუმენტებს გადავხედეთ, პოლიციაში არსებულ მასალებს შევადარეთ... ისიც მოსულა და ის გოგოც. ეს ყველაფერს ნათელს ჰფენს და საქმეც სხვანაირად შემოტრიალდება. ჩვენ ხომ ვერ ვხვდებოდით, რომ...

– რას ნიშნავს სხვანაირად შემოტრიალდება?

– ხომ ვიცოდით, რომ ნედლინგერი ოჯახს არაფერს უმხელდა. ეს მის მდივან ქალთანაც გადავამოწმეთ. არავისთვის არაფერი უთქვამს. მერე კი მისი ოჯახი უეცრად საიდანდაც იგებს პოლისის ამბავს. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

– ჰო... არ ვიცი.

– ჰო, გაიგეს. აბა, რა გგონია, ისე, ტყუილ-უბრალოდ გაასაღეს? იცოდნენ... სამაგიეროდ, ახლა ჩვენც ვიცით, რომ მათაც იცოდნენ. ყველაფერი ემთხვევა.

– მერე რა?.. ნებისმიერი სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს მაგ ფაქტს და დანაშაულად არ ჩათვლის.

– მე სასამართლო არ ვარ. მე საკუთარი თავის დასარწმუნებლად ვამბობ, კიდევ ერთხელ რომ დავამტკიცო ჩემი სიმართლე. იცი, რა, ჰაფ, შემძლო ჩემი ეჭვების საფუძველზე მომეთხოვა საქმის გამოძიება!.. მაგრამ სასამართლოში არ წავსულვარ. კინაღამ შევიშალე, მე ხომ მხოლოდ ეჭვი მქონდა, ხელჩასაჭიდს კი ვერაფერს ვპოულობდი. სამაგიეროდ, ახლა ყველაფერი ვიცი. მეტიც, ახლა გამოდის, რომ ამ საქმეში ის გოგოც არის ჩათრეული.

– ვინ?

– აი, ის გოგო. ნედლინგერის ქალიშვილი. ისიც იქ იყო. შენს კანტორაზე ვამბობ. ვიცი, ახლა იფიქრებ, ქალიშვილი მამაზე ხელს როგორ აღმართავდაო! ამის მეტი რა მინახავს და არცთუ იშვიათად. 50.000 დოლარის გულისთვის ამნაირი კიდევ ბევრჯერ მოხდება...

– მე... მე არ მჯერა.

– ახლავე დაგაჯერებ. აი, რა, ჰაფ, ერთი რამ მაკლია – ჯაჭვის ერთი პატარა რგოლი: შენი მისაკლავება უნდოდათ რაღაცის გამო, იმისთვის, რაც იცი და რითაც სასამართლოში მოწმედ გამოსვლა შეგეძლო. ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ რატომ?

– რას ნიშნავს «რატომ»?

– რას და, ისეთი რა იცი, რომ შენი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს? კარგი, ბატონო, კანტორაში იყვნენ შენთან, მაგრამ ეს არ კმარა, კიდევ არის რაღაც... რა?

– მე... არ ვიცი. ისეთი არაფერი მახსენდება.

– უნდა გაიხსენო. იქნება, შენ რომ არაფრად თვლი, სწორედ ის არის მათთვის მთავარი? მაგრამ რა?

– არა, მსგავსი არაფერია, არ შეიძლება იყოს.

– არა, უნდა იყოს, აუცილებლად იქნება.

ქეიესი წამოდგა და პალატაში აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა.

– დაიხსომე, ჰაფ, რამდენიმე დღე კიდევ გვაქვს. ეცადე, გაიხსენო, – სიგარეტს მოუკიდა და ისევ შეუბერა, – ჰო, მაგარია, რომ კიდევ რამდენიმე დღე გვაქვს... სასამართლოში, ასე, ერთი კვირის შემდეგ თუ შემდეგ მისვლას. ეს გვაწყობს, ამასობაში პოლიციაც ცოტა ხელს

წავვიკრავს – ცოტა შეაფუცხუნებენ იმ ორს, რეზინის შლანგით ან რამე ამისთანით და, ადრე თუ გვიან, მტრედები აღულუნდებიან. პირველ რიგში, გოგო. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ გინდა... ჰოდა, ჩვენც ეს გვინდა. მართალია, უშნოდ გაეჩხირე ამ საქმეში და თავსატეხი გაგიჩინეს, მაგრამ სამაგიეროდ, ახლა ხომ მოვიმწყვდიეთ, ბუღს ავადენთ. მანამდე კი რამდენიმე დეტალი დავაზუსტოთ. ღვთის წყალობით, საღამომდე მოვრჩებით ყველაფერს.

თვალეები დავხუჭე. თვალწინ ერთთავად ლოლა მედგა და მის ირგვლივ – პოლიციელები, რომლებიც იქნებ ახლა ცემით სულს ხდიან, რამე რომ ათქმევინონ. ათქმევინონ ის, რაც არ იცის, წარმოდგენაც რომ არ აქვს. ლოლას სახე მიხტოდა თვალწინ და უცებ რაღაც ისე დაარტყეს, რომ პირიდან სისხლი წასკდა.

– ქეიეს...

– რაო?

– მართლაც იყო რაღაც. შეგიძლია გამოიყენო.

– გისმენ, ჩემო, ბიჭო, ყურადღებით გისმენ.

– მე მოგვკალი ნედლინგერი.

თავი 13

იჯდა და არაფრისმთქმელი სახით მომჩერებოდა. ყველაფერი ვუამბე, სულ ყველაფერი, ლოლაზეც კი. უცნაურია, მაგრამ ამისთვის მხოლოდ ათი წუთი დამჭირდა. მერე ქეიესი წამოდგა. სახელოში ვწვდი.

– ქეიეს...

– უნდა წავიდე, ჰაჲ.

– ოღონდ ლოლას ნუ აცემინებ.

– უნდა წავიდე, მერე შემოვივლი, მოგვიანებით.

– ქეიეს, თუ ლოლას ცემის უფლებას მისცემ, მე... მოგკლავ. ახლა ყველაფერი იცი. მხოლოდ ერთი რამის გამო გიამბე. მხოლოდ ერთის... ლოლა რომ არ სცემონ. უნდა დამპირდე. ჩემი მოვალე ხარ, ქეიეს...

ჩემი ხელი ჩამოიშორა და გავიდა.

ყველაფერი რომ გადმოვულაგე, იმედი მქონდა, ბოლოს და ბოლოს, სულს დავიმშვიდებ-მეთქი. ყელში მქონდა ამოსული ეს ამბავი – ამით ვიძინებდი, ამას ვხედავდი სიზმრად,

ამით ვსუნთქავდი. მოსვენება მქონდა დაკარგული. ერთადერთი, ვისზეც ახლა ფიქრი შემემლო, ლოლა იყო, უფრო სწორად იმაზე, ყველაფერს რომ გაიგებდა და მიხვდებოდა, ვინც ვიყავი...

...სამი საათი იქნებოდა, სანიტარი რომ მოვიდა და გაზეთის დღის გამოშვება მომიტანა. ქეიესს რომ გამოვუტყდი, ერთი სიტყვიტაც კი არ იყო ნახსენები. სამაგიეროდ, დოსიეები მოექექათ და ნედლინგერის პირველი ცოლის, თავად ნედლინგერის სიკვდილსა და იმაზე წერდნენ, რომ დამჭრეს. ვიდაც ქალს, მწერალს თუ ჟურნალისტს, ფილისთან შეძრომა და მასთან საუბარიც მოუხერხებია. ეს ქალი იყო, იქაურობას რომ «სიკვდილის სახლი» უწოდა და მეწამული ფარდებიც ახსენა. ეს მონაჩმახი რომ წავიკითხე, მივხვდი, წასული იყო ჩიტუნას საქმე – აგერ, სულელ ჟურნალისტსაც კი შეუმჩნევია ყველა ის უცნაურობა...

...ქეიესი მხოლოდ ცხრის ნახევარზე გამოჩნდა. პალატაში შემოვიდა თუ არა, ექთანს გაუშვა, მერე კი წუთით დამტოვა და ნორტონთან, კორპორაციის ადვოკატ ქესვიქთან, ძალზე სერიოზულ საქმეებზე რომ იძახებდნენ ხოლმე, და კანონმდებლობის დეპარტამენტის მუდმივ წარმომადგენელთან, შაპიროსთან ერთად დაბრუნდა. ყველა ჩემს საწოლთან ჩამწკრივდა და ნორტონმა დაიწყო:

– ჰაფ...

– დიახ, სერ.

– ვინმესთვის ხომ არ გაიმზიათ ეს ამბავი?

– არავისთვის, ქეიესის გარდა.

– სხვისთვის არავისთვის?

– არავისთვის... კაციშვილისთვის არ მითქვამს.

– პოლიციიდან ხომ არავინ მოსულა?

– იყვნენ. თვალი მოვკარი ჰოლში. რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. მგონი, ჩემზე. მაგრამ ექთანმა არ შემოუშვა.

ერთმანეთს გადახედეს.

– მაშინ დავიწყეთ, ქეიეს, მგონი, სჯობია, აუხსნათ.

ქეიესმა, ის იყო, პირი დაალო, რომ ქესვიქმა შეაჩერა და ნორტონი გაიხმო განზე. მერე ქეიესსაც დაუძახეს, შაპიროსაც. დროდადრო ცალკეული სიტყვა მესმოდა. მივხვდი, რაც უნდა შემოეთავაზებინათ, მაგრამ პრობლემად ის ქცეოდათ, შეეძლოთ თუ არა მოწმეებად გამოსვლა სასამართლოში. ქესვიქი გარიგებაზე თანახმა იყო, ოღონდ არაფრით არ სურდა, ამ საქმესთან მისი სახელიც ეხსენებინათ. ბოლოს დაასკვნეს, რომ ქეიესი აიღებდა თავზე ყველაფერს, ისინი კი სასამართლოში არ გამოჩნდებოდნენ. მერე პალატიდან ფეხაკრეფით გავიდნენ. არც ერთი არ დამმშვიდობებია. უცნაურია... ისე იქცეოდნენ, თითქოს მე არ ჩამეთრიოს კომპანია ამ ბინძურ ისტორიაში. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ერთი საზარელი, სახედაწყლულეული ცხოველი ვიყავი და ჩემი დანახვა არ სიამოვნებდათ, ეს იყო და ეს.

ცოტა ხანში ქეიესი დაბრუნდა და საწოლთან ჩამოჯდა.

– ჰაფ, საშინელი რამე ჩაიდინე.

– ვიცი.

– მგონი, აღარც ღირს ამაზე ლაპარაკი.

– არა, არ ღირს.

– გული მწყდება... თავისებურად მომწონდი კიდეც, ჰაფ.

– ვიცი... მეც.

– ისე, იშვიათად მომწონს ვინმე. ამისთანა ფუფუნების უფლებას თავს როგორ მისცემ, როცა ჩვენისთანა საქმეს ხარ შეჭიდებული. როცა ადამიანთა მოდგმა... ყველა, უკლებლივ, თაღლითი გგონია...

– ვიცი. მენდობოდი, მე კი იმედი გაგიცრუე.

– ჰმ... კარგი, თავი დავანებოთ ამას.

– ჰო, რაღაა სალაპარაკო... ნახე?

– ჰო, ყველა ვნახე. ის გოგოც, ის ყმაწვილკაციც და ქვრივიც.

– რა თქვა?

– არაფერი... იცი, თავადაც არაფერი მითქვამს. მითხრა... მოკლედ, ჰგონია, რომ საჩეტიმ გესროლა.

– რისთვის?

– ეჭვიანობის ნიადაგზე.

– აჰაა...

– ძალიან დარდობდა შენზე. მაგრამ როცა გაიგო, ჭრილობა სახიფათო არ არისო... მოკლედ....

– გაუხარდა?

– ჰო, ასე ვთქვათ... თუმცა, ცდილობდა, არ შეემჩნია. ამბობს, საჩეტის ვუყვარვარო და ეს მტკიცებულება ჰგონია. ვერც გადაარწმუნებ...

– გასაგებია...

– მაგრამ შენზე კი მართლა ძალიან დარდობდა. მაშინვე მიხვდები, რომ გულგრილი არ არის.

– ვიცი. ვიცი, რომ... გულგრილი არ არის.

– შენ გითვალთვალებდა და იმაში აერიე. ეს იყო და ეს.

– მივხვდი.

– ველაპარაკე საჩეტის.

– ვიცი, ხომ მითხარი. ის რაღას აკეთებდა იქ?

ისევ დაიწყო საწოლის გარშემო ბოლთის ცემა. პალატაში შუქის ერთადერთი წყარო – ნათურა ჩემს სასთუმალთან ენთო. ამიტომაც ქეიესს ცუდად ვხედავდი, მხოლოდ იმას ვგრძნობდი, როგორ ზანზარებდა საწოლი მისი მძიმე ნაბიჯებისგან.

– დიდი დახლართული ისტორიაა, ჰაფ.

– მართლა? რა ისტორია?

– ნამდვილ მახრჩობელას გადაჰყრიხარ. მაგ ქალის გახსენებაზე სისხლი მეყინება მარღვებში. ეს პათოლოგიაა. ამაზე უარესი რაღა იქნება.

– ვერ გავიგე...

– მოკლედ, ამას თავისი სახელი აქვს. რაღაც ტერმინი. დროდადრო თანამედროვე ფსიქოლოგიის წიგნებშიც უნდა ჩაიხედო, ჩემსავით... ოღონდ ნორტონს არაფერს ვეუბნები, თორემ იფიქრებს, თავი დიდი ვინმე ჰგონიაო ან კიდევ რაიმეს ამდაგვარს. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, წიგნებში მეტად საინტერესო რამეებს ამოიკითხავ კაცი. ჩვენს საქმესთან ამას პირდაპირი კავშირი აქვს. ერთი სიტყვით, იქ ახსნილია ის მიზეზები, რომელთა გამო ადამიანები ასეთ რამეს სჩადიან ხოლმე.

– და მაინც, ვერაფერი გავიგე...

– ახლავე მიხვდები... საჩეტის სულ არ ჰყვარებია ფილის ნედლინგერი.

– არა?!

– მხოლოდ ნაცნობები არიან, ასე, ხუთი თუ ექვსი წლის წინანდელი. მამამისი ექიმი იყო. სანატორიუმში ჰქონია მთაში, ვერდუგო-ჰილზში, დაახლოებით მეოთხედ მილზე იმ ჰოსპიტლიდან, სადაც ფილისი უფროს მედდად მუშაობდა.

– ჰოო, მახსენდება.

– ჰოდა, სწორედ იქ გაიცნო საჩეტიმ. არ გასულა დიდი ხანი და უეცრად მოხუც საჩეტის უსიამოვნება უსიამოვნებაზე დაატყდა თავს – სანატორიუმში ზედიზედ სამი ბავშვი მოკვდა.

გამაჟრჟოლა. ქეიესი კი აგრძელებდა:

– ყველა მათგანი დაიღუპა...

– ფილტვების ანთებით.

– აჰა, ესე იგი შენც გსმენია?

– არა, განაგრძე.

– აჰ, მართლა, ამას ეროუჰედის საქმეში წაიკითხავდი.

– ჰო.

– ჰოდა, სამი ბავშვი მოკვდა და მოხუცსაც უკან წაუვიდა საქმე. ერთმანეთს მიჰყვა გულის გამხეთქი ამბები. არა, პოლიცია არც შედავებია, იმათ საექვო ვერაფერი აღმოაჩინეს. ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტსა და კლიენტურას აუტეხია ერთი ამბავი. ასე დაესვა ექიმის კარიერას წერტილი. მოხუცი იძულებული გამხდარა, სანატორიუმი გაეყიდა და მალევე მომკვდარა.

– ფილტვების ანთებით?

– არა, დარდით და სიბერით. ახალგაზრდა საჩეტის მთელი ეს ისტორია ძალზე საექვო ეჩვენებოდა. ის ქალი ვერაფრით ამოეგდო თავიდან. თურმე ძალზე ხშირად მიდიოდა სანატორიუმში და სულ ბავშვებს დასტრიალებდა თავს. მისმენ?

– განაგრძე.

– ნინო საჩეტის არაფერი უღონია მანამდე, სანამ ნედლინგერის პირველი ცოლი არ მოკვდა. როგორც აღმოჩნდა, გარდაცვლილ ბავშვთაგან ერთ-ერთი ფილის ნედლინგერს ენათესავებოდა და მისი სიკვდილის შემთხვევაში ქალს დიდი მემკვიდრეობა დარჩებოდა. ის ფული ბავშვის იყო, მისი სიკვდილის შემდეგ კი უკვე ფილისის საკუთრება გახდა. მოკლედ, ყველა იურიდიული ცერემონიის შემდეგ მისის ნედლინგერმა იმ საბრალო ბავშვის წილი მემკვიდრეობა ჩაიჯიბა. დაიხსომე ეს, ჰაფ. ყველაზე საშინელი ამ ამბავში ის არის, რომ გარდაცვლილთაგან ერთ-ერთი დიდი ფულის მემკვიდრე იყო.

– დანარჩენი ორი?

– ისინი მკვლელმა კვალის დასაფარავად დახოცა. წარმოიდგინე, ჰაფ! ამ ქალმა კიდევ ორი ბავშვი გაიმეტა მხოლოდ იმისთვის, რომ ერთი მოეშორებინა თავიდან და მერე ისე დახვანჯა ყველაფერი, რომ ბავშვების სიკვდილი მედპერსონალის დაუდევრობისთვის მიეწერათ. ისე, როგორც ეს კლინიკებში ხდება ხოლმე. აკი გითხარი, პათოლოგიური ვინმეა-მეთქი.

– მერე!

– როცა პირველი მისის ნედლინგერი მოკვდა, ახალგაზრდა საჩეტიმ მამებრობა იკისრა. ერთი მხრივ, უნდოდა თუნდაც სიკვდილის შემდეგ გაემართლებინა მამა, მეორე მხრივ კი ის ქალი პირდაპირ აკვიატებულ იდეად ექცა. არა, არ შეჰყვარებია – მხოლოდ სიმართლის გაგება სურდა.

– გასაგებია.

– უნივერსიტეტში სწავლობდა და დიპლომზე მუშაობდა. ერთხელ რაღაც მოიმიზეზა, ქალს შინ ესტუმრა და ესაუბრა. მით უმეტეს, რომ ნაცნობებიც იყვნენ და საბაზიცი გამონახა –

თერაპევტებისა და მედდების რომელიღაც ასოციაციაში შესვლა შესთავაზა. ეგონა, ფილისი ვერაფერს მიმიხვდებაო. ამასობაში ლოლაც გაიცნო და პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა. შეუყვარდა და მისი შესანიშნავი გეგმა, რომელსაც ამდენ ხანს ელოლიავებოდა და რომლის წყალობითაც ყველაფერი უნდა შეეტყო, წყალში ჩაიყარა. ლოლას გაუბედურება არ სურდა, მით უფრო, რომ ხელჩასაჭიდი არც არაფერი ჰქონდა. ამიტომაც უარი თქვა ჩანაფიქრზე. მათთან შინ სტუმრობა, როცა გოგოს დედინაცვალზე ასეთი ეჭვი ჰქონდა, ეუხერხულეობდა და ერთმანეთს სახლგარეთ ხვდებოდნენ. და მაინც, იყო ერთი პატარა წვრილმანი, რაც ბიჭს კარნახობდა, რომ გუმანი არ ატყუებდა: დედინაცვალმა რომ იყნოსა, ახალგაზრდები ერთმანეთს ხვდებიანო, ათასი სისამაგლე უთხრა ლოლას ბიჭზე, ოდნავ მოგვიანებით კი სრულიად აუკრძალა შეხვედრა. ამას, ჩანს, ერთი მიზეზი ჰქონდა – გვარად საჩეტი თუ ვინმე გამოჩნდებოდა, მის სახლს სათოფეზეც არ უნდა გაჰკარებოდა. ხვდები, რას ვამბობ?

– ჰო.

– და აი, ნედლინგერის რიგიც დადგა. საჩეტიმ მაშინვე გააცნობიერა, რომ ლოლას მამის სიკვდილი შემთხვევითობა სულაც არ იყო და გადაწყვიტა, ქალისთვის თვალი აღარ მოემორებინა. ლოლასთან შეხვედრები ერთბაშად შეწყვიტა. არც აუხსნია მიზეზი გოგოსთვის. ფილისთან გააბა რომანი, ყველაფერზე მიდიოდა, ლოგინშიც ჩაიგორა. მიხვდა, ამაზე ქალი უარს არასოდეს ეტყოდა, საამისოდ სახლის კარი მისთვის მუდამ ღია იქნებოდა. და იცი, რატომ? საქმე ის არის, რომ ფილისი ლოლას მეურვე იყო. მაგრამ, თუკი ლოლა გათხოვდებოდა, მეურვეობა მის ქმარს დაეკისრებოდა. ხომ ხვდები?..

– და ლოლას ჯერიც დადგა...

– ჰო, სავსებით სწორია. მაგრამ პირველად შენი გასაღება გადაწყვიტა, იმ კაცისა, მასზე რომ ძალიან ბევრი რამ იცოდა. მერე კი ლოლასაც მიხედავდა. რა თქმა უნდა, საჩეტიმ მაშინ შენზე არაფერი იცოდა, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ ლოლას კარგი არაფერი ელოდა.

– მერე...

– იმ ღამის ამბებს დავუბრუნდეთ. ლოლა საჩეტის უთვალთვალეობდა. უფრო სწორად, მის მანქანას, რომელშიც შენ იჯექი. გახსოვს, სადგომზე რომ მანქანა შემოვიდა? ეს ლოლა იყო.

– ჰო, დავინახე მანქანა.

– საჩეტი შინ გვიან არ დაბრუნებულა. ქვრივმა მალე გამოისტუმრა. დასაძინებლად ეძხადებოდა, მაგრამ ცუდი წინათგრძნობა აწვალეობდა – იმ ღამეს რაღაც უნდა მომხდარიყო. ჯერ ერთი, მოეჩვენა, რომ ქვრივი ძალზე მკვახედ და დაჟინებით სთხოვდა წასვლას. მეორე – გრიფიტ-პარკზე დაწვრილებით გამოუკითხავს ყველაფერი – როდის კეტავენ გზებს ღამით და სახელდობრ რომელ გზებს... ეს მხოლოდ ერთს მოასწავებდა – ქალი რაღაცას აპირებდა იმ პარკში, გვიან ღამით. მაგრამ რომელ დღეს, საჩეტიმ არ იცოდა. და აი, ნაცვლად იმისა, დასაძინებლად წასულიყო, ქვრივის სახლთან მისვლა და იქაურობის დაზვერვა გადაწყვიტა. სადგომზე თავისი მანქანა ვერსად ნახა, გამჭრალიყო. შიშისგან კინაღამ გონება დაკარგა, რადგან მანქანის გასაღები ლოლასაც ჰქონდა. არ დაგავიწყდეს, ამ დროს საჩეტი უკვე დარწმუნებული იყო, რომ ლოლას დიდი დღე აღარ ეწერა.



– მერე...

– ტაქსი დაიჭირა და გრიფიტ-პარკში გაქანდა. ბრმად დაბორიალებდა აქეთ-იქით, არ იცოდა, რა მზადდებოდა და სად რა ან ვინ უნდა ეძებნა. ბუნებრივია, სულ სხვა ადგილიდან დაიწყო – მდელის ყველაზე შორეული კუთხიდან. სწორედ ამ დროს გაიგონა სროლის ხმა. იქით გაიქცა. ლოლამაც და საჩეტიმაც შენთან ერთდროულად მოირბინეს. ბიჭს ეგონა, ლოლას ესროლესო, გოგოს – საჩეტისო. მაგრამ, როცა ლოლამ მანქანაში დაგინახა, იფიქრა, საჩეტიმ ესროლაო და პოლიციელებს ისტერიკა გაუმართა.

– ახლა ვხვდები...

– ის ქალი, ქვრივი, ნამდვილი მანიაკია. ძალზე სახიფათო ვინმეა. საჩეტიმ მიაშო, პაციენტების სიკვდილის კიდევ ხუთი შემთხვევა ამოუქექავს. თანაც აქედან ორში ფულის დათრევაც მოუხერხებია. ეს ბავშვების სიკვდილამდე მომხდარა.

– და ყველა მათგანი ფილტვების ანთებით კვდებოდა?

– არა, მხოლოდ სამი. დანარჩენი, უფრო ხანდაზმულები, ოპერაციისას გარდაიცვალნენ.

– როგორ აკეთებდა ამას?

– აი, ეს კი ვეღარ შეიტყო საჩეტიმ. როგორც ფიქრობს, შრატს რაღაც წამალს ურევდა. ახლა უნდა საიდუმლო გამოსტყუოს. ამბობს, ეს ძალზე მნიშვნელოვანიაო.

– მერე?

– ცუდად არის შენი საქმე, ჰაფ.

– ეგ ვიცი.

– დღეს ამაზე ვილაპარაკეთ, იქ, კანტორაში. გადაწყვეტილების მიღების უფლება მე მომცეს. მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვს. ყველაფერს ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როცა ნორტონმა დაიჟინა, თვითმკვლელობაო.

– ჰო, მართალი აღმოჩნდი.

– ისინი დავარწმუნე, საქმე სასამართლომდე არ უნდა მივიდეს-მეთქი.

– მაგრამ არც ჩაფარცხვა რომ არ შეიძლება?

– ჰო, ვიცით, რომ არ შეიძლება. მაგრამ ერთია, როცა გაიგებენ, სადაზღვევო კომპანიის აგენტმა მკვლელობა ჩაიდინაო, და სულ სხვა, როცა ორი კვირის განმავლობაში გაზეთები გადაჭრელდება ამ სასამართლო პროცესის ამბებით.

– გასაგებია...

– ამიტომ განცხადება უნდა დაწერო, ოფიციალური აღიარება ჩემს სახელზე, სადაც ყველაფერს დაწვრილებით აღწერ და მერე ნოტარიუსს დავამოწმებინებთ. დაზღვეულ წერილს იმ კვირის ხუთშაბათს გამომიგზავნი ფოსტით, მე რომ პარასკევს მივიღო.

– მომავალ ხუთშაბათს...

– ჰო. ამასობაში ვეცდებით შენი საქმის გამოძიება შევაჩეროთ. ვიტყვით, ჯერ კიდევ ძალზე სუსტადაა და ჩვენების მოცემა არ შეუძლია-თქო. ახლა კი აი, რა – თბომავალზე სხვა სახელით შენთვის კაიუტა იქნება დაჯავშნული. სალამოს სან-პედროდან გადის ბილბაოსკენ და მერე კი სამხრეთით გააგრძელებს გზას. ამ თბომავალზე დაჯდები. პარასკევს შენს აღიარებას მე მივიღებ და მაშინვე გადავცემ პოლიციას. ვითომ პირველი მე შევიტყობ ყველაფერს. ამიტომაც წავიდნენ ახლა აქედან ნორტონი და სხვები. მოწმეები არ გვჭირდება. ეს გარიგებაა, კერძო შეთანხმება ჩვენ ორს შორის და თუ ოდესმე გაზედავ და იტყვი, რომ ასეთი რამ მოხდა, მე ყველაფერს უარვყოფ და შენ ვერაფერს დაამტკიცებ. მე ყველაფერი გავითვალისწინე.

– ამას არ ვიზამ.

– როგორც კი პოლიციას შევატყობინებთ, მაშინვე გამოვაცხადებთ შენს დასაჭერად თანხას ჯილდოდ. და კიდევ, ჰაფ... თუ დაგიჭირეს, ჩვენი იმედი ნულარ გექნება – ამ თანხას თვალის დაუხამხამებლად გადავიხდით, შენ კი სასამართლოს წინაშე წარდგები და ჩვენც ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჩამოგკიდონ. აკი გითხარი, არ გვინდა, საქმე სასამართლომდე მივიდეს-მეთქი, მაგრამ თუკი მივიდა, უკან აღარაფერზე დავიხევთ. გასაგებია?

– ჰო, გავიგე.

– სანამ თბომავალზე დაჯდები, გამოგზავნილი წერილის ქვითარს გადმომცემ. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ აუცილებლად გამოგზავნი.

– იმას რაღას უზამთ?

– ვის?

– ფილისს.

– მაგასაც მოვუვლით.

– ჰო, მართლა, ქეიეს...

– რაო?

– სულ იმაზე ვფიქრობ, რა ეშველება ლოლას. ამბობ, სიტუაციას ვაკონტროლებო. თუ სწორად მიგიხვდი, საჩეტისა და ლოლას სასამართლომდე არ გაათავისუფლებენ. იმ სასამართლომდე, რომელიც არ შედგება. მოკლედ, ერთი რამ დაიმახსოვრე – დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ლოლა არაფრით დაზარალდება. პატიოსანი სიტყვა უნდა მომცე, შემომფიცე, ქეიეს, თორემ ვერც აღიარებას ეღირსები ჩემგან და საქმეც სასამართლოში წავა, აქედან გამომდინარე შედეგებითურთ. ქვას ქვაზე არ დავტოვებ! გაიგე, ქეიეს? რა სჭირს ლოლას?

– ჩვენ ჯერ მხოლოდ საჩეტი გვყავს დაკავებული. ის უარს არ არის.

– ვერ გაიგე, რა გკითხე? სად არის ლოლა?

– თავისუფალია.

– ის... რაო?

– თავდებით გავუშვით. ასეთ შემთხვევებში ეს დაშვებულია. ასე რომ...

– ჩემზე ყველაფერი იცის?

– არა, აკი დაგპირდი, არაფერს ვეტყვი-მეთქი.

ქეისმა საათს დახედა და ფეხაკრეფით გავიდა კორიდორში. თვალები მივლულე. უეცრად ვიგრძენი, რომ ჩემ გვერდით ვილაც იყო. თვალი გავახილე... ლოლა...

– უოლტერ.

– გამარჯობა, ლოლა.

– ძალიან ვწუხვარ.

– მე კარგად ვარ.

– არ ვიცოდი, თუ ნინომ ჩვენზე ყველაფერი იცოდა. ეტყობა, მიხვდა. ბოროტი არ გეგონოს, მხოლოდ ძალიან, ძალიან ფიცხია.

– გიყვარს?

– ჰო.

– უბრალოდ, მინდოდა, მცოდნოდა.

– რა საშინელი რამ დაგემართა.

– არაფერია, კარგად ვარ.

– მინდოდა, რაღაც მეთხოვა... მაგრამ არ ვიცი, მაქვს კი უფლება?

– რასა მთხოვ?

– აი, იმას... ნინოს წინააღმდეგ რომ საქმე არ აღძრა. რა შეგემატება ამით?

– კარგი, არ აღვძრავ.

– ზოგჯერ... თითქმის მიყვარდი, უოლტერ.

იჯდა და მიყურებდა. გაბუტულს ჰგავდა. კიდევ დიდხანს დარჩა. მისთვის აღარ შემიხედავს. ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე დამეუფლა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ჩემი არასოდეს იქნებოდა. ეს შეუძლებელი იყო. ვერასოდეს ვაკოცებდი გოგოს, რომელსაც მამა მოვუკალი.

ლოლა უკვე კართან იდგა, გამოვემშვიდობე და ბედნიერება ვუსურვე. გავიდა თუ არა, ქეისი შემოვიდა.

- თანახმა ვარ, ქეიეს. აღიარებაზე გეუბნები...
- გონივრული გადაწყვეტილებაა.
- ყველაფერზე თანახმა ვარ... და კიდევ მადლობელიც...
- არ გინდა, მადლობას ნუ მიხდი.
- მაგრამ მე მართლაც მადლიერი ვარ შენი.
- საამისო მიზეზი არ გაქვს, – მითხრა და მზერა როგორღაც უცნაური გაუხდა, – არა მგონია, დაგიჭირონ, ჰაფ. მაგრამ იცი... იქნებ ყველაზე საუკეთესო გამოსავალიც შემოგთავაზო. იქნებ შენთვის ასე უფრო ჯობდეს.

#### თავი 14

მაშ ასე: რაც ეს-ეს არის წაიკითხეთ, სწორედ ჩემი აღსარება გახლავთ. ხუთი დღის განმავლობაში ვწერდი და, როგორც იქნა, ხუთშაბათს, დღისით დავასრულე. ესე იგი, გუშინ. მერე დავაზღვიე და ფოსტით გავაგზავნე. ხუთი საათისთვის ქეიესი მოვიდა და ქვითარი გამომართვა. მის წინაშე ვალი მთლიანად მოვიხადე, ეს კი არა, უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე ეკუთვნოდა. იმედი მქონდა, ლოლა ოდესმე წაიკითხავდა ყველაფერს, გაიგებდა, როგორ და რატომ მოხდა და ჩემზე ცუდს აღარ იფიქრებდა. შვიდი საათისთვის ჩავიცვი. ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი, მაგრამ სიარული შემეძლო. წავიხემსე და ტაქსი გამოვიძახე, მერე პორტში წავედი. კაიუტაში შევედი თუ არა, საწოლზე მივეგდე და მეორე დღის ნაშუადღევამდე აღარ ავმდგარვარ. როცა მარტოობა გაუსაძლისი გახდა, გემბანზე გავედი. თავისუფალი შეზღონგი მოვნახე და დიდხანს ვიჯექი, მექსიკის ნაპირებს ვაყოლებდი თვალს. მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სინამდვილეში არსადაც არ მივცურავდი. ქეიესის იმდღევანდელი უცნაური მზერა, მისი უცნაური სიტყვები გავიხსენე და ვერაფრით ამეხსნა, რას ნიშნავდა. და უცებ მივხვდი – ჩემ გვერდით გაოცების ყრუ შემახილი გაისმა. უკან არც მიმიხედავს, ისედაც ვიცანი. მერეღა შევხედე. მეზობელ შეზღონგში ფილისი იჯდა.

- შენა ხარ?
- გამარჯობა, უოლტერ.
- ეს ქეიესი... ნამდვილი მაჭანკალია.
- ჰო, რომანტიკოსია...

ყურადღებით დავაკვირდი. გატანჯული სახე ჰქონდა და იმაზე უფრო მობერებული ჩანდა, ვიდრე უკანასკნელად რომ ვნახე. თვალების ირგვლივ წვრილ-წვრილი ნაოჭები დასხმოდა. რაღაც ფურცელი გამომიწოდა:

- ნახე?
  - რა არის?
  - თბომავლის გაზეთი.
  - არა, არ მინახავს. არ მაინტერესებს.
  - განცხადებაა დაბეჭდილი.
  - რა განცხადება?
  - საქორწინო... ნინოსი და ლოლასი. რადიოგრამით მოვიდა, ნაშუადღევს.
  - ა, ჯვარს იწერენ?
  - ჰო. რა რომანტიკულია!.. იცი, ქეიესმა ორივე გაათავისუფლა და ისინი სან-ფრანცისკოში გაემგზავრნენ, იქ გაატარებენ თაფლობის თვეს. შენმა კომპანიამ ნინოს რაღაც კომპენსაციაც მისცა.
  - აჰა, აი, თურმე რა... გამოდის, ყველაფერი იციან. ჩვენზე ვამბობ...
  - ჰო, იციან. კიდევ კარგი, აქ სხვა სახელებით რომ ვართ. ვნახე, როგორ კითხულობდნენ მგზავრები გაზეთს საუზმეზე. ეს სენსაციაა!
  - როგორც გატყობ, ეს არც ისე გაღელვებს?
  - მე სხვა რამეზე ვფიქრობ...
- ფილისმა გაიღიმა, უცნაურად ნაზი და სევდიანი ღიმილით. ხუთი პაციენტი, სამი ბავშვი, მისის ნედლინგერი, თავად ნედლინგერი და საკუთარი თავი გამახსენდა. დაუჯერებელი იყო – ასეთი საყვარელი და სათნო ქალი, როცა მოინდომებდა, ამისთანა რამეს სჩადიოდა.
- რაზე ფიქრობ?
  - ჩვენც კი შეგვეძლო დაქორწინება, უოლტერ.
  - შეგვეძლო. მერე რა?
- არ ვიცი, რამდენ ხანს ვისხედით უბრად და ზღვას მივშტერებოდით. მერე ფილისმა ენა ამოიდგა:
- ჩვენ აღარაფერი გვაქვს წინ, უოლტერ.
  - არა, არაფერი.
  - მე ისიც კი არ ვიცი, სად მივდივართ. შენ?
  - არც მე.
  - უოლტერ... დრო მოვიდა.

– რის დრო, ფილის?

– ბოლოს და ბოლოს, ჩემი ჯერიც დადგა, საქმროს უნდა შევუერთდე. იმ ერთადერთს, რომელიც ნამდვილად მიყვარდა. ერთ მშვენიერ ღამეს გემის გემბანიდან ვისკუპებ და ისიც ყინულივით ცივ ხელებს მარწუხებივით შემომაჭდობს გულზე...

– კარგი, მე გიშვებ....

– რაო?

– იმას ვამბობ, რომ მეც შენთან მოვდივარ.

– ესლა დაგვრჩენია, არა?

ქეისი მართალი გამოდგა. სამადლობელი არაფერი მქონდა – მან სახელმწიფოს ფული დააზოგვინა, რომელიც ჩემზე უნდა დაეხარჯათ...

...გემბანზე გავისეირნეთ. ვიღაც მეზღვაური მოაჯირს შვაბრით წმენდდა. აშკარად რაღაცაზე ღელავდა და ჩემი მხერა რომ დაიჭირა, შენიშნა:

– აგერ ზვიგენია. გემს მოჰყვება და მოჰყვება.

არ მინდოდა, შემეხედა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. ქვემოთ, ზურმუხტისფერ ტალღებში მორუხო-თეთრად გაკრთა. გაიელვა და გაქრა. შეზლონგებს დავუბრუნდით.

– ცოტა უნდა დავიცადოთ, უოლტერ. სანამ მთვარე ამოვა.

– ჰო, მთვარის შუქზე, მგონი, უკეთესი იქნება.

– მისი ზურგის ფარფლის დანახვა მინდა, მთვარის შუქზე წყალს რომ მიაპობს...

კაპიტანი მიხვდა, ვინც ვიყავით. სახეზე ეწერა, როცა რადიოჯიხურიდან გამოდიოდა. ესე იგი, დღეს. თორემ უთუოდ მოგვიჩენს დაცვას, ვიდრე პირველივე პორტში ხელისუფლებას ჩაგვაბარებდეს.

ისევ დამეწყო სისხლდენა, შინაგანი. ტყვიით გაკაწრული ფილტვიდან. ძლიერი არ არის, მაგრამ ხშირად ვაფურთხებ, ნერწყვს სისხლს ვაყოლებ. და კიდევ სულ ზვიგენზე ვფიქრობ. თავიდან ვერ ვიცილებ...

ამას კაიუტაში ვწერ. თითქმის ათის ნახევარია უკვე. ფილისი თავის კაიუტაშია, ემზადება. სახეს იპუდრავს მკვდრისფრად, უპეებს შავად იღებავს, ტუჩებსა და ლოყებს კი სისხლისფრად. და კიდევ, იმ საშინელ, თავზარდამცემ მეწამულ რაღაცას იცვამს – წითელი აბრეშუმის უზარმაზარ კვადრატს. თავით ფეხამდე ეხვევა მასში, სახელოები არ აქვს და ხელები, როცა ამოდრავებს, მორებს მიუგავს...

არ გამიგია, როგორ გაიღო კაიუტის კარი, მაგრამ ახლა, როცა ვწერ, ის ჩემ გვერდითაა... ვგრძნობ...

მთვარე...